

საქართველოს საგარეო საზოგადოება


1239
2005

№1 2005

ISSN 1512-0880



საქართველოს სახელმწიფოს პროგრესი გვეხსნის და მოქმედებული გავრცელების, ჩვენი მომავალი თაობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარების მდგომარეობაზე. ამ წიგნში ნახავთ საჭირო ინფორმაციას გავრცელების სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესახებ; საცნობარო ხასიათის ეს გამოცემა გამოადგება ჩვენს პიკნიკებს.



საქართველოს სახელმწიფო ინფორმაციის ცენტრი
 მინისტრის - ინფორმაციის მდიანი
 მისამართი -

ქურნალის რედაქცია

ალექსანდრე ლორია-მთავარი რედაქტორი
 გურამ თაყაიშვილი-მთავარი რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
 მზია რამშაძე- კომერციული დირექტორი
 გულნარა სგურუა-სამეცნიერო-მეთოდური და კორექტივებიანი მუშაობის რედაქტორი- კოორდინატორი

ინფორმაციის „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა;
 საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ. 7
 საქართველოს პარლამენტის
 ეროვნული ბიბლიოთეკა
 ტელ. 93-26-82



ქურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ



შინაარსი

საქმიანი ურთიერთობის ეტიკა ბიბლიოთეკაში	4
ისტორიის ფურცლებიდან	
ალექსანდრე ლორია – შუმერთა „ფირფიგების სახლები“	6
წიგნის ისტორიიდან	
ფრიდონ სიხარულიძე – „არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს...“	9
საერთაშორისო ურთიერთობები	
თეიმურაზ გიგინეიშვილი – საქმიანი ვიზიტი	13
ინგა ფილაური – საქმიანი ურთიერთობა გრძელდება	15
საბიბლიოთეკო მენეჯმენტი	
თეა იოსავა – ბიბლიოთეკების მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდი	17
ტერმინოლოგიური ძიებანი	
ბადრი ცხადაძე – პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი ტერმინები ქართულში: ზანდუკი, სარჩევი, შინაარსი	22
ეკოლოგიური განათლება	
ცისანა წერეთელი – ბუნების ადგილი ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში და ეკოლოგიური განათლების საკითხები ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკებში	24
საავტორო უფლება	
ნანა ქავთარაძე – საავტორო უფლებების დაცვა ბიბლიოთეკაში	30
კორესპონდენციები	
ლუიზა ქუმელაშვილი – სიყვარულით გამთბარი შეხვედრა	36
ნათელა ლობჯანიძე – ღირსსახსოვარი წლის აღსანიშნავად	38
სულიკო სვანიძე – დაუვიწყარი საღამო	40
მზია ომანაძე – პოეზიის დღე	42
ნელი ჯარიაშვილი – ბიბლიოთეკების დარბევები	43
გურამ თაყნიაშვილი – კეთილგონივრული ნაბიჯი	44
გიორგი სარაჯიშვილი – პასაჟები რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე“	46
თარგმნის სელოვნება	
ნანა ახობაძე-ღვინჯილია – უხმაურო შემოქმედის პორტრეტი	48
იუბილე	
ლელია გეხგმანი – პაპაჩევი გიორგი გეხგმანი	51
ნელი ჯარიაშვილი – თანამშრომლის იუბილე	57
ლია ურდულაშვილი – საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკა – 115	59
რეცენზია	
გურამ თაყნიაშვილი – ორი პოეტური კრებული	62
ინტერვიუ	
მურაბ ფარჯანაძე – ქორეოგრაფია – ინტერესთა სფერო	63
ჩვენი შემოქმედება	
მუმრუდ გოდერძიშვილი – ლექსები	66
გულნარა სკურუა – ლექსები	67
მარიამ შამფრიანი – მღვა და ნავსაყუდარი	68
ჩვენ გვწერენ	
სულიკო სვანიძე – უეჭველად გასაკეთებელი საქმე	72
რუსუდან კვაჭაძე – როდემდე მხოლოდ იმელებით?	73
რევიუ	
დათო გიგინეიშვილი – კინო და მუსიკა	74
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები	77
ინფორმაცია	
გულნარა სკურუა – უმნიშვნელოვანეს საკითხს მიეძღვნა	78
მზია რამზაძე – ჩვენი ინტერესებიც გასათვალისწინებელია	80

Библиотека Грузии, №1-05

Содержание

Этика деловых отношений в библиотеке	4
Страницы истории	
Александр Лория – Шумерские „дома плит“	6
Фридон Сихарулидзе – „Нет тайного, не ставшего явным“	9
Международные контакты	
Теймураз Гигинеишвили – Деловой визит	13
Инга Пилаური – Деловые взаимоотношения продолжаются	15
Библиотечный менеджмент	
Tea Иосава – Социально-психологические методы управления библиотекой	17
Терминологические изыскания	
Бадри Цхададзе – Палеографические книговедческие термины в грузинском языке: зандуки, сарчеви, шинаарси	22
Экологическое образование	
Шисана Церетели – Место природы в педагогическом наследии И. Гогебашвили и вопросы экологического образования в детских библиотеках	24
Авторское право	
Нана Кавтарадзе – Защита авторских прав в библиотеке	30
Корреспонденция	
Луиза Кумелашвили – Встреча, согретая любовью	36
Натела Лобжанидзе – В ознаменование года, достойного памяти	38
Сулико Сванидзе – Незабываемый вечер	40
Мзия Омандзе – День поэзии	42
Нелли Джариашвили – Ограбление библиотек	43
Гурам Такниашвили – Благоразумный шаг	44
Гоги Сараджишвили – Пассажи на Ш. Руставели и „Витязя в тигровой шкуре“	46
Искусство перевода	
Нана Ахобадзе-Гвинджилия – Портрет бесшумного деятеля	48
Юбилеи	
Лейла Гехтман – Мой дед Гиорги Гехтман	51
Нелли Джариашвили – Юбилей коллеги	57
Лия Урдулашвили – Центральной библиотеке Сагареджо – 115	59
Рецензия	
Гурам Такниашвили – Два поэтических сборника	62
Интервью	
Зураб Парджанадзе – Хореография – сфера интересов	63
Наше творчество	
Зумруд Годердзишвили – Стихи	66
Гульнара Стураа – Стихи	67
Мариам Шамприани – Море и причал	68
Нам пишут	
Сулико Сванидзе – Необходимо сделать	72
Русудан Квачадзе – До каких пор только надеждами	73
Ревю	
Давид Гигинеишвили – Кино и музыка	74
Хроника библиотечной жизни Грузии: события, факты	77
Информация	
Гульнара Стураа – Посвящается важным вопросам	78
Мзия Размадзе – Наши интересы совпадают	80

Georgian Library №1-05

Table of Contents:

Ethics of business relations in the library	4
From the History pages	
Alexandre Loria- The „houses of plates“ of Summers	6
From the book history	
Fridon Sikharulidze – „ara ars daparuli, rom ar gamochndes...“	9
International relations	
Teimuraz Gigineishvili – Business visit	13
Inga Philauri- Business relation is progressing	15
Library management	
Tea Iosava – The social-psychological method of the library management	17
Terminological search	
Badri Tskhadadze – Paleographical – book learning terms in Georgian: Zanduki, Sarchevi, Shinaarsi	22
Ecological education	
Tsisana Tsereteli – Nature in Gogebashvili pedagogical heritage and issues of ecological education in the libraries working with children	24
Author's right	
Nana Kavtaradze – The protection of author's rights in the library	30
Correspondences	
Luisa Kumelashvili – An hospitable meeting	36
Natela Lobzhanidze – For celebration of the memorable year	38
Suliko Svanidze – An unforgettable evening	40
Mzia Omanidze – The day of poetry	42
Neli Dzariashvili – The maraudings of the libraries	43
Guram Takniashvili – Wise step	44
Giorgi Saradzishvili – Passages about Rustaveli and „The Knight in a Tiger's Skin“	46
The art of translation	
Nana Akhobadze-Ghvindzilia – The portrait of mute author	48
Jubilee	
Leila Gechtman – My grandfather Giorgi Gechtman	51
Neli Dzariashvili – The contributor's jubilee.	57
Lia Urdulashvili – The central library of Sagaredzho-115	59
Critique	
Guram Takniashvili – Two lyrical collections	62
Interview	
Zurab Phardzanadze – Choreography – The sphere of interests	63
Our creation	
Zumrud Goderdzishvili – The verses	66
Gulnara Sturua – The verses	67
Mariam Shampriani – The sea and the harbour	68
Information	
Suliko Svanidze – The work, which must be done undoubted	72
Rusudan Kvachadze – Till when only with hopes	73
Review	
Dato Gigineishvili – Film and Music	74
The chronicle of Georgian library life: Events, Facts	77
Gulnara Sturua – The information on the very important question	78
Mzia Razmadze – Our interests should be considered	80



საქმიანი ურთიერთობის ეთიკა ბიბლიოთეკაში

ათიკური ნორმების დაცვას გარკვეული ყურადღება ეთმობოდა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე. ადამიანები ცდილობენ სულ უფრო მეტად გაუფრთხილდნენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. ზოგად ეთიკური ნორმების დაცვაზე იქმნება პროფესიული ეთიკის ნორმები, ყალიბდება ურთიერთობის პრინციპები; ადამიანები იცავენ საკუთარ ღირსებებს, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მათ სულიერ გაჯანსაღებას.

ბიბლიოთეკა, როგორც აღზრდის, განათლების, კულტურისა და ინფორმაციის სოციალური ინსტიტუტი, ყოველდღიურად ემსახურება სხვადასხვა ასაკის, სქესის, განათლების, მრწამსის და შეხედულებების ადამიანებს. ბიბლიოთეკაში მოსულ მკითხველს, პირველ რიგში უნდა დახვდეს მშვიდი გარემო, ესთეტიკურად მოწესრიგებული დაწესებულება. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკაში არსებულ მორალურ ატმოსფეროს, იმ გარემოს, რომელშიც მკითხველს უხდება ურთიერთობა წიგნთან და ადამიანებთან, ბიბლიოთეკარებთან.

როდესაც ბიბლიოთეკებში საქმიანი ურთიერთობების ეთიკაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს რთული სტრუქტურის უნივერსალური, სამეცნიერო და სპეციალური, აგრეთვე საბიბლიოთეკო გაერთიანებათა მთავარი (ცენტრალური) საჯარო ბიბლიოთეკები, სადაც იღვწის შრომითი კოლექტივი, ათობით და ზოგ შემთხვევაში ასობით სპეციალისტი. ნორმალური ფუნქციონირებისათვის, გარდა ეკონომიკური მხარდაჭერისა, ბიბლიოთეკისათვის საჭიროა მორალური მხარდაჭერა, თანადგომა. ბიბლიოთეკა საზოგადოებისათვისაა განკუ-

თვნილი. თავისი საქმიანობით იგი საზოგადოების პროგრესს უწყობს ხელს და, ამდენად, საზოგადოებაში მიღებული ეთიკური ნორმები და პრინციპები პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მასზე. ადამიანებს, რომლებიც ბიბლიოთეკაში მუშაობენ, ევალებათ მრდილობიანობითა და თავმდაბლობით გამოირჩეოდნენ. ისინი აღჭურვილნი უნდა იყვნენ მოთმინებით, კომუნიკაბელობის უნარით, ფლობდნენ ადამიანთმცოდნეობის ელემენტარულ წესებს, იცნობდნენ მის კატეგორიებს და ცნებებს, რაც მთავარია, ყოველივე ამას იყენებდნენ ყოველდღიურ საქმიანობაში.

ეთიკა, როგორც ფილოსოფიური მეცნიერება, სწავლობს ადამიანთა ქცევის წესებს, ეთიკა, იგივე მორალი, მნეობრივ კატეგორიებს აყალიბებს, რომელთა დაცვა საფუძვლად უდევს ცალკეულ პროფესიათა კოდექსებს. ადამიანთაშორის ურთიერთობის ეთიკის საბოლოო ამოცანაა, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს პიროვნების მორალურ სრულყოფას, მეორე მხრივ, ნათლად წარმოაჩინოს დაწესებულების, ორგანიზაციის მორალური სახე. იცავენ რა ეთიკურ ნორმებს, ბიბლიოთეკარები ამით ქმნიან დაწესებულების იერსახეს, მის მორალურ პორტრეტს. ამ თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკართა ურთიერთობას მკითხველთან, საზოგადოებასთან – ერთი მხრივ, და ურთიერთობას ბიბლიოთეკის შიგნით თითოეულ მუშაკთან, ხელმძღვანელ პირთან – მეორე მხრივ. ბიბლიოთეკარის სულიერ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მისი განწყობა, ხასიათი, უნარი – ნებისმიერ სიგუაციაში შეინარჩუნოს სიმშვიდე – პირდაპირ ზემოქმედებს მისი შრომის შედეგებზე. ბიბლი-

ოთეკარის ქცევას აკვირდება მისი კოლეგა, თანამშრომელი, ხელმძღვანელი პირი, ბიბლიოთეკაში მოსული მკითხველი.

ბიბლიოთეკაში სამსახურებრივი ურთიერთდამოკიდებულების ეთიკა შეიცავს რამდენიმე არაფორმალურ ელემენტს. ესენია: ბიბლიოთეკარის განწყობილება მოგადად, მისალმების მანერა, სახის გამომეტყველება, კრიტიკის მიღების მომენტი, რიგორიკა და სხვ. ამ კატეგორიებს ავსებს ბიბლიოთეკარის გარეგანი სახე, მისი ჩაცმულობა, ვარცხნილობა, უნარი შეინარჩუნოს კეთილი გამომეტყველება, ეცადოს ღიმილით შეხედეს მომსვლელს, განსაკუთრებით ბავშვს.

ეთიკა უნდა განვასხვაოთ ეტიკეტისაგან. თუ ეთიკა წარმოგვიდგება როგორც ფილოსოფიური მეცნიერება მორალის, მნებობის შესახებ, ეტიკეტი არის ქცევის ნორმების გარეგანი გამოხატულების ფორმა. ეტიკეტი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს საზოგადოებაში თავდაჭერის წესებს, თავაზიანობის ნორმების დაცვას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეტიკეტი ეს არის ქცევის წესების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ადამიანთა ურთიერთობების გარეგან მხარეს. ეტიკეტის წესების დაცვაში მქლავნდება პროფესიონალის კულტურა, მისი აღზრდის დონე, უნარი – მართოს საკუთარი ქცევები.

ბიბლიოთეკაში საქმიანი ურთიერთობის ეთიკა სამ მომენტს შეიცავს: ურთიერთობა თანამშრომლებს შორის, ურთიერთობა თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის და ურთიერთობა ბიბლიოთეკარებსა და მკითხველებს შორის. ნებისმიერი გიჰის ბიბლიოთეკის შრომითი კოლექტივის ურთიერთდამოკიდებულება, ის, თუ როგორია ბიბლიოთეკის შიგნით ეთიკური გარემო, ნათლად მქლავნდება მკითხველთან ურთიერთობაში.

ბიბლიოთეკის მორალური სახე მკითხველთან ურთიერთობაში ფოკუსირდება. აქ გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკარის ცოცხალ ურთიერთობას ადამიანებთან. ამ

დროს ჩანს ბიბლიოთეკართა მორალური სახე, მათი პროფესიონალიზმი და ადამიანთან ურთიერთობის წესების ფლობის დონე. ხშირია შემთხვევა, როდესაც ბიბლიოთეკარი გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, მაგრამ აკლია ტაქტი, ადამიანებთან ურთიერთობაში არ არის კორექტული, თავდაჭერილი.

ბიბლიოთეკებში ხელმძღვანელ პირთაგან აბსოლუტურ უმრავლესობას ქალები შეადგენენ. საქმიან ურთიერთობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ გარეგან იერსახეს, სტილს, ჩაცმულობის სისადავესა და სიფაქიშეს. ხელმძღვანელისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს მოკლე, გასაგები საუბარი, ამრის ნათლად გამოხატვის უნარი; საქმიან ურთიერთობაში ხელმძღვანელმა მთავარი ყოველდღიური წვრილმანისაგან უნდა გამოარჩიოს; მოსმენის უნარი ერთ-ერთი დადებითი ეთიკური ნორმაა ხელმძღვანელისათვის. მან მოთმინებით უნდა მოუსმინოს ხელქვეითს; ხოლო მკითხველთან საუბარი, თუ საჭიროა, უნდა წარიმართოს სასურველ კალაპოტში, რათა დაამუშავოს მისი მოთხოვნილება და გამოინახოს დაკმაყოფილების ოპერატიული ფორმა და საშუალება.

ბიბლიოთეკებში მიღებულია საქმიანი ურთიერთობების ისეთი ფორმები, როგორებიცაა: თათბირები (სასწავლო, საწარმოო, ინფორმაციული, მეთოდური და სხვ.), საუბრები (ინდივიდუალური, ჯგუფური), მოლაპარაკებები, ინტერვიუ, შეხვედრები, სტუმართა მიღება-გაცილება და ა.შ. თითოეული ფორმა წინასწარ მომზადებას საჭიროებს. ხელმძღვანელი პირი ყოველთვის მზად უნდა იყოს ურთიერთობის ნებისმიერი ფორმის წარმართვისათვის. მას უნდა ახსოვდეს, რომ საქმიანი ურთიერთობის პროცესში მის ქცევას თვალს ადევნებს საზოგადოება, რომელიც მეტად კრიტიკულია ამ მომენტში. მისი ქცევა უნდა იყოს თავისუფალი, მეტყველება მოკლებული მბრძანებლურ ტონს. დამაჯერებელი კილო, მეტყველი სახე და მსჯელობა ფაქ-



გებით აძლიერებს ხელმძღვანელი პირის გამო-
სვლას. ეს თვისება განსაკუთრებით თვალშისა-
ცეში უნდა იყოს ბავშვებთან მომუშავე ბიბლი-
ოთეკარებისათვის, სადაც ღიღია წაბაძვის, მა-
გალითის ალების უნარი და მიდრეკილება.

საქმიანი ურთიერთობის პროცესში ბიბლი-
ოთეკაში საჭიროა პირველი შეხვედრისთანავე
კეთილად მიიღონ მკითხველი, უშუალო კონ-
ტაქტი დაამყარონ მასთან, გამოავლინონ კეთი-
ლგანწყობილება.

ეთიკური ნორმები და წესები არ წარმო-

ადგენს თანდაყოლილ თვისებას. იგი შეიძინება
შრომითი საქმიანობის, გამოცდილებისა და ხა-
ნგრძლივი ურთიერთობის კვალდაკვალ. ცხა-
ლია, მკითხველს ყოველთვის მიუხარია იქ, იმ
ბიბლიოთეკაში, სადაც იცის, რომ მას დახვედ-
ბიან ღიმილით, ყურადღებით, გაესაუბრებიან,
ურჩევენ, მოუსმენენ. ბიბლიოთეკა ხომ ერთ-
ერთი ისეთი დაწესებულებაა, სადაც ყველა სა-
შუალებაა არა მარტო სულიერი, არამედ მწე-
ობრივი სრულყოფისათვისაც.

ისტორიის ფურცლებიდან



ალექსანდრე ლორია

უშეერთა „ვირფიტების სხლეზი“

არქაულად ითვლება ცივილიზაციის
საწყისი ხანა – ისტორიის უძველესი
პერიოდი. ეს ის ხანაა, როცა ადამი-
ანმა შექმნა სახნისი და ბორბალი,
გამოიგონა აფრა, ისწავლა არხების გათხრა,
პირველად ჩამოაყალიბა სამართლის ნორმები
და კანონები, დაიწყო ქვეყანათა შორის მიმო-
სვლა და ურთიერთობების დამყარება, ეს ის ხა-
ნაა, საიდანაც იწყება დამწერლობა-ცივილიზა-
ციის უმაღლესი ნიშანი.

ამ პერიოდში განსაკუთრებით წინაურდება
ტიგროსისა და ეფრატის ირგვლივ გაშენე-
ბული ქვეყნები – ე.წ. შუამდინარეთი; მათ
მხარს უბამს წინა და შუა აზიის სახელმწიფო-
ები: ხეთები, ირანი, ურარტუ, აგრეთვე აფრი-
კის სამხრეთით მდებარე ღიღია კულტურის ქვე-
ყნები: ეგვიპტე, ფინიკია და სხვანი.

ამ ქვეყნების პოლიტიკურ საფუძველს ადრე-
ული მონათმფლობელობა წარმოადგენს –
მკაცრი, დაუნდობელი, მაგრამ მეტისმეტად

ორგანიზებული და ნაყოფიერი, რამდენადაც
იაფი მონახელი ღიღია ეკონომიკური და კუ-
ლტურული შესაძლებლობების განვითარების
საშუალებას იძლეოდა. ამ ეპოქაში გაშენდა
ისეთი ღიღია კულტურის ცენტრები, როგორც
იყო: ნიფური, ნინეფია, ბაბილონი, ხაგუსი, ფი-
ბია, თებე და მრავალი სხვა.

ამ დროში გაბატონებული იყო ლურსმნული
დამწერლობა და პიკტოგრაფია. საწერი მა-
სალა მთელ შუამდინარეთსა და წინა აზიაში
თიხა იყო, ხოლო ეგვიპტეში – პაპირუსი, გამო-
იყენებოდა აგრეთვე ხისა და ლითონის ფირფი-
გები, ქვა, ძვალი. განსაკუთრებით მნიშვნელო-
ვან გეგმებს კლდის ქიმებსა და ქვის სტელეებზე
ამოკვეთდნენ ხოლმე, როგორც, მაგალითად,
ბისუგუნის კლდის წარწერა იყო სპარსეთში, ან
შუმერიისა და აქადიის გაერთიანებული მეფის
მანიშტესუს ობელისკი. ცნობილია, რომ ჰამუ-
რების კანონები მთლიანად ქვის ღიღირონ ფი-
ლებზე იყო ამოკვეთილი; ეგვიპტეში გავრცე-

ლებული იყო გაძრების კედლებისა და სვეტების წარწერებით მოხატვა. საერთოდ კი, ამ ეპოქაში მაინც ყველაზე მეტად გავრცელებულია თიხის ფირფიტები ლურსმნული დამწერლობით და პაპირუსების იეროგლიფური ნიმუშები.

არქაული ეპოქის ცივილიზებული ქვეყნებისთვის ნიშანდობლივია „წიგნის“ წარმოებისა და დაცვის უაღრესად მაღალი, დახვეწილი კულტურა. ამაზე მეტყველებს ამ ქვეყნებში შექმნილი „წიგნების“ განლაგების, აღწერის, მათზე მზრუნველობის ფაქტები, ამას ადასტურებს აგრეთვე ამ „წიგნების“ თემატურ-ქანობრივი მრავალფეროვნება.

უძველესი წერილობითი ძეგლები ჩვენამდე მხოლოდ მათი საცავების – ბიბლიოთეკა-არქივების წყალობით შემორჩა. რომ ასეთი კომპლექტური დაცვა არა, თქმა არ უნდა, ჩვენამდე მხოლოდ ერთეულები თუ მოაღწევდა. რომ ისინი არა, ძალიან მწირი წარმოდგენა გვექნებოდა ჩვენი ისტორიის საწყის პერიოდზე. მათ შემოგვინახეს კაცობრიობის აკვნის საიდუმლოებებით მოცული ამბები. უამრავი ფირფიტა ამოკითხვას ელის. ადვილი წარმოსადგენია, რამდენად უფრო ადრეულ ხანაში გადაინაცვლებს ჩვენი ისტორიის საწყისი.

არქაული ეპოქის ბიბლიოთეკა-არქივები გამოირჩევა მაღალი ორგანიზებულობით, დახვეწილი შრომის გექნოლოგიით, სრულყოფილად ჩამოყალიბებული წესებით, რაც მყარად განსაზღვრულ მეთოდიკურ საფუძვლებზე იყო აგებული, ამაზე მეტყველებს სწორედ ის კატალოგები, რომლებიც არქაულ ეპოქაში გვხვდება. ამ დროს საცავებში ინახავენ ყველაფერს, რაც კი დამზადებულია წერილობითი სახით. მოგჯერ მათ განსაკუთრებულ ძვირფას საუნჯესთან ერთად იცავდნენ. ფაქტობრივად ისინი საარქივო-სამწიგნობრო საცავებს წარმოადგენდნენ, რომლებიც უმაღლესი ხელისუფლების საკუთრებას წარმოადგენდა ან მათი მფარველობით სარგებლობდა.

მაგერიალური კულტურის ბევრი წერილობითი თუ არქეოლოგიური ძეგლი საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ დროის სამწიგნობრო საცავებზე. ზოგი მათგანი პირდაპირ გვაწვდის სრულყოფილ ცნობას, ზოგი მხოლოდ ნართაულად მიგვანიშნებს საცავების არსებობაზე, ზოგიც კიდევ მხოლოდ ვარაუდის საშუალებას იძლევა.

არქაული ეპოქა საკმაოდ დიდხანს გრძელდება. მრავალი ხალხის კულტურა შეერწყა ერთმანეთს ამ დროს და ამგვარად იქმნებოდა ერთიანი საკაცობრიო კულტურა. დაწყებული შუმერებიდან ხეთების ჩათვლით, ხდება კაცობრიობის ერთგვარი შემზადება თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურზე ასასვლელად.

საწყისად რომ შუმერებს მიიჩნევენ, ეს არაა გასაკვირი. მათ ხატონად უწოდებენ „ხალხს, რომლებმაც ისტორია დაიწყეს.“ მესოპოტამია, რომლის გერიტორიაზეც შუმერები ცხოვრობდნენ, იყო ბაბილონსა და სპარსეთის ყურეს შორის, ეფურატის გაყოლებაზე.

პირველი მსოფლიო ომის დროს, აქ არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ იქნა ქალაქი ურუკი, რომელიც 3 ათასი წლის განმავლობაში არსებულა. ბევრი უჩვეულო ნივთი იქნა აქ ნაპოვნი, მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასი იყო წარწერებიანი თიხის ფირფიტები. ნაპოვნი დოკუმენტები ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულის ნახევარს განეკუთვნება. ანალოგიური ნაპოვნები სხვაგანაც დაფიქსირებულა. ნაპოვნი თიხის „წიგნები“ თითქმის სრულ წარმოდგენას იძლევა შუმერთა ცხოვრებაზე.

აღმოჩენილი თიხის ფირფიტების სიუხვე მეტყველებს იმ დიდ წიგნიერ კულტურაზე, რომელიც შუმერიაში არსებობდა. ქვეყნის რელიგიურ ცენტრში – ნიფურში გათხრების შედეგად ნანახია რამდენიმე ათასი თიხის ფირფიტა. ეტყობა, აქ უდიდესი წიგნთსაცავი უნდა ყოფილიყო. მართალია, ძირითადად გაძრის შემოსავალ-გასავლის საქმიან ნაწერებს ვხვდებით, რომლებიც ეხება შემოწირულობებს, მშენე-

ბლობას, ბალების გაშენებას, პირუტყვის სყიდვა-გაყიდვას და სხვა სამეურნეო ხასიათის ანგარიშებს, მაგრამ ამასთან ერთად აქ მეტად მდიდარი რელიგიური ლიტერატურის კოლექციაცაა აღმოჩენილი. აქ დაცული იყო აგრეთვე სამეცნიერო ნაწარმოებებიც. როგორც ჩანს, მსურველთათვის ხდებოდა „წიგნების“ გადაწერა და დამზადებაც. ათასწლეულთა განმავლობაში გაძარი მრავალჯერ დანგრეულა და აღდგენილა, გადაუკეთებიათ, გაუფართოებიათ, ბევრი რამ შეცვლილა, მაგრამ არ შეცვლილა „წიგნების“ მიმართ ფრთხილი და მზრუნველი დამოკიდებულება. ნიფურის გაძრის საცავს 80 ოთახი ეჭირა, რომლებიც სამ პექტარზე იყო განთავსებული.

შუმერები იმდენად ძველი ხალხია, რომ ისინი თვით ასურებისა და ბაბილონელებისთვისაც კი უძველეს წარსულს მიეკუთვნებოდა. ამურბანიფალი მათზე ძვ. წ. მე-7 საუკუნეში ისე ლაპარაკობს, როგორც დიდი ხნის გარდასულ აღამიანებზე. ამაზე მეტყველებს მისი ნათქვამი: „ჩემთვის დიდ სიხარულს წარმოადგენდა ლამაზი, მაგრამ გაუგებარი შუმერული წარწერებიო.“

დიდი კულტურის ცენტრს წარმოადგენდა ური – ერთ ღროს შუმერთა დედაქალაქი. გათხრების ღროს აქ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ფირფიგები. ასევე ქალაქ ლაგაში, სადაც 20 ათასამდე „წიგნი“ იქნა მიგნებული, ნაპოვნი კაგალოგი მეტყველებს, რომ აქ უკვე ნამდვილი ბიბლიოთეკა არსებულა. ქალაქ ურუპაკში აღმოჩენილმა თიხის ფირფიგებმა


საშუალება მოგვცეს შემდგარიყო „არქაული ლურსმნული დამწერლობის ნიმუშების სია.“

ურში ნანახი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, თუ როგორ ინახებოდა ბიბლიოთეკებში თიხის ფირფიგები. მათ დაწულ კალათებში ათავსებდნენ, რომლებიც საიმედოდ იკვრებოდა, მათზე ამაგრებდნენ პაგარა თიხის ფირფიგას წარწერით. მაგალითად, ცნობილია ასეთი წარწერები: „მუშების გაგზავნა“, „ბალების შესახებ“ და სხვ. სამეურნეო დოკუმენტების გარდა, გვხვდება შრომები მათემატიკის, ისტორიის, ლიტერატურის, სოფლის მეურნეობის სფეროდან. ნაპოვნი იყო აგრეთვე კალენდარი სოფლის მეურნეობის მუშაკებისთვის, ერთ-ერთი ფირფიგა წარმოადგენს ქალაქ ნიფურის გეგმას, ნაპოვნი რეცეპტების ნუსხაც.

შუმერულ ფირფიგებს შორის გვხვდება მითები, ანდაზები, იგავ-არაკები. გავრცელებული ყოფილა ჰიმნები, სამგლოვიარო სასიმღერო ტექსტები. საკულტო გაძრებში დაცული იყო ღმერთების სადიდებლები, ლეგენდები, ლოცვები, შელოცვები, მკითხაობა, წინასწარმეტყველება. გვხვდება წერილობითი ძეგლები გაურკვეველი რაღაც ნიშნებით. ვარაუდობენ, რომ სანოტო მინაწერები უნდა ყოფილიყო.

ამოკითხულია კაგალოგის ორი ფრაგმენტი, რომელიც სულ 87 ლიტერატურულ ნაწარმოებს შეიცავს.

სახლებს, სადაც წიგნები მზადდებოდა, შუმერები „ფირფიგის სახლებს“ უწოდებდნენ.



ფრიდონ სიხარულიძე

**„არა არს დაფარული,
რომელი არა გაემონღეს...“**

სხვებისაგან განცდილი შთაგონებული განჯვა გვასწავლის მამაცურად ავიგანოთ ბედის უკუღმართობა.

პოლიზიოსი

სრადიციით გამორჩეულ ადგილს, ამრს, უმწიკვლო გრძნობას, ენას, ზიარებას, კუნძულს, მდინარეს, მთას, სანთელს, სახელმწიფოს, სპეგაკ კაცს, ქალაქს, ჯვარსა და სხვა სათაყვანოს – წმიდას ვუწოდებთ. ასევე მოვიხსენიებთ სულიერების ამამალღებელ წიგნებს, რომლებშიც ასახული წარსულის გამო წინაპრებმა სახელად „დაბადება“ დაანათლეს.

დაბადება ანუ ბიბლია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია.

ხალხთა ცხოვრება სხვადასხვაგვარადაა გაამრებული გადმოცემებში, თქმულებებში, ძვ.წ.-ის 11 ათასწლეულის ინდურ „მაჰაშჰარაგასა“ და ძვ.წ.-ის IV-III საუკუნეებში ჩამოყალიბებულ „რამაიანაში“, აგრეთვე ჩინურ „სიმღერათა წიგნში“ თუ მიმზიდველ ელინურ მითებში.

ჩვენი პლანეტა 5 მილიარდამდე წლისაა.

კრეაციონისტური შეხედულებით ძველ აღთქმაში ასახულია სამყაროს შექმნის ევოლუციური პროცესი.

სიცოცხლის წარმოშობასა და საზოგადოების განვითარებაზე ადრეული ნაამრევი გეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობებს. როგორც სიმღერა, ისე იკვლევდა გზას ხალხთა გულებისაკენ.

მოსახლეობა მათი რწმენა-ჩვეულებებით

იცვლებოდა, ვითარდებოდა.

შემდეგ თქმულებები, ღვთისადმი საგალობლები ჩაწერეს. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ნივთიერი ძეგლები.

წერილობითი ცნობებით, მაგერიალური კულტურით, გეპირგადმოცემებით და სხვა, „ცის გასაღები“ – აღმოსავლეთი აღიარებულია კაცობრიობის აკვნად.

თანამედროვე ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები – ძველი ევროპა, ხმელეთით უკავშირდებოდა ამიას. თქმულებებით, აღმოსავლეთის ქვეყნების მიჯნაზე არსებული აგლანგის ჩაძირვის შედეგად ზღვა გაფართოვდა. წარსულის მრავალ საიდუმლოს ფარდა აეხადა. ახლახანს სწავლულებმა კეპროსის მახლობლად თითქოს აგლანგის ნაშთებსაც მიაკვლიეს.

სამყაროს ბევრი საკვირველება კვლავ გაიხსნება.

გარემოს ჭირვეული ბუნებრივ-კლიმატური მოვლენები (გვალვები, წყალდიდობანი, „მომსრველი ქამი“), გეოლოგიური პროცესები (ვულკანები, მთათა წარმოშობა, მიწისძვრები) მხარეების გაუდაბურება, ქარიშხლები, ხანძრები, ქვის (მეგეორიგის) ჩამოვარდნა იმთავითვე ასადგურებდა შიშს; მსხვერპლს ამრავლებდა მიგრაციები, შემოსევები. დაწინაურებულ შუმერულ სამყაროდან ცნობილია საუკუნოვანი ომიც.



დღემიწის სხვადასხვა ნაწილის მკვიდრი წინსვლის გზებს იკაფავდნენ ბრძოლით, გარჯით, მაღალი გონებით, ორგანიზებულობით, სიმკიცით.

ძველ ცივილიზაციათა სამშობლოა ინდოეთის, მიდიის, ჩინეთის, აფრიკის, კავკასიის მიდამოები. კაცობრიობის კულტურული მონაპოვრების საფუძვლებს ქმნიდნენ ის ძველისძველი ხალხები, რომლებიც მუდამ აქტიურობდნენ არსებულის განვითარებისათვის. მეცნიერებმა დიდი ხანია თვალი დაადგეს მრავალ გამოგონებათა, მათ შორის მეტალურგიის შემოქმედ ხალიბებს, რომელთა ნიჭის ნაყოფი ფართოდ გავრცელდა უძველეს ეპოქებში. განთქმული მუშეები//მესხები უნდა გულისხმობდეს უცხო გერმინის „ხალიბებს“.

როდის, სად ცხოვრობდნენ პირველი კულ-

ტუროსანნი?

ათასწლოვან ძიებებს გვირგვინი დაედგა დმანისის მიდამოებში მონაპოვრებით. ვრცელ კავკასიის ზეგანში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაკავშირებელ ამ გზაჯვარედინზე განვითარებული მძლავრი ცივილიზაციის შემქმნელთა მოღწეული ნაშთების ასაკი მილიონ შვიდასი ათასი წელია.

აქამდე უცნობი უძველესი კულტურა ჩვენი რეგიონის შუაგულში დადასტურდა სხვადასხვა ერის სწავლულთა ერთობლივი კვლევით XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე. დიდი რემონანსი აქვს „საიდუმლოს გაცხადებით“ გამოწვეულ ამ სენსაციას.

ეს უახლესი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა ნათელს ჰფენს ქართველთა კულტუროსანი წინაპრების მოღვაწეობას არა მარტო კავკასიაში, არამედ აღმოსავლეთის შორეულ მხარეებში, ევროპელთა ფართო საცხოვრისზე.

უდავოა, რომ კავკასია იყო ერთ-ერთი გამოჩენილი ცენტრი, საიდანაც გავრცელდა კაცთა მოდგმის აღრინდელი შეხედულებანიც, ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებული მითოლოგიური სიმბოლოები, სხადასხვა ფერისა და ფორმის გამოსახულებანი: ძელის, ძვირფასი ქვებისა თუ ხის ბეჭდებზე, გერბებზე, გვირგვინებზე, დროშებზე, ეგლებზე, თეფშებზე, კარებზე, კილობანზე, კედლებზე, მონეტებზე, საცხოვრებლებზე, განსაცმელზე, უნაგირებზე, ფარებზე, ფეხსაცმლებზე, წიგნის საძიებელ ცხრილზე, ხმლებზე და ა.შ. ასევე უნდა ითქვას სარიტუალო წესებზე, მათ შორის მეფეთა კურთხევისას სკიპტრის ბოძებაზე, ხმლით წელის დამშვენებაზე, ფანტასტიკური ფასკუნჯის, გველის, გველეშაპის, უძლეველად მიჩნეულ ლომისა და სხვათა გამოხატვა-გამოქანდაკებაზე, ძალაუფლების აგრიბუტების: დაშნის, გვირგვინის, კვერთხის, სფეროს, შუბის, ჯვრის დახურვა-გადაცემაზე, ხაგების ძოწისფრად შემკობაზე, ხელნაწერთა (დოკუმენტებად გაფორმებულ წყალობის წიგნების) მოკაზმვა-შემოსვამზე, სასა-

ხლეთა მორთვაზე.

ბუნების გვირგვინის – კაცის ფიზიკურმა და გონებრივმა სრულყოფამ, ღღისით – მშის, ღამით – მთვარის სინათლის, სემონების პერიოდულად ცვლისა თუ სხვა მოვლენების დადგენამ და თაყვანისცემამ, მოგებული ღროის რაციონალურად მოხმარებამ, დამანგრეველი ძალების შეჩერებაში დაოსტატებამ, მარცვლეულის კულტურული ჯიშების მიღებამ, ნათესთა გაფართოებამ, ცხოველთა, ფრინველთა მოშინაურებამ, შერჩეულ არეალში მკვიდრობამ საფუძველი შეუმზადა ღოვლათის დაგროვებას საცხოვრებლებთან. პროგრესმა გამოაგლინა მათი შემოქმედებითი ნიჭი, მიღრეკილება – ცოდნით, გაღმოცემებით, გამოცანებით, თქმულებით, ეპოსით, სხარგული თქმებით თანღათან განმტკიცდა ხსოვნა, აღმატებული სამრიანობა-სიძლიერის მქონე გმირის მისაბაბი თვისებებით შემკობა, მისი მაღალი მნეობის შთამომავლებისათვის მაგალითად დასახვა.

ღაკვირვებათა გაღრმავების შეღეგად დაადგინეს სიცოცხლის გამახანგრძლივებელი მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სამკურნალო ხერხები, სიხარულის თუ ტკბობის საშუალებები. საყოველთაო აღიარება ჰპოვა ახოვნებამ, კეთილმოვანებამ, ნიჭმა, სიღამაზემ, სინამემ, სინაგიფემ, სიმშვენიერემ, ოსტატობამ. შეისისხლხორცეს გაღობის წესები, გლოვის ჩვეულება, დამახასიათებელ თვისებათა თუ ფერების გამოჩევა, განავითარეს მხატვრობა, ხელოსნობა, გააფართოვეს ნაკეთობათა გაცვლა. აღრმავებღენ გამოგონებათა გამრავლების საფუძველეს, ახოლებელ და შორეულ მემობლებთან თანამშრომლობას; მოწიწებით უვლიღენ წინაპართა სამარეებს, ამაცობღენ ეპონიმის მორჭმა-სახელგანთქმულობით, სიბრძნით; განამტკიცებღენ საზოგადო თავღაცვას და წინაპართა ღვაწლის ჯეროვნად ღაფასებით ესწრაფოღენ საერთო სამკვიდროს, მამულის გაძლიერება-გაფართოებას, რაც მოასწავებღა ცნობიერების ამალღებას.


წარსულისა და აწმყოს საინგერესო მოვლენებით, თავგაღასავლით დაინგერესებული კაცობრიობა თანღათან მომწიფღა ხსოვნის დასაუნჯებღად, იღეების ზეპირ გაღმოცემათა საქაღაგებღად, ხოლო მასთან ერთად მის შესაკრებად, გაღასარჩენად, ჩასაწერად.


ტააგით დგებოღა დამწერლობის ეპოქა. დამწერლობის კულტურას აყალიბებღენ აქტიური ცივილიზებუღნი.

გამოქევაბუღების კლღეებზე, ძვღებზე, ხეებზე აღრინღელ ნახატებში, სიმბოლოებში გატარებული ამრები კიღევ უფრო აცხოველებღა თხრობა-საუბრის საჭირო ნიშნებით დაუნჯების მისწრაფებას.

უეჭვეღია, დამწერლობას საფუძველად დღელო მისაბაბი ხმოვანებით საგანთა სახელწოდების გამოხატვა, სამყაროში რეალურად არსებული გამოსახულებების ნაწილის შინაარსის გაფართოება. მაგ. ვარსკვლავით აღინიშნებოღა ცა.

ჩასაწერი ნიშნები თანღათან გამრავღდა.





დაიწყო ამრთა გამოხატვის წესების დადგენა-შესწავლა. ეს რთული, მრავალმხრივი და ხანგრძლივი პროცესი დაგვირგვინდა მაღალი კალიგრაფიული ხელოვნების – დამწერლობის განმტკიცებით.

ასეთმა გამოგონებებმა ცოდნა გამოსახულებებით უკვდავყო. გონების ასეთი მონაპოვრის შესანარჩუნებლად შეიქმნა სპეციალური ცენგრები, რომლებშიც წერაში, გადანუსხვასა თუ ოსტატურ კითხვაში (გალობაში) პაგარაობიდანვე წვრთნიდნენ მომარდებს.

წერა-ხატვისათვის იყენებდნენ საჭრეთლებს მაგარ საგანზე (ბეჭზე, ღვედზე, ქვაზე, ხეზე), რბილ თიხაზე კი ერთი მხრით უფრო ჩალამ-კალამით წერდნენ, მეორე მხრით კი გლუვ დაბოლოებიანი იარაღით შლიდნენ ადრე შემჩნეულ შეცდომებს ან დაწუნებულ ტექსტს. ეს პროცესი, ჩანს, თავიდანვე ერთი საერთო სიგყვით – ხატვით გამოითქმოდა.

მეურნეობის დაწინაურებისა და დამწერლობის საწყის ეპოქიდან წარმოიშვა ახალი საქმიანობის გამომსახველი გერმინები: თერძი, მბეჭველი, მგალობელი, მეზვრე, მეთუნე, მეთარე, მეკაბადონე, მეზღაპრე, მოსეირე, მქადაგებელი, მქარგავი, მხატვარი, მელექსე, მემამულე, კანდელაკი, მემოდელე, მესიგყვე, მოსევადე, მოქადაგე, მეჯვრე, მეხოტბე, მჭედელი, ოქრომჭედელი, მკამზავი, შათირი, შიკრიკი, საგანძური, საწიგნე, წიგნის შემომწირველი...

ხალხთა კულტურული ღონის განმსაზღვრელად დამწერლობა (წიგნი) იქცა. ლითონზე, გყავზე, თიხის ფირფიტებზე, ქვებზე, ძვლებზე,



ხეებზე შესრულებული ნახატები ჩვეულებრივი ნაწერებია. ქვაზე ამოსაკვეთმა იარაღმა შემოგვინახა სახელი – წერაქვი, თუმცა არც სხვა მასალაზე იყო ადვილი მაშინ წერა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, კულტურული აღმავლობის შედეგად სამოგალობებამ წიგნი გაითავისა, შეიყვარა, ცხოვრების თანამგზავრად აქცია იგი. წიგნებში დაცული იყო წარსული მემკვიდრეობის იშვიათი ძეგლები. წიგნების მეოხებით შესაძლებელი ხდებოდა მომავლის განჭვრეტაც, ამიგომ წიგნმა კაცობრიობის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო.

უძველეს სახელმწიფოების გამოქვაბულებში, მეფეთა სასახლეებში, წარჩინებულთა დარბაზებში, საგანძურებში, ტაძრებში სხვა გამორჩეულ მონაპოვრებს, იშვიათ ნივთებს შორის აუნჯებდნენ გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დარჩენილ თქმულებების სხვადასხვა რედაქციის იშვიათი ოსტატობით შესრულებულ ნუსხებს, გამოგონებათა ნახაზებს, ჩანახატებს. უკეთ აღქმა-შემეცნებისთვის მთავარ მოეღნებზე, გზაჯვარედინებზე დგამდნენ სტელებს, კედლებზე კვეთდნენ ძლევის სადიდებელს, აქანდაკებდნენ გამარჯვებათა შემოქმედთა გამოსახულებებს. ჩანაწერებით შემოგვინახა ძველი აღმოსავლეთის თვალუწვდენ სივრცეებზე ინდოევროპელთა დიდი მოძრაობა, ხალხთა დიდი მიგრაციების ბოგი შედეგი, სულიერი ამაღლების მაუწყებელი ძეგლები.

ნივთიერ და წერილობით წყაროთა მონაცემების შერჩევა-შეჯერებითა და განზოგადოებით შედგა ეგვიპტის ძველი და შუა ეპოქის ამსახველი მოთხრობები, წარწერები, უდიდესი ბიჰისტუნის ეპიგრაფიკული ძეგლები.

გაგრძელება მომლევნო ნომერში



თეიმურაზ გიგინეიშვილი

საქმიანი პიზიტი

ლიგვაში ჩვენი ვიზიტი მრავალმხრივ დაგვირთული და სინგერესო იყო. მასპინძლობას გვიწვედა ემილია ბანიონიგე – ლიგვის საბიბლიოთეკო კონსორციუმის პრეზიდენტი და ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ვილნიუსის პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი. ვილნიუსის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ბიბლიოთეკას ვეწვიეთ, მოვიარეთ ქალაქი კაუნასი და 1 დღე დაყავით ლიგვის ძველ დედაქალაქში – ტრაკაიში, სადაც შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე (ამჟამად შესანიშნავი მუზეუმი) მოვინახულეთ.

უპირველს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო ლიგველთა გასაოცარი ორგანიზატორული ნიჭი და წესრიგისადმი, დროის დამოგვისადმი განსაკუთრებული ყურადღება, კოლეგიალობის პრინციპის დაცვა და ურთიერთპატივისცემა. ბიბლიოთეკებში ვერ ნახავდით უსაქმოდ მყოფ თანამშრომელს. ასევე თვალსაჩინო იყო მომხმარებლის (უმეტესწილად სტუდენტების) არნახული აქტიურობა, დარბაზები თითქმის სავსე იყო, წიგნისადმი და სასწავლო ლიტერატურისადმი ინტერესი და მოთხოვნილება დიდია, რომ არაფერი ვთქვათ კომპიუტერებზე. უახლესი ტექნიკით აღჭურვილ დარბაზებში თითოეულ მაგიდაზე კომპიუტერი დგას, რომელიც მთლიანად ჩართულია სასწავლო პროცესში.

ლიგველებმა 1993 წელს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის და თავისუფლების მოპოვების პირველივე დღიდან დაიწყეს მრუნვა და ფიქრი ბიბლიოთეკების რეორგანიზაცია-მოდერნიზაციაზე და ავტომატიზაციაზე. მეტად რთული და

გრძელი გზა გამოიარეს, სანამ დღევანდელ დონეს მიაღწევდნენ.

ჩვენი სტუმრობა ვილნიუსის უძველესი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან დაიწყო, რომელიც დაარსდა 1570 წელს. იგი სტრუქტურულად შედგება 12 დეპარტამენტისაგან (განყოფილებისაგან): დაკომპლექტების, გაცემისა და სამკითხველო დარბაზების (6), ლიგვანიკის, გრაფიკული ხელოვნების, ბიბლიოგრაფიის, დამუშავების (ელ. კატალოგები), რესტავრაციის, ტექნიკური სერვისის, 2 სამეცნიერო მუზეუმი. ფონდი შეიცავს 5 მილიონ ერთეულს.

ბიბლიოთეკას გააჩნია ფილიალები, რომელთა უმეტესი ნაწილი განლაგებულია ქალაქიდან მოშორებით, გყის განაპირას, სადაც ძალიან განვითარებულია ინფრასტრუქტურა. კომუნიკაციის ფაკულტეტზე დავესწართ სემინარს თემაზე „ინტეგრირებული საინფორმაციო ცენტრის განვითარება“, ვეწვიეთ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებს და შიდა სათავსოებს, გავეცანით წიგნის შეკვეთის და გაცემის პროცედურას, რომელიც ავტომატიზირებულია და ინტერნეტის საშუალებით სტუდენტს შეუძლია ნებისმიერი ადგილიდან (სახლიდანაც კი) მიიღოს ინფორმაცია წიგნის შეკვეთაზე და მის მოძრაობაზე. ყველა წიგნი დაცულია შტრიხკოდით, გასასვლელში დამონტაჟებულია დეტექტორი-აპარატები, რომლებიც მართლაც აგირებენ წიგნის შენობის გერიგორიიდან უნებართვო გაგანის შემთხვევაში. იქ, როგორც ჩვენთან, გამოიყენება YDK-ს საკლასიფიკაციო ცხრილები.

ყველაზე თანამედროვეა ლიგვის სამარ-



თლის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (ჰყავს 34 მუშაკი), ემსახურება 13 ათასზე მეტ მომხმარებელს, მათ შორის უნივერსიტეტის 759 მუშაკს, ბოლო 5 წლის განმავლობაში მათი რაოდენობა გაიზარდა 3-ჯერ მეტად. ფონდი შეიცავს 153 ათას წიგნად ერთეულს. ბიბლიოთეკას აქვს 10 სამკითხველო დარბაზი, 2 ინტერნეტის ოთახი (სადაც 145 კომპიუტერია ჩართული), 6 სკანერი და 6 პრინტერი.

ასევე თანამედროვეა ვილნიუსის პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა – ფონდის კოლექცია შეიცავს 180 ათას დასახელებას (750 ათას ეგზემპლარს). აქ დაცულია პირველი ბეჭდვითი ლიგვური წიგნი („კატეხიზმი“, რომლის ავტორი და გამომცემელია) მარგინას მაქვიდასი (კენისბერგი, 1547წ.).

დიდი შთაბეჭდილება დატოვა მარგინას მაქვიდასის ნაციონალურმა ბიბლიოთეკამ (დაარსდა 1919 წელს), რომელიც წარმოადგენს საჯარო მოხმარების ძირითად სამეცნიერო და პარლამენტის ბიბლიოთეკას, ბეჭდვის ეროვნულ არქივს, ეროვნული ბიბლიოგრაფიის ცენტრს, ინფორმატიკისა და სამეცნიერო კვლევის; მეთოდის და კოორდინაციის ცენტრს. 1992 წელს მას შეუერთდა ნაციონალური ბეჭდვითი არქივი და ლიგვის წიგნის პალატა. მისი ფონდი შეიცავს 7 მილიონ წიგნად ერთეულს. მასში შედის შუასაუკუნის მანუსკრიპტების, ძველი და იშვიათი წიგნების სპეციალური კოლექცია, ლიგვანიკის გამოცემები, საბავშვო

წიგნები, მუსიკალური ჩანაწერები და ხელოვნების გამოცემები, საბავშვო წიგნები, მუსიკალური ჩანაწერები. ელ. კატალოგში განთავსებულია ნახევარ მილიონამდე ჩანაწერი. შესდგება 6 ცენტრისაგან, 14 დეპარტამენტისაგან და გააჩნია 18 სამკითხველო დარბაზი (670 სამუშაო ადგილით). ჰყავს 510 თანამშრომელი. მათ შორის 38 სპეციალისტი დაკავებულია მარტო რესტავრაციის განყოფილებაში, სადაც ჩვენ სანიმუშო წესრიგი და სუსუფთავე დავგვხვდა. გერმანიის დაფინანსების წყალობით, იქაურობა აღჭურვილია თანამედროვე დანადგარებით და ხელსაწყოებით.

ლიგვაში 19 საუნივერსიტეტო და 19 კოლეჯის აკადემიური ბიბლიოთეკაა. ჩამოყალიბდა ლიგვის აკადემიური ბიბლიოთეკების ქსელი (LABT). „ლიბის“-ის (LIBIS) შეერთებულ კატალოგში მონაწილეობს 68 ბიბლიოთეკა, მასში მოთავსებულია 1 მილიონ 517 ათასი ჩანაწერი. იყენებენ ავტომატიზაციის საინფორმაციო სისტემა „ალეფ“-ს (ALEPH), რომელიც დაინერგა 2001 წლიდან. ლიგვის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა დაარსდა 1941 წელს. მას გადაეცა ევროპაში ცნობილი ცადეუმ ვრუბლევსკის ბიბლიოთეკის შენობა. 4 მილიონამდე წიგნადი ეგზემპლარისაგან და მეოთხედი მილიონი მანუსკრიპტისაგან შესდგება მის წიგნად ფონდი, ფართოდაა წამოღვენილი ნუმეროზი კარტოგრაფიული და ფერწერული კოლექციები.


კაუნასის გექნოლოგიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა დაარსდა 1923 წელს. მისი ფონდის კოლექცია შეიცავს 2 მილიონამდე ეგზემპლარს, ასევე დამატებით 20 ათას ეგზემპლარს იშვიათი ლიგვური და უცხოური წიგნების კოლექციას დაწყებული მე-15 საუკუნიდან. კომპლექტდება ყოველწლიურად 15-17 ათასი ახალი წიგნით. შესდგება 7 დეპარტამენტისაგან, მოიცავს 10 სამკითხველო დარბაზს (500 სამუშაო ადგილით), 3 ინტერნეტის ოთახს (38 სამუშაო ადგილით). 76 თანამშრომელი

ემსახურება 25 ათას მომხმარებელს, რომელთაც 1 მილიონზე მეტი წიგნი გააქვთ ყოველწლიურად. ALEPH-ის საძიებო სისტემაში 1 მილიონამდე ბიბლიოგრაფიული და 2,71 ერთეული ჩანაწერია, შემუშავდა ლიგვის ვირტუალური ბიბლიოთეკის კონცეფცია, რომლის შეერთებულ კატალოგში ინფორმაცია არ ინახება, მას გააჩნია სპეციალური საძიებო მანქანის ფუნქცია, რომელიც ინტერნეტს იყენებს როგორც ცენტრალიზებულ მანქანას მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის მეშვეობით. გამოიყენება შუალედური დამაკავშირებელი სერვერი SEX და სხვადასხვა ფორმაგის მონაცემთა ბაზები: USMARC, MAB, UNIMARC; ISO2709. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში აქტიურად იყენებენ უცხოური გამოცემების ელ. ჟურნალებს. ხელმოწერა მონაცემთა ბაზებზე დაიწყო: EBSCO publishing-ზე 1999 წლიდან, ISI „Web of Science“ ციფრულ (ჩამონათვლის) მონაცემთა ბაზებზე 2001 წლიდან, springer LINK და ScienceDirect-ზე 2002 წლიდან, Cambridge Journals Online და ProQuest-ზე

2003 წლიდან, IEEE/IEL-ზე კი 2004 წლიდან. ამასთან ბოლო 2 წელიწადში სტატისტიკურად მკვეთრად გაიზარდა ამ ბაზების აქტიური გამოყენება მომხმარებელთა მიერ.


ლიგვის ბიბლიოთეკების შესახებ კანონში (მიღებულია 1995 წლის 6 ივნისს) წერია, რომ ლიგვის საბიბლიოთეკო სისტემას შეადგენენ უნივერსალური და სპეციალური ბიბლიოთეკები. უნივერსალურ ბიბლიოთეკებად ითვლებიან: ნაციონალური ბიბლიოთეკა, საჯარო ბიბლიოთეკები, მამრების ბიბლიოთეკები, რაიონული და საქალაქო თვითმმართველობის ბიბლიოთეკები. სპეციალურ ბიბლიოთეკებად ითვლებიან: სამეცნიერო ინსტიტუტების ბიბლიოთეკები, უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები, განათლების დაწესებულებების და სხვა ბიბლიოთეკები.

ლიგვის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებთან ურთიერთობა უთუოდ სასიკეთოდ წაადგება ქართული საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას.



ინგა ფილაური

სემინარი ურთიერთობა ბრძელდება



მკითხვებისთვის უკვე ცნობილია, რომ გასულ წელს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის მოწვევით სტუმრად იმყოფებოდა ამერიკელი პროფესორი შეილა ინგნერი; მან ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებს წაუკითხა ლექციების კურსი და მათთან ერთად მონიახულა ჩვენი წამყვანი ბიბლიოთეკები,

სპეციალისტებთან ჩააგარა სემინარები. მასთან ახლდა ლუიზიანის შტატის ქალაქ ბოსტონის საჯარო ბიბლიოთეკის გექნოლოგიური განყოფილების გამგე ქალბატონი ბობი ფერგასონი, რომელიც აგრეთვე ეწევა ინგლისური ენის სწავლებას ამერიკაში ჩამოსული უცხოელებისათვის. მასაც არაერთი შეხვედრა ჰქონდა ჩვენს სტუდენტებთან. ამერიკელი სპეციალისტების მონაწილეობით მაშინ პელუნივერსიტეტში სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ჩაგარდა.



როგორც ამ ჯგუფის კოორდინატორს, მათთან მუდმივი კავშირი მქონდა და საჭირო ინფორმაციების ურთიერთგაცვლას ვახდენდი. მოლაპარაკების საფუძველზე 5-19 ნოემბერს ქ-ნი ბობი თბილისში იმყოფებოდა სტუმრად

ჩვენს კათედრაზე, ამჯერად არა მარტო როგორც საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტი, არამედ როგორც ენის პედაგოგი.

როგორც ცნობილია, ჩვენი სტუდენტები უცხო ენაში სპეციალიზირდებიან, რაშიც მათ გარკვეული წარმატებები აქვთ, მაგრამ ნაკლებად იცნობენ უცხოურ სპეციალურ ტერმინოლოგიას, რომელიც ბიბლიოთეკაში წიგნების დამუშავება-აღწერისა და კლასიფიკაციის დროს არის საჭირო. ამდენად, ამ მიმართულებით მათი მუშაობა მეგად სასარგებლო საქმეა.

ქ-ნი ბობი, რომელმაც თავისი ხარჯებით უმრუნველყო საქართველოში ჩამოსვლა, დათანხმდა ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე ემუშავა სტუდენტებთან და ასპირანტებთან. 13 ახალგაზრდა ჯგუფებად დაყოფილი ყოველდღიურად მეცადინეობდა მასთან და საკმაოდ მაღალ შედეგსაც მიაღწიეს. განსაკუთრებით დაგვირთულნი იყვნენ ჩვენი კათედრის ასპირანტები, რომლებიც ამერიკელ სტუმართან მეცადინეობის შემდეგაც განაგრძობდნენ მასთან ურთიერთობას კულტურული პროგრამების ფარგლებსა და ოჯახებში. აღსანიშნავია, რომ ქ-


ნმა ბობიმ მრავალი წიგნი და თვალსაჩინო მასალა ჩამოიგანა, რომელიც უსასყიდლოდ დაურიგა თავის მსმენელებს და ნაწილი კათედრასაც გადასცა. ის ამასაც არ

დასჯერდა, და ჩვენი ერთი ასპირანტურად-მთავრებული – ეთერ ფარეხელაშვილი თავისი ხარჯებით წაიყვანა ამერიკაში და ორ თვეზე მეტხანს გააგარებინა სტაჟირება თავის ბიბლიოთეკაში, გააცნო შტატების ღირსშესანიშნაობები, ჰყავდა ექსკურსიებზე.

ქ-ნი ბობი მეგად ენერგიული, გულისხმიერი, კომუნიკაბელური პიროვნებაა, მაღალი რანგის პროფესიონალი, თავის საქმეზე უმომოდ შეყვარებული სპეციალისტი. განსაკუთრებით საგულისხმოა მისი თბილი დამოკიდებულება მსმენელების მიმართ, გამძაფრებული ინგერესი ჩვენი ცხოვრებისადმი. ის ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა, რამაც საშუალება მოგვცა კარგად გავცნობოდით მას შინაურ ატმოსფეროში და ხელი შეგვეწყო მისთვის, ესოდენ კეთილი საქმის სანაცვლოდ, მშვიდ და მეგობრულ გარემოში ყოფილიყო, შრომასთან ერთად დასვენებაც მოესწრო. სწორედ ამ მიზნით მსმენელებთან ერთად დავესწარიტ ოპერას „აბესალომი და ეთერი“, ექსკურსიაზე ვიყავით თელავში, გაოცებული დარჩა არა მარტო კახეთის ღირსშესანიშნაობებით, არამედ კახელების უსაზღვრო სტუმართმოყვარეობით. აქაც მოახერხა კარგად გაცნობოდა საბიბლიოთეკო საქმიანობასა და ადგილობრივ სპეციალისტებს – შეხვდა პედაგოგიური უნივერსიტეტისა და რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკების თანამშრომლებს.

ქ-ნი ბობი გვპირდება, რომ ამით არ ამოიწურება მისი საქველმოქმედო მოღვაწეობა და კვლავ გააგრძელებს ჩვენთან მეგობრულ და საქმიან კონტაქტებს.





თეა იოსავა

ბიზლიოთიკების პარტიის სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდი



ართვის მეთოდები – ეს არის ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად მართვის ობიექტზე გემოქმედების ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა.

მართვის პრაქტიკაში, როგორც წესი, ერთდროულად გამოიყენება რამდენიმე მეთოდი ან მათი კომბინაცია. ჩვენ შევეხებით სოციალურ-ფსიქოლოგიურ მეთოდებს, რომლებიც კოლექტივის სოციალური აქტიურობის ამაღლების მიზნით გამოიყენება.

წარმოების ეფექტიანობა დიდადა დამოკიდებული ადამიანის ფაქტორზე, რაც იმას ნიშნავს, რომ შრომის შედეგები დამოკიდებულია მთელ რიგ ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე. ხელმძღვანელი სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით ახერხებს თითოეულ მუშაკზე გემოქმედება მოახდინოს და, ამგვარად, საერთო მიზნებისა და ამოცანების მქონე კოლექტივის აყალიბებს. ეს მოითხოვს თითოეული მუშაკის მორალური და ფსიქოლოგიური თვისებების, ცალკეული ჯგუფისა თუ მთლიანად კოლექტივის სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების არა მხოლოდ ცოდნას, არამედ მათ მართვას. სწორედ ამ მიზნით გამოიყენება მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები.

მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდების საფუძველია შრომის მორალური სტიმულირება, პიროვნებაზე ფსიქოლოგიური საშუალებების გამოყენებით ადმინისტრაციული დავალებების თითოეული მუშაკისათვის შინაგან მოვალეობად და მოთხოვნილებად გადაქცევა. სოციოლოგიური გამოკვლევები მო-

წმობენ, რომ ხელმძღვანელის საქმიანობის წარმატება 15%-ით დამოკიდებულია მის პროფესიონალიზმზე, ხოლო დანარჩენი 85% ადამიანებთან მისი მუშაობის უნარზე.

მართვის მეთოდების გამოყენების მთავარი მიზანია კოლექტივში ჯანსაღი სოციალურ-ფსიქოლოგიური გარემოს შექმნა, რაც აღმზრდელობითი, ორგანიზაციული და ეკონომიური ამოცანების ეფექტურად გადაწყვეტას უზრუნველყოფს.

ადამიანებზე გემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებას წარმოადგენს დარწმუნება. დარწმუნების პროცესში ხელმძღვანელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს ერთობლივი საქმიანობის დროს ადამიანის ქცევისა და ადამიანური ურთიერთობის ბუნება.

ადამიანის შინაგანი ბუნების გათვალისწინება ხელმძღვანელს საშუალებას აძლევს, შეაჩეროს მისი სტიმულირებისა და შრომითი აქტიურობის ამაღლების ყველაზე ეფექტიანი ფორმები და საშუალებები. სოციალურ-ფსიქოლოგიური მართვის ობიექტს შრომით კოლექტივში წარმოადგენს მუშაკებს შორის ურთიერთობები, წარმოების საშუალებებსა და ფიზიკური გარემოსადმი მათი დამოკიდებულება. სოციალურ-ფსიქოლოგიური გემოქმედების მიზნით, შერჩეული წესები და საშუალებები დამოკიდებულია ხელმძღვანელის მომზადების დონეზე, კომპეტენტურობაზე, ორგანიზაციულ შესაძლებლობებსა და სოციალური ფსიქოლოგიის ცოდნაზე. მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდების სრულად განხორციელება ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფი

23827

სპეციალისტებისაგან მეტ მოქნილობას მოითხოვს, მათი საქმიანობის წარმატება ამ მიმართულებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად არჩევენ და იყენებენ ისეთ სოციალურ-ფსიქოლოგიური გემოქმედების ფორმებს, რომლებიც ჯანსაღ საწარმოო გარემოს აყალიბებს. ასეთი გემოქმედების ძირითად და მნიშვნელოვან ფორმებად შეიძლება ჩაითვალოს: ორგანიზაციის სოციალური განვითარების დაგეგმვა, დარწმუნება, როგორც აღზრდისა და პიროვნების ფორმირების მეთოდი, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც მართვის მეთოდი და მშრომელთა მართვაში მონაწილეობის გაძლიერება და ა. შ.

მართვა არის დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტივაციისა და კონტროლის პროცესი, რომელიც აუცილებელია ფირმის (ორგანიზაციის) მიზნების ჩამოყალიბებისა და რეალიზაციისათვის. ცნობილი სპეციალისტის პიეტერ დრუკერის (რომელიც მსოფლიოში მართვისა და ორგანიზაციის სფეროში წამყვან თეორეტიკოსად ითვლება) აზრით, მართვა მოღვაწეობის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც ხალხის არაორგანიზებულ ჯგუფს ეფექტიან, მიზანდასახულ და მწარმოებლურ ჯგუფად გადააქცევს. მართვა სოციალური გარდაქმნების მასტიმულირებელ ელემენტს წარმოადგენს.

ყოველი ორგანიზაციის სათავეში ძალაუფლება დგას, რომელიც თავის სტრუქტურას ეყრდნობა. ძალაუფლების გარეშე არ არსებობს ორგანიზაცია და არ არსებობს წესრიგი.


ჩვენ შევჩერდებით ბიბლიოთეკების სოციალურ-ფსიქოლოგიური მართვის მეთოდებზე. ბიბლიოთეკების მეთოდები დიდად არ განსხვავდება სხვა ორგანიზაციებისაგან, მხოლოდ ერთი განსხვავებაა – ბიბლიოთეკის კოლექტივი ძირითადად ქალბატონებით არის დაკომპლექტებული, ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს დადებითი სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას. ქალები უფრო ემოციურნი

არიან, ვიდრე მამაკაცები. მათი ემოციურობა განპირობებულია კოლექტივისადმი პირადი დამოკიდებულებით, ვიდრე საქმესთან დაკავშირებით. პიროვნული ურთიერთობები ერთობლივი მუშაობის პროცესში შეიძლება იყოს: ოფიციალური, არაოფიციალური, საქმიანი, პირადული, რაციონალური და ემოციური.

ბიბლიოთეკის კოლექტივისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დადებითი სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას. ჯგუფს, რომლის წევრებიც ერთმანეთს ენდობიან, გაცილებით უფრო მეტს გაკეთება შეუძლია, ვიდრე ჯგუფს, რომელშიც ასეთი ნდობა არ არსებობს. სოციალური კაპიტალი ბაღებს თანამშრომლობისაკენ ლგოლვას. სოციალური ნორმები და ურთიერთკავშირები ძლიერდება მათი გამოყენების შემთხვევაში და ქრება გამოუყენებლობის შემთხვევაში.

ნდობა, რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივი ინტეგრაციისა და თანამშრომლობისათვის, სულაც არ არის ბრმა. იგი თავის თავში მოიცავს მოქმედი პირების საქციელის პროგნოზს. ბალანსირებული ურთიერთდამოკიდებულება გულისხმობს ძალოვანი მომსახურების ერთდროულ გაცვლას.

ადამიანთაშორისი ურთიერთობების ანუ ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ თუ ხელმძღვანელობა მეტ ყურადღებას დაუთმობს მომუშავეებს, მათი ადამიანური განცდებისა და მოთხოვნების შესწავლასა და დაკმაყოფილებას, მწარმოებლურობა აუცილებლად ამაღლდება. ხელმძღვანელი უნდა დაეხმაროს თითოეულ მომუშავეს თავისი უნარის, მიდრეკილებების, შესაძლებლობების შეცნობაში და ეს შესაძლებლობები გამოიყენოს უფრო მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანური რესურსების ამაღლების ხარჯზე, ორგანიზაციის ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ცხოვრებისეული ფასეულობები და გრადიციები მნიშვნელოვან გემოქმედებას ახდენს ორგანიზაციაზე. მაგ.,



აშშ-ს მოსახლეობა მხარს უჭერს ეთნიკური ნორმების დაცვასა და განვითარებას, და ამორალურად ითვლება ქრთამის აღება მომგებიანი კონგრატის მიღების მიზნით, კომპეგენგურობის ნაცვლად ფავორიტების მხარდაჭერა და ა. შ. არც ქართული მენგალიგეგისათვის არის ეს უცხო. როდესაც სამსახურში იყვანენ ახალ თანამშრომელს, ის ყველა ნორმას უნდა აკმაყოფილებდეს. ნორმებში შედის როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური, ფორმალური და არაფორმალური ელემენტები. სამსახურებრივ ეტიკეტში შედის ისეთი არაფორმალური ელემენტები, როგორცაა გუნება-განწყობილება, მისალმების მანერა, ხელმძღვანელის მიმართვის ფორმა თანამშრომლებისადმი, კრიტიკის ფორმები და მეთოდები. კეთილსასურველი სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი და მეთოდები. კეთილსასურველი სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი ხასიათდება მხნე, მაჟორული განწყობილებით, რომელიც კოლექტივში სუფევს. ეს გამოიხატება ურთიერთპატივისცემაში, ურთიერთდახმარებაში, ერთსულოვნებაში. ასეთი კლიმატის დროს კონფლიქტები არ არსებობს ან თუა – უმნიშვნელოა და დროებითი. კონფლიქტები და კონფლიქტური სიტუაციები შეიძლება შეიქმნას: ჰორიზონტალური და ვერტიკალური (დამოკიდებულია კოლექტივისა და ხელმძღვანელს შორის ურთიერთობაზე);

ანტაგონისტური და კომპრომისული (დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დასაშვებია ეს მეთოდი);

ღია, დახურული, პოგენციური (შიდაპირადული, – გააჩნია კოლექტივის წევრების რაოდენობას);

ორგანიზაციული და ემოციური (პრობლემების ხასიათის გათვალისწინებით).

ყველაზე უფრო ხშირად ჯგუფში კონფლიქტური სიტუაციები იქმნება მაშინ, როდესაც ჯგუფის წევრებს ურთიერთგამომრიცხავი მიზნები აქვთ. ესენია: ორგანიზაციული სტრუქტურის

მოძველებულობა, მაგერიალური სტიმულის უქონლობა, შრომის არახელსაყრელი პირობები და სხვ.

კოლექტივში კონფლიქტური სიტუაციები აუცილებლად დროულად, სწრაფად და გონივრულად უნდა გადაწყდეს. საქართველოში ისეთი ცნებებით, როგორც ადამიანის უფლებები, სამოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილის მიერ არის მიჩნეული ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილად. ადამიანის უფლებები ცოდნის ის დარგია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული რელიგიასთან, ფილოსოფიასთან, პირველ რიგში კი – ეთიკასთან, იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებთან. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ერთგვარად მღუდავს სახელმწიფოსა და ხალხს ხელისუფლების განხორციელებისას. მაშასადამე, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ამგვარი გარანტიის შექმნით პიროვნება დაცულია ხალხისა და სახელმწიფოს თვინებობისაგან. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს მრწამსი და თავისუფლად გამოხატოს იგი. მართალი სიტყვა და კრიტიკული ამროვნება ქართული კულტურის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია. ადამიანებს შორის უბრალოება, თავაზიანობა და ეთიკის ნორმების დაცვა – ერთ-ერთ ყველზე მაღალ ღირებულებად რჩება ქართულ ყოფით კულტურაში.

ღიალოგი სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებს შორის უნდა იყოს უბრალო და თავიანთიანი, რადგან სწორედ ამ თვისებებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ხალხი. ხელმძღვანელის რეგინგსაც ხშირად მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს შეფასების ეს კრიტერიუმი, რაც არ უნდა პროფესიონალი და წარმატებული იყოს იგი. დიდი ფრანგი პოეტი პოლ ვალერი ამბობდა: თავაზიანობა შენიღბული გულგრილობააო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავაზიანობა რომ დადებითად მოქმე-

ლებს ადამიანის ფსიქიკაზე, ესეც დიდი ხანია გამოკვლეული და დასაბუთებულია.

თანასწორობა, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ღირებულებაა. განსაკუთრებით თვალშისაცემია მაღალ და დაბალ სოციალურ საფეხურზე მყოფი პირების ურთიერთობა. მაღალი ღირებულებების უარყოფამ შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი და მასთან მღვევი გართულებები.

ადამიანის უფლებებზე თავდასხმა უკუ რეაქციას იწვევს. მორჩილებას დაუმორჩილებლობა უპირისპირდება. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისას“ პერსონაჟის – სოლომონ ლიონიძის პირით ერეკლე მეორის მიმართ დასმულ შეკითხვაში –

„მაგრამ შენ, მეფე, ვინ მოგცა ნება,
სხვას განუბოძო შენ ყმათ ცხოვრება.
მისდევდე შენსა გულისკვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?“

ნათლად ჩანს ქართველი ხალხის მორალური მრწამსი. თითოეულმა ქართველმა კარგად იცის მშვიდობის ფასი, იქნება ეს სახელმწიფო მასშტაბით, თუ ადამიანურ ურთიერთობაში.

დიდი ხელოვნებაა განაწყენებული ადამიანის სულში ჩაწვდომა, მისი გაგება და მისი უფლებების აღიარება. ადამიანის უფლებები საზოგადოების უფლებებზე მაღლა დგას.

მოსაუბრეს უნდა აგრძნობინოთ, რომ თქვენ დაინგერესებული ხართ მისი პრობლემის მოსმენისათვის. ამ დროს შეწყვიტეთ გამაღიზიანებელი საქმიანობა – ნუ ხატავთ, ნუ უკაკუნებთ მაგიდას, ნუ ათვალეირებთ ქაღალდებს; უნდა თანაუგრძნოთ მოსაუბრეს, ეცადეთ, თავი წარმოიდგინოთ მის მდგომარეობაში.

იყავით მომთმენი, ნუ შეაწყვეტინებთ მოსაუბრეს ამრის გადმოცემას, თუ კი მან თემას არ გადაუხვია. შეიკავეთ ემოციები. გაბრაზებულ ადამიანს უჭირს სიტყვების შერჩევა.

არ დაუშვათ თავაშვებული კამათი და კრიტიკა. მოსაუბრეს ნუ ჩააყენებთ თავდაცვით პოზიციაში. იგი ან გაჩუმდება ან გაბრაზდება. არ

ეკამათოთ ჯიუტად, კამათში გამარჯვებით ნუ იფიქრებთ, რომ მოიგეთ.

დაუსვით მოსაუბრეს შეკითხვები. ეს მას წახალისებს და დაარწმუნებს, რომ თქვენ ნამდვილად უსმენთ.

ის ადამიანი, რომელიც არ უსმენს მოსაუბრეს, ვერც სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვებას შესძლებს. გაარკვიეთ, რა მოითხოვს სრულყოფას.

საჭიროა მიმართვის ხელოვნების სრულყოფა. გამოიჩინეთ ყურადღება სხვა ადამიანების მიმართ. ეს იგივეა, რაც შეეკითხობთ თქვენს თავს: „ვინ არის ის ადამიანი, ვისაც უნდა მივმართოთ? როგორ უნდა ეცადოთ, არ მიიღოთ ნაჩქარევი და მოუფიქრებელი გადაწყვეტილებები. უნდა შეეცადოთ, ბოლომდე გაერკვეთ საქმის არსში, პრობლემებსა და სიტუაციებში, რომლებსაც მოსაუბრე აყენებს, თუმცა ეს, სრულებით არ გავალდებულებთ, გაიზიაროთ მისი მოსაზრებები.

ყველა ორგანიზაცია თავისთავად სისტემას წარმოადგენს, მომუშავეები კი ორგანიზაციის სოციალურ კომპონენტებს, რომლებიც მუშაობის პროცესში მართვის თვალსაზრისით ერთად გამოიყენებიან. არსებობს ადამიანთა ქცევის სამი ძირითადი ასპექტი: ცალკეული ადამიანის ქცევა, ადამიანთა ჯგუფის ქცევა, ხელმძღვანელის ქცევა ე. ი. მენეჯერის, როგორც ლიდერის ქცევა, მისი როლი და გავლენა ცალკეულ პიროვნებათა თუ ადამიანთა ჯგუფების ქცევაზე. არ არსებობს ორი ადამიანი, რომელსაც ერთნაირი პიროვნული მახასიათებლები ჰქონდეს. ამიტომაც ადამიანების ქცევის მართვა ძალიან რთული საქმეა. ადამიანები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან უნარის მიხედვით. ისინი მკვეთრად განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ამა თუ იმ პროფესიისა და სპეციალობისადმი. უნარი არც თუ იშვიათად თაობებს მემკვიდრეობით გადაეცემა. ადამიანის უნარის ბრძაში

განსაკუთრებით დიდია შეძენილი გამოცდილებების მნიშვნელობა. ამიტომ, თუ გვინდა მაქსიმალურ ეფექტს მივაღწიოთ, ამა თუ იმ თანამდებობისათვის ადამიანის შერჩევის დროს სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი უნარი.

ადამიანების მიდრეკილების შეცნობა პროფესიონალი მენეჯერის ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი თვისებაა. თუ ხელმძღვანელს არ შეუძლია სწორად შეაფასოს ამა თუ იმ სამუშაოსადმი კონკრეტული პიროვნების მიდრეკილება, მაშინ, საერთოდ, წარმატების მიღწევამდე ფიქრიც კი არ შეიძლება. ადამიანი როგორც აღიქვამს გარემოს, იმის შესაბამისად იქცევა. ფსიქოლოგები ტრადიციულად ადამიანების ქცევას აღწერდნენ პიროვნების ცალკეული თვისებიდან გამომდინარე, კერძოდ კი, როგორიცაა: აგრესიულობა, პატიოსნება, საკუთარ ძალებში დაჯერებულობა, გულგახსნილობა ან გულჩათხრობილობა, გაბედულება ან გაუბედაობა. 70-იან წლებამდე ფსიქოლოგების უმეტესობა თვლიდა, რომ ადამიანის ეს თვისებები ყოველგვარ სიტუაციაში მუდმივია, ე. ი. გაბედული ადამიანი ყოველთვის გაბედულად იქცევა, მხდალი კი ყოველთვის მხდალია.

ამჟამად ფსიქოლოგთა საკმაო ნაწილი ამტკიცებს, რომ ადამიანის ქცევა იცვლება სიტუაციის შესაბამისად. სიტუაცია ბევრად უფრო მეტ გავლენას ახდენს ადამიანის ქცევამდე, ვიდრე პიროვნული თვისებები. ეს იმაზე მიუთითებს, რომ თუ გვინდა ორგანიზაციის წარმატება, მაშინ ეფექტიანი მუშაობისათვის საჭირო სიტუაცია უნდა შეიქმნას.

საჭიროა შრომის პირობების გაუმჯობესება, მაგერიალური და მორალური სტიმულირების ეფექტიანი ღონისძიებების გატარება იმისათვის, რომ სრულად გამოვლინდეს მომუშავეთა შესაძლებლობანი. სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენა შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე გექნიკური და ფიზიკური პირობე-

ბის ცვლილება. ორგანიზაციები შედეგება განყოფილებებისაგან. ისმის კითხვა: როგორ ავამაღლოთ მათი მუშაობის ეფექტურობა? თავდაპირველად უნდა გავითვალისწინოთ ადამიანებზე მუშაობის მემოქმედების ფაქტორები. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორს წარმოადგენს ჯგუფის სიდიდე, შემადგენლობა, ჯგუფური ნორმები, ჯგუფის წევრთა შეკავშირება (სიმკაცვე), კონფლიქტურობის ხარისხი, ჯგუფის წევრთა სტატუსი და ფუნქციონური როლი.

გამოკვლევების შედეგად, ასკვნიან, რომ სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ჯგუფის იდეალური სიდიდე შეიძლება მერყეობდეს 5-დან 11 კაცამდე.

ჯგუფის შემადგენლობაში იგულისხმება პრობლემების გადაჭრის დროს მისი წევრების პიროვნული თვისებისა და თვალსაზრისების მსგავსების მდგომარეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში განსხვავებული პიროვნული თვისებებისა და თვალსაზრისის მქონე ჯგუფის დაკომპლექტება ბევრად უფრო ეფექტურია, რადგანაც ამრთა ჭიდილში იბადება ჭეშმარიტება.

ჯგუფის წევრები ვალდებული არიან მთლიანად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა, რომელიც საერთო მიზნის რეალიზაციისაკენ არის მიმართული.



ბადრი ცხადაძე

პალეოგრაფიულ-ნიგნოსოლოგიითი ტერმინები ქართულში: ზანდუკი, სარჩევი, უინაარსი

ზანდუკი დღევანდელ, თანამედროვე ქართულ ენაში საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვაა. იგი სკივრის მნიშვნელობით დასტურდება სვანურ ენაშიც (1,105), (2,104); მანდუკუ || მანდუკ (3,251). ეს სიტყვა უცხოური წარმომავლობისაა. იგი შესულია რუსულშიც СУНДУК-ის სახით, სომხურშიც. შდრ. გვარსახელი სუნდუკიანი. მანდუკისაგან წარმომავლობა-სადაურობის – ელ სუფიქსის მეშვეობით ნაწარმოებია გვარი მანდუკელი, რომელიც ისტორიულად მანდუკ გეოგრაფიული სახელისაგან უნდა მომდინარეობდეს. სოფელია დუშეთის რაიონში. ქართული ენის განმარგებით ლექსიკონში იგი არაბული წარმომავლობის სიტყვადაა მიჩნეული: არაბ. სანდუკ (4,95). სულხან-საბა ორბელიანის მითითებითაც, მანდუკი სხვათა ენაა, რომელსაც ქართულად კილობანი ჰქვიათ – ZA, ანუ „შესაკრებელი“ ZABC (5,280). დ. ჩუბინაშვილი ამ სიტყვას სპარსული წარმომავლობისად სახავს (მანდუკი – სპარს. „სკივრი, კილობანი, პინაქსი, სარჩევი წიგნისა, СУНДУК, ОГЛАВЛЕНИЕ КНИГИ“) (6,511). ნ. ჩუბინაშვილის განმარგებით კი მანდუკი სკივრია, კილობანი, СУНДУК ЕҔҔԾԾԾԿ || პინაქსი, სარჩევი წიგნისა, ОГЛОВЛЕНИЕ (7,2180). ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მანდუკს სამი მნიშვნელობა აქვს: 1. ყუთი, 2. საძიებელი, ცხრილი წიგნისა, 3. ხორცის ფერი, „წითელი“ (8,162). ჩვენი ამრით, სამივე მნიშვნელობა, წიგნთმცოდნეობით – პალეოგრაფიული თვალსაზრისით, საინტერესოა. ყუთი, რომელშიც წიგნიც ჩაიღება. სწორედ ამ პირველი მნიშვნე-

ლობისაგან წარმომდგარა ბოლო ორი მნიშვნელობა: წითელი ფერი და სარჩევი. გიორგი ხუცეს – მონაზონი ერთგან აღნიშნავს: „უკუეთუ ვინმე იყოს... და უნდეს... ძალი თითოეულისა წიგნისაჲ, თუ რაჲ სწერია, ამის წიგნისა ბოლოს პოოს... განმარგებულად თითოეულისა წიგნისა მანდუკი... რომელი წმიდამან ბერმან იოანე პაგრიკ ყოფილმან აღწერა“... (9,74)

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მანდუკი წიგნის სარჩევს ნიშნავს.

ირკვევა, რომ მანდუკ ლექსემა წარმოშობით არც არაბულია და არც სპარსული. იგი ძველი ბერძნული δανδუჯ სიტყვისაგან მომდინარეობს და ნიშნავს წითელს. ჯერ კიდევ ეგვიპტურ პაპირუსებში გექსტის ცალკეულ ნაწილებს ერთმანეთისაგან წითელი მელნით გამოყოფდნენ. ეს წესი, როგორც მ. სურგულაძე აღნიშნავს, მგკიცედ დამკვიდრდა ბერძნულ და ლათინურ ხელნაწერებში (10,65). აღსანიშნავია, რომ ლათინურად წითელ მელანს ეწოდება Ruber, წითლით ნაწერ ბუკარს – Rubrica. შემდგომში ეს სიტყვა ეწოდა ყოველგვარი შინაარსის გექსტის სათაურს, რადგანაც მაშინ სათაურები წითელი მელნით იწერებოდა (11,37).

ბერძნულ ხელნაწერებში გარდა სათაურებისა, სარჩევის დასაწყისი და თავთა დასაწყისი ასოებიც წითელი მელნით იწერებოდა. სწორედ ამიგომ, ამის საფუძველზე ქართული „მანდუკი“ (ანუ წითელი) სარჩევსაც შეერქვა, ანუ გექსტის იმ ნაწილს, რომელშიც წითელი ფერი სჭარბობდა. X-XIII ს.ს ქართულ ხელნაწერებში მანდუკი ანუ სარჩევი ძირითადი გექსტისაგან წითელი მელნითაა გამოცალკეებული.

როგორც ახლა, ისე ძველად მანდუკის – სარჩევის ადგილი, ქართული გრადიციისამებრ მტკიცედ განსაზღვრული არ არის. მაგ: ძველ ხელნაწერს იგი თავშიც დაერთვოდა და ბოლოშიც. უფრო ხშირად, როგორც მ. სურგულაძე აღნიშნავს, მანდუკი მოთავსებული იყო ხელნაწერის თავში (10,66).

მანდუკი ძველად ერთვოდა ყოველგვარი შედგენილობის წიგნს. მასში თანამიმდევრობით შეგანილი და დალაგებული იყო თავთა სათაურები.

ღირსსაყნობია ისიც, რომ ძველად საძიებელსაც სარჩევის ანუ მანდუკის დანიშნულება ჰქონდა, თუმცა მისი შედგენის პრინციპი და დანიშნულება განსხვავებული იყო, საძიებლად ჩვეულებრივ, ლიტურგიკულ ხელნაწერებს ერთვოდა, მანდუკში კი ხელნაწერის შემადგენელი თავები იყო ჩამოწერილი, იგი ხელნაწე-

რის შინაარსს გადმოსცემდა, საძიებელში კი მასალა საკითხავების მიხედვით იყო წარმოდგენილი და წლის შესაბამის დღეებზე იყო განაწილებული. აღსანიშნავია ისიც, რომ საძიებელი წითელი მელნით იწყებოდა. წითლით იწერებოდა თვეების, დღეებისა და საკითხავთა დასაწყისი ასოები (10,66).

დღესდღეობით ქართულში, ცალკეულ წიგნებსა თუ პერიოდულ გამოცემებში, მანდუკის ნაცვლად წიგნის თავსა და ბოლოში გვერდიგვერდ, პარალელურად იხმარება სარჩევიც და შინაარსიც, სარჩევი რუსული „ИЗЪРЯННОЕ“-სგანაა ნაწარმოები, ხოლო შინაარსი – სარჩევის სინონიმი – რუსული СОДЕРЖАНИЕ-ს კალკს წარმოადგენს – შინაარსის (ისევე, როგორც დედააბრის, მიმართულების) ქართულ ენაში დამკვიდრება ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება.

მითითებული ლიტერატურა:

1. ლიპარგელიანი ასლ. სვანურ-ქართული ლექსიკონი: (ხოლურული კილო). – თბ., 1994.
2. ღონდუა კ. სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი /აღ. ონიანის რედაქციით. – თბ., 2001.
3. თოფურია ვ., ქალღანი მ. სვანური ლექსიკონი. – თბ., 2000.
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: IV /პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. – თბ., 1955.
5. ორბელიანი სულხან-საბა. თხზულებანი: გ. IV. /ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ. – თბ., 1965.
6. ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი: მეორე გამოცემა; აღდგენილი ოფსეტის წესით. /სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ. – თბ., 1984.
7. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. /აღ. ღლონგის რედაქციითა და გამოკვლევით. – თბ., 1961.
8. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები). – თბ., 1973.
9. ვიმოწმებთ ივ. ჯავახიშვილის წიგნიდან: ივ. ჯავახიშვილი, ქართულ დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია: მეორე გამოცემა. – თბ., 1949.
10. სურგულაძე მ. ძველი ქართული პალეოგრაფიული გერმინები. – თბ., 1978.
11. Добиаш-Раждественская О.А. История письма в средние века. – Петербург. 1923.

ბუნების აღილი ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში და ეკოლოგიური განათლების საკითხები ბავშვთა შორის მოქუშავე ბიბლიოთეკაში

პედაგოგიურ მეცნიერებაში მრავალ პრობლემათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბავშვთა ეკოლოგიური აღზრდა-განათლებაა. პედაგოგიკაში აღნიშნული თემა დიდი ხანია მკვლევართა დაინტერესების საგანს წარმოადგენს. შექმნილია ბევრი საინტერესო ნაშრომი, სტატია, გამოკვლევა, მხატვრული ნაწარმოები, ფოლკლორული პროზა და პოეზია... განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია დ. გურამიშვილის, გრ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ი. გოგებაშვილის, ნ. კეცხოველის, არნ. გეგეჭკორის და სხვათა გამოკვლევები თუ მხატვრული ნაწარმოებები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ კვლავ გადაუჭრელია პრობლემების მთელი რიგი, კერძოდ, სრულყოფილად არაა დასაბუთებული საბუნებისმეტყველო დარგის საგნების სწავლების პროცესში ეკოლოგიური აღზრდა-განათლების ასახვის აუცილებლობა, არ არის განსმზღვრული ეკოლოგიური განათლების, სწავლების ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ცოდნა-ჩვევების გამომუშავების ეფექტურობის მაჩვენებელი... მოსწავლეთა ეკოლოგიური შეგნების ფორმირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლებას, რაც აზარტოვებს მოსწავლეთა წარმოდგენას ბიოსფეროზე, ნოოსფეროზე, ეკოლოგიურ ეთიკაზე. თანამედროვე პირობებში, სამეცნიერო-მეთოდური ხასიათის შეხვედრებზე მიღებული რეკომენდაციებით, სასურველია, სკოლებში ეკოგა-

ნათლების საგნების სწავლება დაწყებითი კლასებიდან დაიწყოს. სასურველია, ბიბლიოთეკების მიერ დახმარება ინფორმაციის მოძიების, გაანალიზების, მიწოდების მიმართულებით განხორციელდეს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ი. გოგებაშვილის მიერ 1868 წელს პირველად გამოიცა საყმაწვილო წიგნი „ბუნების კარი“ დაბალ კლასებში ბუნების საკითხების შესასწავლად, რომელსაც თანდართული აქვს „საქართველოს კარგა“. წიგნს წამძღვარებული აქვს „მასწავლებელთა და მშობელთათვის“. ამით ი. გოგებაშვილი ბავშვთა კითხვაში მშობელთა მნიშვნელოვან როლზე მიანიშნებს, ი. გოგებაშვილის დროინდელ სახალხო სკოლებში გათვალისწინებული არ იყო ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის საწყისების მარტივი, თუნდაც ეპიზოდური კურსის სწავლება, მაშინ, როცა „ბუნების კარში“ ფართოდ, მისაწვდომად იყო წარმოდგენილი მასალა გარემომცველი ბუნების შესახებ.

ი. გოგებაშვილის ამრით, ბუნების ცოდნა აუცილებელი იყო ქართველი ადამიანისათვის: „საქართველო სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა და მისი ბუნება უხვი და მრავალფეროვანია, მაგრამ ხალხი ღარიბია, რადგან არ იცის ბუნების კანონები“. ი. გოგებაშვილი დარწმუნებული იყო, რომ მისი „დედა-ენა“, „ბუნების კარი“, „კონა“ და სხვა წიგნები ბუნების მოვლა-დაცვისაკენ მოაბრუნებდა ქართველ ხალხს, ამიტომ „ბუნების კარის“ საბუნებისმეტყველო მასალას მხოლოდ 106 გვერდი ჰქონდა დათმობილი, 1912 წელს გამოცემულ წიგნში კი 200 გვერდა-


მდე გაიზარდა და საბუნებისმეტყველო მასალა უფრო სრულყოფილი გახდა. სრული 50 წელი (1862-1918წ. წ) ემსახურებოდა „ბუნების კარი“ ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-აღმრდის კეთილშობილურ საქმეს.

„ბუნების კარში“ საბუნებისმეტყველო შინაარსის მასალას დიდი ადგილი აქვს დათმობილი, რასაც ი. გოგებაშვილის შემდეგი მოსაზრება დაედო საფუძვლად: „დაწინაურებულ, განათლებულ ქვეყნებში კარგად აქვთ შეგნებული, რომ ბუნების ცოდნა და მის ძალთა დამორჩილება შეადგენს ერთს უმთავრეს ბურჯს ერისა და კაცობრიობის ბედნიერების, ამის გამო იქ ბუნების შესწავლას ბავშვების განვითარებაში დიდ ადგილს უთმობენ, როგორც ოჯახები, ისე სკოლები. სწორედ ამისთანა აღმრდის მეოხებით მოხდა ისა, რომ ევროპულმა კაციობრიობამ თანდათან გაიხადა უმორჩილეს მოსამსახურედ მძლავრნი ძალნი ბუნებისანი და დღითიდღე მრდის თავის კეთილდღეობას მათ შემწეობით“...

„50 წელი მოღვაწეობდა ი. გოგებაშვილი, რათა რევოლუციამდე ქართულ სახალხო სკოლას ინგერესით შეესწავლა ბუნება, ბუნების სიკეთის შესწავლა სახალხო სკოლაში მშობლიური ბუნების გარემოს შესწავლით უნდა დაწყებულიყო, რადგან ბუნება არაცნობიერად მტკიცედ მის ბავშვის სულსა და სხეულში. საბუნებისმეტყველო მასალის ათვისების საქმე სახალხო სკოლაში მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიღებდა შესაფერ ნაყოფს, თუ იგი მტკიცედ იქნებოდა დაკავშირებული გლეხობის სასიცოცხლო ინგერესებთან, იქნებოდა იმ ძალის, იმ პოტენციის, რომ პრაქტიკული და-

ხმარება გაეწია გლეხობისათვის სოფლის მეურნეობის უკეთ გაძლოლაში, სკოლაში მიღებული ცოდნის ასეთი ქმედითი ხასიათი იმის საწინდარიც იქნებოდა, რომ თავის მხრივ ეს ცოდნაც გაღრმავდებოდა. რევოლუციამდელი ქართული სახალხო სკოლის ისტორია ადასტურებს, რომ ეს სკოლა კარგი მასწავლებლის ხელში თუ საუკეთესოდ არა, დამაკმაყოფილებლად მაინც ახერხებდა მახლობელი გარემომცველი ბუნებისა და საერთოდ ბუნების ძირითადი კანონზომიერების შესწავლას“.

თანამედროვე და რეგროსპექტული ლიტერატურული მასალის ანალიზმა მეტად საინტერესო ფაქტს გვაზიარა. თითქმის ყველა ავტორის მიერ მოწოდებული ამრი, რომ „ბუნების კარი“ წარმოადგენდა მხარეთმცოდნეობითი ხასიათის წიგნს, ეკოლოგიის ანბანს, რომელიც ბავშვებს ასწავლიდა გმის გაგნებას გარემო არსებულ ცოცხალ გარემოში. თითქმის ყველა გამოკვლევაში ბუნების შესწავლის და დაცვის, გარემოს დაცვის პრობლემები ცალმხრივადაა გაშუქებული. თითქოს ი. გოგება-



შვილის მიერ ბავშვების და მათი მშობლების დამოძღვრა, რომ ბუნების შესწავლამ და ცოდნის შექენამ მოზარდი ადამიანი უნდა მოამზადოს „ბუნებასთან ბრძოლისათვის“, გარკვეულწილად, არ შეესაბამება კონცეფციებს ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მაღალი ჰუმანიტარული კულტურის აღმრდას ეკოლოგიური შეგნების ფორმირების გზით. ცნობილია, რომ 1910 წელს ბრიუსელში ეკოლოგია დამოუკიდებელ დარგად იყო აღიარებული, ხოლო ჯერ




კიდე 1866 წელს გერმანელი მეცნიერის ჰეკელის მიერ გერმინი „ეკოლოგია“ უკვე განმარტებული იყო. თუ გოგებაშვილის შესახებ ბიოგრაფიულ ცნობებს მოვიშველიებთ, 1840 წელს დაბადებული ი. გოგებაშვილი 1861 წელს უკვე კიევის აკადემიაში სწავლობს, ხოლო პარალელურად უნივერსიტეტში ისმენს ლექციებს საბუნებისმეტყველო დისციპლინებში. აკად. ნ. კეცხოველი აღნიშნავს: „ი. გოგებაშვილის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე მცირე ხნით ყოფნამ მას ბევრი რამ შესძინა“. ვფიქრობთ, აღნიშნული ლექციების მოსმენისას შეუძლებელი იყო ამ პერიოდში სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებული გერმინი „ეკოლოგია“ არ ყოფილიყო ცნობილი და არ გარკვეულიყო ამ ცნების რეალური მნიშვნელობა. ცნობილია, რომ იმ პერიოდში დამუშავდა ეკოლოგიური დარგის ისეთი ცნობილი მეცნიერების გამოკვლევები, როგორებიც არიან გერმანელი მეცნიერები: ა. მობიუსი და ე. ჰეკელი, რუსი ს. ი. კორინსკი და მით უმეტეს,

ემუსტებინა საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიულ ცოდნათა გამომხატველი ქართული ლექსიკა და მისი გამოყენების ფარგლები. იაკობი ამ რთულსა და შრომატევად საქმიანობას მთელი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა დაუმარებლად და მაღალი პასუხისმგებლობით...

ი. გოგებაშვილის მიერ გამოყენებულ გამოთქმებს: „ბუნების ძალთა დამორჩილება“, „ბუნების უმორჩილეს მოსამსახურედ გახდომა მოთხოვნილებისამებრ“, უპირველეს ყოვლისა,


მოითხოვებოდა ბუნების მოვლენების შესწავლა. ბუნების მოვლენების კანონზომიერებათა შესწავლაში ცუდი და უარყოფითი არაფერია, თუ ეს არაა მიმართული ბუნების გაჩანაგებისაკენ, აღნიშნული გამოთქმები სრულებით არ ეწინააღმდეგება გარემოს, ბუნების დაცვის პრობლემის შესწავლას, „ბუნების კარის“ როლს და ეკოლოგიის ცნების შინაარსს.

ი. გოგებაშვილი საქართველოს გეოგრაფიის სწავლების ფუძემდებლადც მიიჩნევა, იგი მოსწა-



ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ ი. გოგებაშვილი მუდმივად და შეუნელებელი ინტერესით სწავლობდა ბუნებათმცოდნეობაში მოპოვებულ მიღწევებს და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მათ შერჩევასა და დიდაქტიური თვალსაზრისით ფაქიზად დამუშავებას. ბუნებისმეტყველების პროფესორი, აკადემიკოსი ნ. კეცხოველი წერს: „ი. გოგებაშვილს ფართოდ აქვს გამოყენებული მაშინდელი საუკეთესო ბუნებისმეტყველების ნაწერები და შრომები (ვაგნერი, ფოხტი და სხვ...)“

ი. გოგებაშვილი მუდმივად ბრუნავდა, და-
ვლევებს დაწყებითი კლასებიდანვე მოუთხრობდა მშობლიური ქვეყნის შესახებ. „ბუნების კარის“ პირველ გამოცემას დართული ჰქონდა „60 ვერსიანი კარგა კავკასიის აქეთა მხარისა“, რომელიც შედგენილი იყო იმ დროისათვის კარგოგრაფიული საქმის კარგად მცოდნე ვახტანგ თულაშვილის მიერ. იდეა, წიგნისათვის ნაბეჭდი რუკა დაერთოთ, ეკუთვნის ი. გოგებაშვილს. ამ „კარგაში“ ი. გოგებაშვილის მონაწილეობით განსამზღვრული იყო კარგოგრაფიული მაჩვენებლებიც. რუკის ფონს წარმოადგენდა მთიანი და დაბლობი ადგილები,



მინიშნებულად იყო გამოყოფილი საქართველოს სხვადასხვა მხარეები აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ – საინგილო, ქიმიცი, კახეთი, თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, კლარჯეთი, ჭანეთი. დასავლეთ საქართველო – იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი, რუკაზე აღნიშნული იყო რკინიგზები და მთავარი შარაგმები, მდინარეები, უმთავრესი მწვერვალები, საგუბერნიო და სამამრო ქალაქები და დიდი სოფლები... ი. გოგებაშვილი გზადაგმა აუშჯობესებდა ამ რუკას. 1912 წლის „ბუნების კარის“ გამოცემას დართული ჰქონდა „კარგა საქართველოსი და ამერ-კავკასიისა“. მოცემული იყო ცნობები საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ: კახეთში – 400 000, ქართლში – 500 000, იმერეთსა და რაჭაში – 600 000, სამურზაყანოში – 60 000. გამაჰმადიანებულ საქართველოში – 100 000. სულ 2 100 000 სული მცხოვრები. დაახლოებით ასეთი ხასიათის, ოღონდ მცირე მომის რუკა ჩაკრული იყო „დედა ენის“ ბოლო გამოცემებშიც.

თანამედროვე პერიოდში ბავშვთა კითხვის პრობლემის კვლევაში ეკოლოგიური აღზრდა-განათლების თემატიკა განსაკუთრებულ როლს იძენს. აღნიშნული საკითხის გაშუქებაში ბიბლიოთეკის, ბიბლიოთეკარების და მშობლების თანამშრომლობის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო გამოიკვეთა, ძირითადად ეკოლოგიის დარგის პრიორიტეტული ლიგერატურის შერჩევა-მიწოდების თვალსაზრისით. ბიბლიოთეკარის ინიციატივით შერჩეული ლიგერატურა, რომელიც ეკოლოგიურ თემატიკას ეხება, დიდ დახმარებას გაუწევს როგორც მშობლებს, ისევე პედაგოგებსა და თვით ბავშვებსაც, მით უმეტეს, რომ თანამედროვე პედაგოგიკაში არ მოიპოვება პედაგოგიურად დასაბუთებული რეკომენდაციები, არ არის გაცნობიერებული სწავლების მეთოდები და ხერხები, მასალის შერჩევის პრინციპები და ა. შ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიბლიოთეკარის როლის დამკვიდრებას ეკოლოგიის

მიმართულებით მუშაობაში, მით უმეტეს, რომ თანამედროვე ეტაპზე მხოლოდ ერთეული მეცნიერული ნაშრომები მოიპოვება. „საბიბლიოთეკო ეკოლოგია“ არცთუ დიდი ხანია, რაც სამოგადოებისათვის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მეცნიერული კვლევა-ძიების საფუძველზე მიღებული შედეგების მიწოდებას ახდენს. ამდენად, „საბიბლიოთეკო ეკოლოგია“ შეიძლება გაგებული იყოს როგორც სამეცნიერო დისციპლინა ბიბლიოთეკისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, სამოგადოებასა და ბიბლიოთეკაში დაუნჯვებული კულტურული ფასეულობების – წიგნების, ჟურნალების, გამბეთების, ელექტრონული ტექსტების, დოკუმენტთა გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში საბიბლიოთეკო ეკოლოგია წარმოადგენს საინფორმაციო ეკოლოგიის, საინფორმაციო უსაფრთხოებისა და თავისუფლების მნიშვნელოვან ნაწილს. ყოველივე ეს შეიძლება მოიაზრებოდეს „სენსორული ეკოლოგიის“ საფუძველად, რაც ბოლო პერიოდში მეტნაკლებად აისახება ეკოლოგიური მეცნიერების დარგის ლიგერატურაში და, ბუნებრივია, საჭიროებს კონკრეტიზაციას.

ბიბლიოთეკარების როლი ეკოლოგიის თემატიკის საკითხებზე ლიგერატურის მიწოდების საქმეში, ვფიქრობთ, აგარებს ინდივიდუალურ ხასიათს. სასურველია, რეკომენდებული იყოს როგორც მე-19 საუკუნის ქართველი, უცხოელი, რუსი ეკოლოგიის დარგში მოღვაწე მეცნიერების შრომები, ასევე თანამედროვე მწერლების და მკვლევარების წიგნები, პერიოდული გამოცემები და ელექტრონულ რესურსებში მოძიებული ინფორმაციები. სასურველია შეთავაზებულ იყოს ცნობილი ქართველი პედაგოგისა და სამოგადო მოღვაწის ს. იაშვილის ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელო: „ჰაერი, წყალი, მიწა“, „მცენარეთა სამეფო“ და ა. შ. რეგროსპექტული ლიგერატურის გაცნობის შემდეგ უნდა შეისწავლებოდეს თანამედროვე ეკოლოგიური შინაარსის ლიგერატურა.



გურა, სხვადასხვა სფეროს მეცნიერების ნაშრომები, ელექტრონული და ინტერნეტრესურსები; სასურველია, აქტიურად იყოს გამოყენებული ეკოლოგიური ვიდეოთექვების მრავალფეროვანი ფილმები ყველა მიმართულებით: ჰაერი, კლიმატი, წყალი, ბიომრავალფეროვნების დაცვა, ლანდშაფტების დაცვა, ქალაქი და გარემო, სოფლის მეურნეობა, მდგრადი განვითარება, ჯანმრთელობა და გარემო, რადიაცია, ბავშვთა უფლებები.

საინტერესოა, პრაქტიკული თვალსაზრისით, რა სახის სამუშაოების ჩატარება იქნება რეკომენდებული სკოლის მოსწავლეებთან გარემოს ეკოლოგიური შესწავლისა და დაცვის მიზნით?

ცნობილია, რომ გარემოში ყველაფერი არსებული, ცოცხალი თუ არაცოცხალი, ურთიერთდამოკიდებულებაშია; რადგანაც ჩვენი სამყარო წარმოადგენს განსაკუთრებულად რთულ სისტემას, ხშირად შეუძლებელია ვიწინასწარმეგყველოთ, თუ როგორი გემოქმედება შეიძლება გამოიწვიოს გარემოზე სტიქიურმა უბედურებებმა. შესაძლებელია, შედეგები გამოვლინდეს როგორც მყისიერად, ისე მრავალი წლის შემდეგაც და მრავალი ათასი მილით მოშორებულ ადგილმეც, რადგან პლანეტაზე არსებულ მცენარეებს, თევზებს, მღვას, ფრინველებს, ბუნების დაბინძურებას, ადამიანის ავადმყოფობებს შორის არსებობს ურთიერთმეორეული კავშირები. თანამედროვე ადამიანი ბუნების სამყაროს იყენებს სამედიცინო, ეკონომიკური, ესთეტიკური, ეკოლოგიური, კულტურული თვალსაზრისით, ამიტომ ბიომრავალფეროვნება აუცილებელია დაცული იყოს მთელი რიგი იმგვარი შედეგებისაგან, რომლებსაც იწვევს ეკონომიკური, რეკრეაციული, კულტურული, ეკოლოგიური და ეთიკური უარყოფითი მოვლენები. ე. ი. არსებობს მრავალი საშიშროება როგორც ბუნების მხრიდან, ისე ადამიანისაგანაც, მაგრამ არსებობს მრავალი ღონისძიება, რომელიც შეგვიძლია განვახორციელოთ მომარდი თაობის მონაწილეობით, რომ შე-

ვძლოთ როგორც ბუნებისაგან, ისევე ბუნებისადმი მიყენებული მაგერიალური თუ მორალური ზიანის თავიდან აცილება.

პედაგოგების, ბიბლიოთეკარებისა და მშობლების საქმიანობა მოსწავლეებთან ეკოლოგიური თემატიკის საკითხებზე მუშაობისას, სასურველია, შემდეგნაირად წარიმართოს:

ა) ახლომდებარე ნაკრძალის ან საბუნებისმეტყველო დაწესებულების – ბოტანიკური ბაღის, ზოოლოგიური პარკის, ზოომაღამიის, სხვადასხვა თემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების, მხარეთმცოდნეობითი მუზეუმების კოლექტიური დათვალიერება, ვებ-გვერდების, ელფოსტების მოძიება, ექსკურსიების ორგანიზება და სხვა.

ბ) აღნიშნული დაწესებულებების ხელმძღვანელი პირების მიერ ლექცია-სემინარების, საუბრების ჩატარება (მაგ. „თუ რატომაა აღნიშნული ნაკრძალის შესწავლა და დაცვა აუცილებელი“... „გარემოს, ბუნების ასერტორული ვითარების შესწავლა და ქმედითი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა“.)

გ) ჩვენი პლანეტის არსებობის მანძილზე დედამიწიდან გაქრა სიცოცხლის მრავალი ფორმა, არსებობს მრავალი მეცნიერული თეორია ამ საკითხის შესახებ: კლიმატის ცვლილება, სტიქიური უბედურებები, ბუნებრივი გადარჩევა, არსებობისათვის ბრძოლა... ამიტომ საინტერესოა და სასურველი იქნება მოსწავლეებს მიეცეს დავალება: „სიცოცხლის გადაშენებული ფორმები და მათი გამოყენება ადამიანის მიერ“...

დ) ჩატარდეს საუბარი თემაზე: „ბუნებრივი დაცვა, საშუალებები, რომლითაც სარგებლობს ზოგიერთი სახეობა და რომელიც ეხმარება მათ ირგვლივ არსებულ გარემოში მომხდარი ცვლილებების გადალახვაში“.

პედაგოგები და მოსწავლეები, მშობლები და ბიბლიოთეკარები თუ სხვა დაინტერესებული ადამიანები ეკოლოგიური პრობლემის არსის სრულყოფილად გაცნობიერებისათვის, სასუ-

რველია, დაინგერესდნენ პრობლემის წარმოშობის მიზეზების შესწავლა-შემეცნებით. ამიგომ, ვფიქრობთ, სასურველი იქნება, გამოიკვეთოს კონკრეტული საკითხი, შეირჩეს ადგილობრივი მნიშვნელობის ეკოლოგიური პრობლემა (მაგ. ნიკოტინის მავნე გავლენა ჯანმრთელობაზე, მდინარის, ჰაერის, აეროპორგის, ავტომანქანების დაბინძურების შესწავლის მეთოდები და სტრატეგიული მოქმედება).

ე) მოსწავლეებს შედგინებთ, სასურველია, შესთავაზონ პასუხისმგებელ ადამიანებთან – მწარმოებლები, ფერმერები, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები-ურთიერთობა, იმ მიზნით, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მოიპოვონ ობიექტური ინფორმაცია კონკრეტული ეკოლოგიური პრობლემის შესწავლა-შემეცნების მიზნით.

ვ) აღნიშნული საბუნებისმეტყველო ორგანიზაცია-დაწესებულებების მიერ მომზადდეს დაცვითი ღონისძიებების ნუსხა და მოსწავლეებთან ერთად მოხდეს მისი განხილვა.

ზ) მოსწავლეების მიერ შედგეს ჩამონათვალი მარტივი ეკოლოგიური საკითხებისა, რომელთა შესრულება სასურველია ყოველდღიურად, გარემოს დაცვის საქმეში დახმარების მიზნით (სკოლაში, სახლში, არდადეგების პერიოდში), ბიბლიოთეკარის დახმარებით შეირჩეს შესაბამისი ლიტერატურა.

თ) ბუნებაში, ისევე როგორც ადამიანში, შესაძლებელია ბიძგი მისცეს სტიქიურ უბედურებებს (მიწისძვრები, წყალდიდობები, ვულკანის ამოფრქვევა, ხანძრები), ამიგომ სასურველია გაგარდეს ისეთი სასწავლო ღონისძიებები, რომლებიც ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესაძლებლობას მოგვცემს. ამ მიზნით, სასურველია, მოსწავლეებთან ერთად დამუშავდეს თემები სხვადასხვა საგნებში და განხილული იყოს მთელ კლასთან ერთად: თვალსაჩინო საშუალებები, ღონისძიებები, ილუსტრაციები, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რა უნდა გაკეთდეს სტიქიური უბედურების შემთხვევაში.

ვფიქრობთ, ბავშვთა ეკოლოგიური აღზრდა-განათლების სრულყოფისათვის ბიბლიოთეკებში ბიბლიოთეკარების მიერ შერჩეული მასალები, პრაქტიკული გამოცენების თვალსაზრისით, უცილობლად უნდა ხორციელდებოდეს: 1) ბიოლოგიისა და ქიმიის, 2) გეოგრაფიისა და ფიზიკის სწავლების პროცესში და ასევე – 3) კლასგარეშე მუშაობის დროსაც; სასურველია, მოხდეს სხვადასხვა საგნის ეკოლოგიზაცია და მიეცეს მოსწავლეებს ამა თუ იმ მიმართულების ამორჩევის საშუალება.

სკოლებში ეკოლოგიური პრობლემების შესწავლისათვის საინტერესო ეკოლოგიური საკითხების განხილვის მიზნით (მაგ., „მოსაზრებები დელფინების ნაპირზე გამორიყვის მიზეზების შესახებ“, „ბრტყელთავიანი მვიგენების ცხოვრების წესი“ და ა. შ), სასურველი იქნება ეკოლოგიური თემატიკის ლიტერატურა მოძიებული იყოს როგორც გრადიციული წყაროებში, ისე უახლოეს გექნოლოგიებით (CD-ROM, ინტერნეტ რესურსები) ვფიქრობთ, ეს პროცესი გააადვილებს წიგნში, ჟურნალში თუ სხვა მასალაში ეკოლოგიური თემატიკის საკითხების მოპოვებას.

თანადროულად გაისმის უშინსკის წუხილი: „უცნაურია, მაგრამ ბუნების აღმზრდელობითი გავლენა ძალზედ მცირედ არის შეფასებული პედაგოგიკაში“. ეს პრობლემა თანამედროვე პირობებში ჩვენში განსაკუთრებულად მწვავედ დგას, ამიგომაც ადამიანის ჰარმონიულად განვითარების სისგემაში წარმოუდგენელია არ ჩაერთოს ეკოლოგიური აღზრდა, რადგან ბიოსფეროს ბედი დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დამოკიდებულებას გამოავლენს მომავალი თაობა არამარტო ადამიანთა შორის ურთიერთობის, სახელმწიფოთა შორის მშვიდობის მიმართ, არამედ ეკოლოგიური პრობლემების და ასევე გარემოს დაცვითი ინფორმაციისადმიც, რაც გულისხმობს ნაბეჭდი, ვიზუალური, აუდიო, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მაგერიალური ფორმით მიწოდებას.



ნანა ქავთარაძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტიზაციის ცენტრის მთავარი სპეციალისტი

საავტორო უფლებების დაცვა ბიბლიოთეკაში

დ

ღეს ბიბლიოთეკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამოგადოებრივი ცენტრია, სადაც ყველას შეუძლია მიიღოს საჭირო ინფორმაცია ყველა წყაროდან და ყველა ფორმით. ახალი ტექნოლოგიებისა და ავტომატიზაციის საშუალებების დანერგვამ ბიბლიოთეკები განვითარების გზაზე დააყენა. მაგრამ გაჩნდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პრობლემა. ავტორებს არ უნდათ, რომ მათი ნაშრომი სხვა პირის მოგების წყარო ან „პლაგიატის“ ობიექტი გახდეს. ამ მიზნით, ყველა ქვეყანაში არსებობს საავტორო უფლებების კანონი, რომელსაც უნდა იცნობდეს არა მარტო ყველი ავტორი და გამომცემელი, არამედ ბიბლიოთეკებიც.

საავტორო უფლება არის სამოქალაქო კანონმდებლობის ნაწილი. ის ავტორებსა და სამოგადოებას შორის არეგულირებს ურთიერთობას, რომელიც წარმოიქმნება ლიგერატურული, მეცნიერული და ხელოვნების ნაწარმოებების გამოყენებასთან დაკავშირებით. ბიბლიოთეკებმა და მისმა მკითხველებმა უნდა იცოდნენ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი, განსაკუთრებით მათი ნაწარმოებების რეპროდუქციონებისა და ასლის გადაღებისას. საავტორო უფლება გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, უკვე გამოქვეყნებული ნაწარმოების გავრცელების, რეპროდუქციებისა და ასლის გადაღების უფლებებში. ამასთანავე, საავტორო უფლებამ ხელი არ უნდა შეუშალოს მკითხველ-მომხმარებელს ბიბლიოთეკის ფონდის გამოყენებისას. „საბიბლიოთეკო საქმის შესა-

ხებ“ კანონის თანახმად, ბიბლიოთეკა ვალდებულია უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლებები საბიბლიოთეკო მომსახურებაზე. ბიბლიოთეკა აძლევს მკითხველს უფლებას ნახოს, აირჩიოს, მოითხოვოს დოკუმენტი თავისი ინტერესების შესაბამისად, მაგრამ მისი გამოყენებისას დაიცვას საავტორო უფლებები, როგორც კანონშია მითითებული და არ გამოიყენოს დოკუმენტი კომერციული მიზნებით.

ისგორიულად პირველ კანონს საავტორო უფლების შესახებ სპეციალისტები თვლიან აქტს, რომელიც გამოიცა ინგლისში 1710 წელს. ამ კანონით ავტორმა პირველად მიიღო უფლება თავისი ნაწარმოების დაცვისა და სხვის მიერ გამოყენების აკრძალვისა. მე-18 საუკუნეში კანონი საავტორო უფლებების შესახებ მიიღეს საფრანგეთში, აშშ-ში, გერმანიაში, დანიაში, ესპანეთში და ნორვეგიაში. რუსეთში 1830 მიიღეს პირველი კანონი საავტორო უფლებების შესახებ, რომელიც მხოლოდ ლიგერატურულ ნაწარმოებებზე ვრცელდებოდა. მუსიკალური ნაწარმოებების ავტორთა უფლებების დამცავი კანონი უფრო მოგვიანებით იქნა მიღებული. რუსეთის საავტორო უფლებების კანონში რამდენჯერმე შეიგანეს ცვლილებები და დამატებები. 1993 წელს აღრე მოქმედი კანონი შეიცვალა ახალი კანონით, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობდა. რუსეთის კანონი საავტორო უფლებების შესახებ ვრცელდებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოშიც.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საჭირო შეიქნა საქართველოსათვის ახალი კანონის მიღება. საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის 22 ივნისს მიღებულ იქნა კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, რომელიც თავისი შინაარსით შეესაბამება საერთაშორისო ნორმებს (კანონის ტექსტი იხ. ინტერნეტში [www. parliament. ge](http://www.parliament.ge))

ამ კანონის მიზანია: დაიცვას საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენებისათვის წარმოიშობა (საავტორო უფლებები), აგრეთვე ზოგიერთი მომიჯნავე უფლება, დაკავშირებული შემსრულებლებთან, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზების დამამზადებლებთან და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან (მუხლი 1)

კანონი ვრცელდება: მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებზედაც საავტორო ან მომიჯნავე უფლებათა მფლობელია საქართველოს მოქალაქე, საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ფიზიკური ან იურიდიული პირი; ნაწარმოებებზე, რომლებიც პირველად გამოიცა საქართველოს ტერიტორიაზე; შესრულებაზე, რომელიც პირველად განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე და ა. შ.

„ავტორად“ ითვლება ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაა შექმნილი ნაწარმოები. საავტორო უფლების ობიექტად ითვლება ის ნაწარმოებები, რომლებზედაც საავტორო უფლება ვრცელდება – მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, განურჩევლად მათი დანიშნულებისა და ავტორიანობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარ-

მოებებზე, რომლებიც არსებობს რაიმე ფორმით. საავტორო უფლება არ ვრცელდება ოფიციალურ დოკუმენტებზე (კანონებზე, სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, ადმინისტრაციულ და ნორმატიული ხასიათის სხვა დოკუმენტებზე) და მათ თარგმანებზე; სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, ღერბი, ჰიმნი, ფულის ნიშნები და სხვ.) იდეებზე, მეთოდებზე, პრინციპებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, აღმოჩენებზე, ინფორმაციებზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ. (მუხლი 8)

საავტორო უფლების მისაღებად ნაწარმოები გარდება რეგისტრაციაში საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს რეესტრში. რეგისტრაციის შემდეგ რეგისტრანტს ეძლევა სერტიფიკატი, რის შემდეგ მას ეძლევა უფლება გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე. ეს ნიშანი შედგება სამი ელემენტისაგან: 1) ლათინური ასო C წრეწირში – ©; 2) საავტორო უფლების მფლობელის სახელი (დასახელება); 3) ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი. (მუხლი 9)

საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებები ვრცელდება შემსრულებლებზე, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლებზე და მაუწყებლობის ორგანიზაციებზე. ფონოგრამის დამამზადებელი ან შემსრულებელი თავისი უფლებების განცხადებისათვის იყენებს მომიჯნავე უფლების ნიშანს, რომელიც დაისმება ფონოგრამის ყოველ ეგზემპლარზე, ნიშანი შედგება სამი ელემენტისაგან: 1. ლათინური ასო R წრეწირში ®, 2. განსაკუთრებული მომიჯნავე უფლების მფლობელის სახელი (დასახელება), 3. ფონოგრამის პირველი გამოცემის წელი. (მუხლი 46)

კანონის თანახმად, საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგაც. საბჭოთა სამოქალაქო კა-



ნონმდებლობით საქართველოში საავტორო უფლებათა მოქმედების ვადა 1973 წლის 1 ივნისამდე შეადგენდა 15 წელს ავტორის გარდაცვალების დღიდან. იგი რამდენჯერმე შეიცვალა და საქართველოს ახალი კანონის (1999წ.) თანახმად ეს ვადა გაიზარდა 70 წლამდე.

ნაწარმოებთან დაკავშირებული ავტორების უფლების, სახელის უფლების, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვა ხორციელდება უვადოდ. დაშვებულია სხვა ავტორის მიერ ნაწარმოების სახელწოდების ან სხვისი ფსევდონიმის გამოყენება (მუხლი 33). ნაწარმოები, რომელმედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია, შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, ამასთან, დაცული უნდა იყოს ავტორობის, სახელის, ნაწარმოებების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება (მუხლი 34).

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა განმრავლდნარღვევა იწვევს სამოქალაქო სისხლის სამართლებრივ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევად ითვლება საავტორო სამართლით დაცული ნაწარმოებების უნებართვო გამოყენება, მათ შორის ისეთის, როგორცაა სხვისი ნაწარმოების რეპროდუქცირება, გაყიდვა, გაქირავება, საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა, ნაწარმოების საჯარო შესრულება, ნაწარმოების ხმის ჩანაწერის დამზადება, საჯარო გადაცემა ეთერში, თარგმნა, ადაპტირება და ზ. შ.

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საავტორო უფლების ობიექტებად თვლის ყველა სახის ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს, რეკომენდაციულ და თემატურ ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს, ლიტერატურის ანოტირებულ სიებს, რეფერატების მიმოხილვებს, სამეცნიერო-პრაქტიკულ მა-

ჩვენებლებს და ბიბლიოთეკის სხვა ინტელექტუალური სახის ნაწარმოებებს. საავტორო უფლების ობიექტად კანონი თვლის აგრეთვე წარმოებულ, გადაამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებებს (მუხლი: 12; 13; 14; 150).

კანონის თანახმად, ბიბლიოთეკის თანამშრომლები, რომელთაც შეადგინეს ან მონაწილეობა მიიღეს ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებისა და სხვადასხვა საინფორმაციო, სამეცნიერო და მეთოდური გამოცემების შედგენაში, თარგმნასა და გამოცემაში ავტორებს წარმოადგენენ. კანონის ეს დებულება ითვალისწინებს აგრეთვე შემდგენლის მიერ ნაწარმოებში გამოყენებული ყველა მასალის ავტორის უფლებების დაცვას. ურთიერთობა სამსახურებრივი დავალების დროს შექმნილი ნაწარმოების ავტორსა და სამუშაოს მიმცემ ბიბლიოთეკას შორის რეგლამენტირდება შრომითი ხელშეკრულების საშუალებით. ამ დოკუმენტში შეიძლება გათვალისწინებული იყოს პირადი არაქონებრივი და სახელის უფლებები, ავტორის უფლება, შექმნილი სამსახურებრივი ნაწარმოების გამოყენების უფლება და სხვ.

„საავტორო უფლებებისა და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის თანახმად, საავტორო უფლებების ობიექტად ითვლება ყველა ნაწარმოები, გამოქვეყნებულია ის თუ არა (მუხლი 5.2), მისი დანიშნულებისა და უპირატესობის მიუხედავად. ეს ნიშნავს იმას, რომ საავტორო უფლება ერთნაირად იცავს მაღალი მეცნიერული მნიშვნელობისა და დაბალი ხარისხის ნაწარმოებებს. გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები, როგორც შრომითი შემოქმედებითი ნაყოფი, წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს იმ პირობით, რომ ის უნდა გამოიხატებოდეს რაიმე ფორმით: ხელნაწერი (ან მანქანით ნაბეჭდი) ან ბეპირი (წარმოთქმული სიტყვა) ან სხვა ფორმით, ნაწარმოები გამოყოფილი უნდა იყოს ავტორისაგან და მიღებული ჰქონდეს დამოუკიდებელი სახე.

დღეისათვის ბევრ ბიბლიოთეკაში არსებობს ფონდები, რომლებიც აუდიოვიზუალურ მასალას შეიცავენ. ესენია: გრამფირფიგები, ვიდეოფილმები, კომპაქტ-დისკები: CD-ROM, DVD. იმის გათვალისწინებით, რომ დიდი მოთხოვნილებაა ასეთ ფონდებზე, ბიბლიოთეკები ქმნიან მედიათეკებს, მულტიმედია კულტურულ ცენტრებს. ასეთ ცენტრებში მომხმარებლებს შეუძლიათ მოისმინონ მუსიკა, ნახონ კინოფილმი, შეასრულონ საჭირო ჩანაწერი კასეტაზე და სხვ.

აუდიოვიზუალური მასალა წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს, რადგან ის შექმნილია მუსიკალურ ნაწარმოებთა ავტორების, შემსრულებლების და აგრეთვე ტექნიკური მუშაკების (მწარმოებლების) შემოქმედებითი შრომის შედეგად. ნაწარმოების ავტორთან ერთად თანაბრად ეკუთვნის საავტორო უფლება ნაწარმოების შემსრულებლებს: მსახიობებს, რეჟისორებს, დირიჟორებს. მათ აქვთ უფლება დაიცვან თავიანთი სახელი ნაწარმოების შესრულების, დადგმის ყოველგვარი დამახინჯებისაგან, მოითხოვონ, ნაწარმოების ყოველი შესრულებისას მათი სახელის ხსენება. ხოლო ნაწარმოებში ყოველგვარი ცვლილების ან დამატების შეტანა უნდა მოხდეს ავტორთან შეთანხმებით (მუხლი 47).

ბიბლიოთეკა, რომელიც წარმოადგენს კულტურულ და საგანმანათლებლო ორგანიზაციას, კანონიერად ითვლება ნაწარმოებების ჩანაწერის მფლობელად და უფლება აქვს ნაწარმოების ნაწყვეტები სასწავლო მიზნით გაამრავლოს. კანონიერია აგრეთვე ბიბლიოთეკის მოქმედება ჩანაწერის აღდგენასა და შეცვლაზე. ამ მიზნით, ბიბლიოთეკამ შეიძლება ფონოგრამის ეგზემპლარები სხვა ფონდებიდანაც მოითხოვოს.

აუდიოვიზუალური ნაწარმოებებისა და მათი ფონოგრამების გამოყენება რეგლამენტირდება ხელშეკრულებით, რომელიც იდება ბიბლიოთეკასა და მომხმარებელს შორის – ფიზი-

კურ და იურიდიულ პირებთან. ხელშეკრულებაში გარკვევით უნდა იქნეს მითითებული ჩანაწერის გამოყენების პირობები, ვადები, ადგილი და ჰონორარი.

ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება მწარმოებელსა და საავტორო უფლების მქონე ორგანიზაციას შორის შეთანხმებით. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, ჰონორარის ოდენობას განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“.

ბიბლიოთეკებში შექმნილი და აქტიურად გამოყენებადი კომპიუტერული პროგრამები, ელექტრონული გამოცემები და მონაცემთა ბაზები ასევე დაცულია საავტორო უფლებების კანონით, რადგან ისინი წარმოადგენს ინტელექტუალური შრომის პროდუქტს და თანასწორნი არიან ლიგერატურულ ნაწარმოებებთან. კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების მფლობელებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება ხდება სახელმწიფო აღრიცხვის რეგისტრაციის, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის კანონების საფუძველზე.

კომპიუტერული პროგრამის ავტორი სარგებლობს განსაკუთრებული უფლებებით, დართოს ნება ან აკრძალოს: კომპიუტერული პროგრამის რეპროდუქცირება ნებისმიერი საშუალებით, მისი თარგმნა, ადაპტირება ან სხვა ცვლილებების შეტანა, საჯარო ჩვენება ან შესრულება. (მუხლი 19)

განსაკუთრებული უფლებით სარგებლობს მონაცემთა ბაზის დამამზადებელიც. მას შეუძლია აკრძალოს და არ დაუშვას მის მფლობელობაში არსებული მონაცემთა ბაზიდან რაიმე ნაწილის ამოღება ან ხელახალი გამოყენება (მუხლი 54). ხელახალ გამოყენებაში აქ იგულისხმება მისი მთლიანი ან მნიშვნელოვანი ნაწილის ასლის გადაღება, გაქირავება ან გაყიდვა.

ელექტრონული საინფორმაციო სისტემების

საშუალებების საავტორო უფლებები და საკუთრების უფლებები შეიძლება ეკუთვნოდეს სხვადასხვა პირებს, მაგალითად, მონაცემთა ბაზის დამამზადებელმა შეიძლება ხელშეკრულებით გადასცეს უფლებები საინფორმაციო სისტემების მესაკუთრე-ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკა თავის მხრივ ვალდებულია კანონის შესაბამისად დაიცვას ავტორის უფლებები.

კანონის თანახმად, კომპიუტერული პროგრამისა და მონაცემთა ბაზის მართლმომიერ მფლობელს უფლება აქვს ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე შეიგანოს კომპიუტერულ პროგრამაში ან მონაცემთა ბაზაში ცვლილებები, რომელებიც აუცილებელია მომხმარებლისათვის (მუხლი 28), მაგრამ მონაცემთა ბაზის დამამზადებელს უფლება არა აქვს აუკრძალოს მის კანონიერ მოსარგებლეს უკვე გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზის ნაწილების ამოღება ან გამოყენება ნებისმიერი მიზნით (მუხლი 55).

1980 წლიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში სახელმწიფო კონგრულის შესუსტებამ გამოიწვია ბიბლიოთეკების ფონდების კომერციული სარგებლისათვის გამოყენების მსურველთა მრდა. ისინი თვლიდნენ, რომ შესაძლებელია თავისუფლად ყველა მასალის ასლის გადაღება. ყოველი შეზღუდვა ითვლებოდა ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დარღვევად, რაც არასწორი გაგებაა. შეზღუდვა ეხებოდა არა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, არამედ მხოლოდ მის ხელმეორედ წარმოებას.


დღეს არსებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში საბიუჯეტო დაფინანსების გარეშე დარჩენილი ბიბლიოთეკები იძულებულნი არიან, ეძებონ ის კომერციული სახსრები, რომლებიც დაეხმარება მათ ამ კრიზისიდან გამოსვლაში. ზოგიერთი მიმართავს გამოუყენებელი და მოძველებული ლიტერატურის გაყიდვის პრაქტიკას, რაც ახალი არ არის ბიბლიოთეკებისათვის. გაცვლითი ფონდები უფრო მეტად შედგება შემოწირული და სასაჩუქრო გამოცემებისაგან.

ამიგომ სერიოზული დამატებითი შემოსავლის წყაროდ ის ვერ ჩაითვლება.

ბიბლიოთეკებს შეუძლიათ წარადგინონ გასაყიდად თავიანთი მოღვაწეობის ისეთი ინტელექტუალური პროდუქტი, რომელიც შექმნილია ბიბლიოთეკის ფონდის საფუძველზე. ასეთია, გარკვეული საფასურის გადახდით, ბიბლიოთეკის კედლებს გარეთ, წიგნის ილუსტრირებული გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო – ბიბლიოგრაფიული მომსახურება

ხელშეკრულების საფუძველზე და სხვ. მკითხველებისა და ბიბლიოთეკების მოთხოვნები სრულდება უფასოდ, ელექტრონულ ქსელში მასალების შრომატევადი ძეხნის გარდა.

ყველაზე გრადიციული და პირველი ფასიანი მომსახურება ბიბლიოთეკაში არის მკითხველის მოთხოვნით ლოკუმენტების ასლის გადაღება. „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ კანონის მიხედვით, ბიბლიოთეკას შეუძლია განახორციელოს სამეურნეო საქმიანობა იმ პირობით, რომ ის ხელს არ შეუშლის ბიბლიოთეკის ძირითად





თად საქმიანობას. თუ ბიბლიოთეკას განზრახული აქვს თავისი ფონდიდან საავტორო უფლებების კანონით დაცული საავტორო ნაწარმოებები გამოიყენოს კომერციული მიზნით, ის ვალდებულია წერილობითი ფორმით დადოს ხელშეკრულება ავტორთან. საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშების წესი, ეგზემპლარის ნებისმიერი გამოყენებისათვის, დგინდება საავტორო ხელშეკრულებით.

კანონი „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ფონდებთან დაშვების წესს, ძირითად პირობებსა და მომსახურებათა სახეებს. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებას საბიბლიოთეკო მომსახურებაზე, აბონენტის, მკითხველთა ღირებულებისა და ფონდის დროებით გამოყენების საშუალებით. ბიბლიოთეკებმა და მათმა მკითხველებმა უნდა იცოდნენ თავიანთ უფლებები საავტორო ნაწარმოების მიღებისა და გამოყენების, განსაკუთრებით კი მათი ასლის გადაღებისა და რეპროდუქციის შესრულების შემთხვევებთან დაკავშირებით.

ბიბლიოთეკაში დაშვებულია მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოებების რეპროდუქცირება ფიზიკურ პირთა მიერ, მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის, ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე (მუხლი 21), მაგრამ აქვე აღინიშნება, რომ ეს არ ეხება არქიტექტურული ნაწარმოებების, ელექტრონული მონაცემთა ბაზების, კომპიუტერული პროგრამების, აუდიოვიზუალური და ფონოგრაფიული ჩაწერილი ნაწარმოებების, წიგნების (მთლიანად), ნოტებისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების რეპროდუქცირებას. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრაფიული ჩაწერილი ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი ჰონორარი. ჰონორარი გადაიხდება პირადი სარგებლობისათვის

რეპროდუქცირებისას მოწყობილობათა (აუდიო და ვიდეომაგნიტოფონები) და მაგერიალურ მაგარებელთა (ვიდეოფირები, კასეტები და სხვ.) გამოყენებისათვის მწარმოებლებისა და იმპორტიორების მიერ. ჰონორარის შეგროვება და მისი განაწილება ხდება იმ ორგანიზაციების მიერ, რომელნიც მართავენ ავტორთა, შემსრულებელთა და ფონოგრამის დამამზადებელთა ქონებრივ უფლებებს, თუ შეთანხმებით სხვა რამ არა არის გათვალისწინებული. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები შეთანხმებას ვერ მიადგენენ, ჰონორარის ოდენობას განსაზღვრავს „საქპატენტი“.

ნაწარმოებების რეპროგრაფიული გამრავლება ბიბლიოთეკებში დაიშვება მხოლოდ პირდაპირი და არაპირდაპირი მოგების მიუღებლად, საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე ერთეულ ეგზემპლარად, ნაწარმოების განადგურებულ, დაკარგულ ან სარგებლობისათვის გამოუსადეგარ ეგზემპლართა შესაცვლელად ან სხვა ბიბლიოთეკებისათვის ამავე მიზნების გამო გადასაცემად (მუხლი 22). ბიბლიოთეკებს ფიზიკური პირების მოთხოვნით ეძლევათ კრებულებში, გაზეთებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებში ცალკეული სტატიებისა და მცირე მოცულობის მასალის რეპროდუქცირების უფლება სასწავლო, სამეცნიერო ან პირადი მიზნით, საავტორო ჰონორარის გარეშე, მაგრამ აუცილებლად გამოქვეყნებული ნაწარმოების ავტორისა და წყაროს მითითებით, ამასთანავე ერთ ეგზემპლარად, ნამაგის ამოღების გარეშე (მუხლი 23).

პრაქტიკულად ყოველ ბიბლიოთეკაში, საავტორო უფლებების პოლიტიკასთან დაკავშირებით, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული უნდა იყოს განცხადება, რომელიც მომხმარებლებს მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას გააცნობს საავტორო უფლებებთან დაკავშირებით, მაგ.: კომპიუტერებთან, ინტერნეტში მუშაობის დროს; ასლის გადაღებ აპარატთან და სხვ.

კანონის თანახმად, ბიბლიოთეკის საქმიანობა არაკომერციულია, თუკი ასლების გადაღება მომხმარებელთა მოთხოვნით ნაწარმოებების (დოკუმენტების) მხოლოდ ერთ ეგზემპლარად წარმოებს, სასწავლო და პირადი გამოყენების მიზნებისათვის და მომხმარებელი ამისათვის იხდის მხოლოდ ქსეროქსის საფასურს – (რადგან ბიბლიოთეკას არა აქვს უფლება მომსახურებისათვის დააწესოს ისეთი საფასური, რომელიც აღემატება გაწეულ ხარჯებს), ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკა არ არის ვალდებული ნაწარმოების (დოკუმენტის) ავტორს ან საავტორო უფლების მფლობელს ჰონორარი გადაუხადოს. ბიბლიოთეკა იმ შემთხვევაშია ვალდებული ავტორს ჰონორარი გადაუხადოს, როდესაც ბიბლიოთეკა მის ნაწარმოებს კომერციული მიზნით იყენებს. მაგ. დოკუმენტების ასლების გამრავლება და გაყი-

ღვა; ღონისძიებების გამართვა, სადაც სრულდება მუსიკალური ნაწარმოებები და შესვლა ფასიანია და ა. შ. ასეთ შემთხვევაში გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხის (დაახლოებით 2%) ჰონორარის სახით შესრულებული მუსიკის ავტორს ეკუთვნის.

საავტორო ჰონორარის გადახდა ბიბლიოთეკებში მუსიკალური ნაწარმოებების კვლავწარმოების (გრამფირფიჭაზე, მაგნიტოფონზე, დისკზე, კომპაქტ-დისკზე ჩაწერა, გადაწერა) და მისი შემდგომი გადაცემისა და გაქირავებისას მომხმარებლისაგან მომსახურებისათვის აღებული საფასურიდან ხდება. ჰონორარის ოდენობისა და მისი გადახდის წესების დადგენა ხდება დაინტერესებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა შროსი ხელშეკრულების დადების საშუალებით ან ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მეშვეობით.

ვითითებული ლიტერატურა:

1. საქართველოს პარლამენტი. კანონი: საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ // საქ. რესპ. – 1999. – 13 აგვ. – გვ. 3-6.
2. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი / დ. ძამუკაშვილი, რ. შენგელია, დ. გაბუნია და სხვ. – თბ., 2003.
3. Правовые аспекты деятельности библиотек: сб. науч. Ст. / Сост: О. Ф. Байкова; Науч. Ред. В. К. Ключев / Рос. Б-ка. НИО библиотечного дела; Сектор библиотечного права. – М.: Пашков дом, 2002.
4. Бойкова О. Ф. Библиотечная практика и авторское право: Науч.-практ. Пособие.-М.: Либерия, 2004.
5. Библиотека и закон: справочник;-вып.6.-М., 1999.

კორექტორული შენიშვნები

ლუიზა ქუმელაშვილი
თბილისის ბიბლიოთეკის მეთვლიყველი

სიყვარულით გაითბარი შეხვედრა

2004 წლის 9 ნოემბერს თბილისის №2 ბიბლიოთეკამ შეხვედრა მოუწყო თავის ერთგულ მკითხველს, ახალგაზრდა პოეტს ნონა გიორგაძეს.

ღონისძიება გახსნა ბიბლიოთეკის გამგეობის წევრის გოგინიაშვილმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ნონა გიორგაძის ცხო-

ვრების ბიოგრაფიული შტრიხები, ისაუბრა მისი პოემიის შესახებ.

ახალგაზრდა პოეტმა მარიამ წიკლაურმა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ისაუბრა თავისი კოლეგისა და მეგობრის – ნონა გიორგაძის მშვენიერ პოემიაზე, აღნიშნა, რომ ნონა დიდი წარმატებით მუშაობს თსუ ფილოლოგიის კათედრაზე, არის კარგი ფილოლოგი, ლიტერატორი და დიდი სიყვარულით აკეთებს თავის საქმეს.

პოეტმა ქეთი დოლიძემ ისაუბრა ქ-ნ ნონას პოემიაზე, აღნიშნა ის ღირსებები, რაც დამახასიათებელია მისთვის. ილაპარაკა მის შემოქმედებაზე და წაიკითხა ნონა გიორგაძის ლექსი „მაპატიე“.

საბავშვო ბიბლიოთეკის გამგემ ნათია ქემოკლიძემ აღნიშნა, რომ ნონა სრულიად ახალგაზრდა მონაწილეობდა ამ ბიბლიოთეკის ღონისძიებებში და მაშინვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ქართული ლიტერატურის ფესვებზე ამოზრდილი პოეტია, ამიგომ ადვილად გაიკვლია გზა ყველა მკითხველის გულსკენ. იგი არის კარგი შვილი, კარგი დედა და კარგი მეუღლე – რაც მის კარგ აღამიანობაზე მეტყველებს.

მის ჯავახიშვილის სახ. ცენტრალურ საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ლამარა დევდარიანმა აღნიშნა, რომ ნონა ნამდვილად იშვიათი ნიჭის პოეტია. ბედნიერებაა იყო პოეტი, რადგან პოემიისა და მუსიკის ვარეშე ძალზე გაუჭირდებოდა ადამიანს სიცოცხლე. მე მოხიბლული ვარ ნონას პოემიით, ვუსურვებ მას დიდ შემოქმედებით წინსვლას და მრავალ გამარჯვებას.

თბგ მეთოდური განყოფილების გამგე ნუნული გოგიტიშვილმა აღნიშნა, რომ ნონა გიორგაძის შესანიშნავი ლექსი „გოია“, ჟურნალ „მაჭახელაში“ გამოქვეყნებულ ლექსებთან ერთად სახლში მაქვს და ხშირად ვკითხულობ




სიამოვნებით, რადგან მის პოემიაში მე დავინახე ნიჭიერება, კეთილშობილება, მორწმუნოება. ამიგომ მოვედი დღეს მასთან შესახვედრად. ვსარგებლობ შემთხვევით, რომ აქ იმყოფება ნონას დედა და მინდა მას დიდი მადლობა გადავუხადო ასეთი შვილის გამზრდისთვის. ნონას კი ვუსურვებ კარგი შვილები გაემარლოს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მეთოდისგმა ნელი ჯარიაშვილმა აღნიშნა, რომ იგი დიდად მოყვარულია ქართული პოემიისა. ძალიან მიყვარს ნონა გიორგაძის ლამაზი პოემია, რომელიც გამთბარია ადამიანური გრძნობებით, ნ. ქემოკლიძემ მადლობა გადაუხადა ამ ღონისძიებაში მონაწილე ყველა გამომსვლელს და იმედი გამოთქვა, რომ ნონას პოემია კარგ გავლენას მოახდენს ახალგაზრდა მკითხველების სულიერ ჩამოყალიბებაზე.

სტუმარი პოეტის ლექსები წაიკითხეს თბილისის V გიმნაზიის მოსწავლეებმა და-ძმა თორნიკე და თეონა მჭედლიძეებმა, ეთერ არაზიაშვილმა, გვანცა ჯობავამ, სტუდენტებმა ნინო ცაგარელმა და მეგი გულაძემ, ექიმმა რუსუდან მათიაშვილმა და სხვებმა.

მუსიკითა და პოემიით გამთბარმა მშვენიერმა საღამომ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე.



ნათელა ლობჯანიძე

ქ. რუსთავის №1 საბავშვო ბიბლ. ღირექტორი

ღირსსახსროვარი წლის აღსანიშნავად

ალაქ რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანების იაკობ გოგებაშვილის სახელობის №1 საბავშვო ბიბლიოთეკაში შესანიშნავმა გრადიციამ მოიკიდა ფეხი – ეს არის დაუსწრებელი მოგზაურობა ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს მხარეებში დაუსწრებელი მოგზაურობის ესტაფეტა ჩვენ საქართველოს რესპუბლიკურმა საბავშვო ბიბლიოთეკამ გადმოგვცა (ღირექტორი ინგა არგუტინსკაია). ამ ღონისძიებაში, რომელიც მიედგენა საქართველოში ვარდების რევოლუციის წლისთავს, ჩაბმული იყო მიკრორაიონის სკოლები, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე და მწიგნობართა ასოციაციის ჩვენი ფილიალი.

გაკეთდა გამოფენა თემაზე: „ყველა ჩვენი სამშობლოა – საყვარელი საქართველო“, რომელმაც გამოფენილია წიგნები და ჟურნალ-გამეტები ჩვენი ქვეყნის ყველა მხარის შესახებ. შექმნილია ჟურნალები „რაჭა“ და „რეო“, შედგენილია შესაბამისი კარგოთეკები.

სისტემატურად ტარდება ღონისძიებები. ჩატარდა ვიქტორინა – „ვინ უკეთ იცნობს საქართველოს მხარეებს“ (ორგანიზატორი პედაგოგი ვ. იობიძე), მოეწყო აგრეთვე გამოფენა „ეს ჩვენი საქართველოა“, რომელმაც გამოჩეული ადგილი უჭირავს „ვარდების რევოლუციის“ ამსახველ მასალას, აგრეთვე იძლევა ცნობებს საქართველოს პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის შესახებ.

ი. გოგებაშვილის სახ. №1 საბავშვო ბიბლიოთეკის ინიციატივით ჩატარდა სალონური საღამო თემაზე „სიმები ჩვენ ვართ ყველაო“, რომელშიც მონაწილეობდნენ: №1, 2, 3 ბიბლიოთეკები და 19 და 16 სკოლები (ხელმძღვ. ვ.

იობიძე და მ. ოქრომჭედიძე), მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე (ღირექტ. ც. გოგობერი-შვილი), წიგნის მოყვარულთა წრე (ხელმძღვ. ნ. ხაგიაშვილი), ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვ. ნ. ჭკადუა).

გადაწყდა, რომ დაუსწრებელი მოგზაურობა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კუთხით – რაჭით დაწყებულიყო. სცენარი მოამზადა ი. გოგებაშვილის სახ. №1 ბიბლიოთეკამ, მასში შედარულად საქართველოს ყველა კუთხეზეა ლაპარაკი, ბოლოს კი აქცენტი კეთდება მთიან რაჭაზე, ამიტომაც ეწოდებოდა სცენარს „რაჭა ჩემი სიყვარულია“.

„დამისხი, დამალევინი,

რომ მოვიდე გონებასა,

რაჭის კუთხე მირჩევნია

მილიონის ქონებასა“, – ზურაბ ქაფიანიძის ამ სიტყვებით იწყებს საღამოს მკითხველი შმაგი ციხელაშვილი.

„ჩვენ კარგად ვიცით, რომ ერთი და იგივე მშობლის შვილებს გვარი ერთი აქვთ, სახელები კი სხვადასხვა, მსგავსად ამისა, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს გვარ-გომობის სახელი ერთი და იგივე ჰქვია – საქართველო, მაგრამ თვითვე კუთხეს კი საკუთარი სახელები: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, მესხეთი“... – იაკობ გოგებაშვილის ამ გამონათქვამით იწყებს თავის სიტყვას მე-16 სკოლის პედაგოგი ვენერა იობიძე. სიტყვებით გამოდიან ანა მაჭარაშვილი, ე. სანაია და სხვები, რომლებიც ხატოვნად აღწერენ რაჭა-ლეჩხუმის დიდებულ ბუნებას, ბრწყინვალე ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, საუბრობენ კუთხის ბუნე-

ბრივ სიმღერებზე – წყაროებზე, კურორტებზე, იმ პოეტურ შედეგებზე, რომლებიც ამ მხარის სიბველებს შეეხება. ისინი არც რაჭველი ხალხის სულიერ მხარეს ივიწყებენ, მათ სტუმართმოყვარეობას, შრომით მიღწევებს, წარსულსა თუ აწმყოს. ღონისძიებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ა. ბურღიაშვილი, ს. გაფრინდაშვილი და სხვანი. მოსწავლეები კითხულობენ რაჭაზე მიძღვნილ ლექსებს ჩვენი ცნობილი პოეტებისა: მუ-



რმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძისა და სხვათა.


შთამბეჭდავი იყო ი. გოგებაშვილის სახელობის №1 საბავშვო ბიბლიოთეკის გამგის ნათელა ლობჯანიძის შესავალი სიტყვა, გამოსვლები ჩვენი პოეტებისა: ე. გოშაძის, მ. ცხვედიაშვილის, ც. გოგობერიშვილის, ი. აბრამიშვილის, საკუთარი ლექსები წაიკითხეს მკითხველებმა ი. ჯინჭარაძემ და ა. სოხაძემ. დიდი


მოწონება დაიმსახურა ყველაზე პაგარა მონაწილის მე-9 სკოლის მოსწავლის ეთერ იმნაძის გამოსვლამ. საღამო გააცხოველა ცეკვის ანსამბლმა, რომელსაც ნ. ჭკადუა ხელმძღვანელობს.

ერთი დიდი იდეა გასდევდა საღამოს – საქართველოს გაერთიანება. ღონისძიებაში აქტიურად

იყვნენ ჩაბმულნი მე-9 სკოლის მუსიკის მასწავლებელი რ. მექერიშვილი, ამავე სკოლის მოსწავლეები ეკა და მაკა ბარათაშვილები.

ჩვენი მუშაობა რაჭაში „მოგზაურობით“ არ დასრულებულა. მზად გვაქვს მასალები კახეთში (ქ. მამულაშვილი), იმერეთში (ლ. ბეჟაშვილი), ვმუშაობთ სხვა მხარეების შესახებ არსებული მასალების შეკრებაზე.





სულიკო სვანიძე
წყალგუბოს ს/გ დირექტორი

დაუვიწყარი საღამო

„— კაცმა უნდა მეტი სიცოცხლით იცოცხლო, ან რა არის ცხოვრება — სისულელეა! ყველა ადმიანი მუდმივად ცხოვრობს. ყოველ შემთხვევაში, მისი მარადიულობა ის წლებია, რომლებსაც გაატარებს ამ ქვეყანაზე. კაცმა რომ თქვას, არც კვდება კაცი, იბადება სხვა, რომელიც ოდნავ განსხვდება გარდაცვლილისაგან...“

ეს სიტყვები ეკუთვნის ცხოვრებიდან ნაადრევად წასულ ნიჭიერ მწერალს გურამ რჩეულიშვილს, რომლის დაბადებიდან 70 წელი შესრულდა.

გურამ რჩეულიშვილი უყვართ მკითხველებს. მის ფართოდ გახმაურებულ ნაწარმოებებში ძალუმაღ იგრძნობა ძლიერი ტალანტი, ორიგინალური ამროვნება და ეპოქის მოთხოვნათა შეგრძნება.

ორიგინალური ხელწერის შემოქმედის იუბილე საქართველოში ძალზე მოკძალებით აღინიშნა, ამ თარიღს თავისებურად გამოეხმაურა წყალგუბო.

ჰქონდა ამის საბაბი: ახალგაზრდა მწერალი 1958-1959 წლებში მთებში მიღებული გრავმის გამო წყალგუბოში მკურნალობდა. აქ დაწერა მან თავისი ბრწყინვალე მოთხრობები და ნოველები: „ბათარეკა ჭინჭარაული“, „დევების ცეკვა“, „ნათელა“, „დღიურები“ და სხვა. ამასთან გურამ რჩეულიშვილი გახლდათ წყალგუბოს კოლოროგული პიროვნების — ქალაქის ამჟამინდელი საკრებულოს თავმჯდომრის — გურამ სოფრომაძის თანაკურსელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.

გურამ რჩეულიშვილის ხსოვნის პატივსაცე-

მად რაიონის ყველა ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიებები: ერთი მოთხრობის საღამოები, ვიქტორინა-კონკურსები, ლიტერატურული საღამოები, დიალოგი: გურამ რჩეულიშვილის მნებობრივი გაკვეთილები და განხილვები, მოეწყო მწერლის წიგნების გამოფენები.

ტრაგიკული ბედის მქონე ხელოვანის დიდი სიყვარული და კაცობა წარმოჩნდა 16 ოქტომბერს ქალაქ წყალგუბოს სამუსიკო სკოლის დარბაზში გამართულ დასკვნით საიუბილეო საღამომზე, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, ოჯახის წევრები.

ღონისძიებისათვის დიდხანს და საგულდაგულოდ ემზადებოდნენ ქალაქის საკრებულო და კულტურის განყოფილება. მრავალფეროვნებით გამორჩეულმა პროგრამამ დიდი სიამოვნება მიანიჭა დამსწრე საზოგადოებას.

საიუბილეო საღამო გახსნა და გურამ რჩეულიშვილთან შეხვედრის დაუვიწყარო ეპიზოდები გაიხსენა წყალგუბოს საკრებულოს თავმჯდომარემ, ამ ღონისძიების ჩატარების ორგანიზატორმა გურამ სოფრომაძემ.

მოგონებები შეავსეს იუბილარის სიყრმის მეგობრებმა, მწერლებმა ერლომ ახვლედიანმა, გურამ გეგეშიძემ, ემზარ კვიციანიშვილმა, მხატვარმა თემურ ჯაფარიძემ, — დამსახურებულმა ინჟინერმა გეიდარ ფალავანიშვილმა, გურამის მამიდაშვილმა მწერალმა დავით ჯავახიშვილმა, ჩვენმა თანამოქალაქემ, მწერალმა ოგია იოსელიანმა და სხვ.

გურამ რჩეულიშვილის ლიტერატურული გმირების ლაბირინთში მოკლე მარშუტებით გვატარეს და მათი ცხოვრებისეული სუნთქვა

გვაგრძნობინეს კულტურის განყოფილების გამგემ ლილი გელენიძემ, სახალხო თეატრის მსახიობმა მარინე სიჭინავამ, მრავალპროფილიანი ლიცეუმის პედაგოგმა ოქროპირ სვანიძემ, კულტურის განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა ნანა კემევაძემ, სტუდენტებმა მეგი ჩიხრაძემ, თამუნა ხურციამ.

მთელ საღამოს რეფრენად გასდევდა ვაჟთა ვოკალური ანსამბლის „ნადურის“ გეგუთის კულტურის სახლის ქალთა ტრიოს, ქალაქის სამუსიკო სკოლის პედაგოგების მიერ შესრულებული სიმღერები და მუსიკალური ნაწარმოებები.

შეკრებილი წყალგუბოელები გულთბილად, მხურვალე ტაშით შეხვდნენ დიდი მწერლის შვილიშვილს, 16 წლის ლომერ ახვლედიანს.

დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები დასაჩუქრდნენ ჟურნალ „სათაფლიის“ ახალი, მეორე ნომრით, რომელშიც დაბეჭდილია გურამ სოფრომაძის მოგონება გურამ რჩეულიშვილზე და მწერლის ერთ-ერთი საუკეგესო მოთხრობა „ბათარეკა ჭინჭარაული“.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ: საქართველოს პარლამენტის წევრი მამუკა სანებლიძე, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრი, ჟურნალისტი გულნარა სტურუა, წყალგუბოს რაიონის გამგებელი მამუკა თევზაძე, ქ. წყალგუბოს გამგებელი მამუკა საღარეიშვილი, სხვა ხელმძღვა-

ნელი მუშაკები, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია ჩვეული ოსტატობით მიჰყავდა გეგუთის კულტურის სახლის დირექტორს ლია ხოგივარს.



საიუბილეო საღამოს შემდეგ თბილისელმა სტურებმა დაათვალიერეს ბრწყინვალე ქართველი პრობაიკოსის ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმი სოფელ ჩუნეში.

შეიძლება გვიან, მაგრამ მთავარს მივეუახლოვდი: პირდაპირი გზა არ არის უმოკლესი მანძილი ჭეშმარიტებადღე. შეიძლება თოჯინების თეატრში ბოლომდე მიჰყვეთ პირდაპირ გზას და ფარდის უკან აღნოაჩინოთ ის ადამიანები, რომლებიც „გავლენას ახდენენ“ თოჯინების ქცევაზე...

არც ამ საღამოს მაყურებელი მოგყუებულა და სწორედ „ფარდის უკან აღნოაჩინა“, ვინც ჩუმად იყო. თურმე, გ. რჩეულიშვილის საღამოების მთელი სერიის სცენარები შეადგინა წყალგუბოს ცენტრალური ბიბლიოთეკის კოლექტივმა, რომელთანაც თანაავტორობით მომიხდა მემუშავა ხანგრძლივ პერიოდში. საღამოს რედაქტორი და რეჟისორი კი ლია ხოგივარი იყო.

ეს დღე დიდხანს არ დაავიწყდებათ გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების წყალგუბოელ თაყვანისმცემლებს.





მზია ომანაძე

თბილისის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების
სკოლის ბიბლიოთეკის გამგე

პოეზიის დღე

უჩვეულო გამოცოცხლება და ხალი-
სიანი განწყობილება დაუფლებო-
დათ საქართველოს იუსტიციის სა-
მინისტროს სასჯელაღსრულების
დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღ-
მზრდელობითი დაწესებულების აღსაზრდე-
ლებს, რომლებიც თითქმის მთელი თვის მა-
ნძილზე ემზადებოდნენ პოეზიის მეფის –
შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ღონის-
ძიებისათვის.

„საქართველოში არ ყოფილა არც ერთი მეფე,
და საქართველო ზღაპარია შოთას გარეშე.“

უთქვამს პოეტს და მართლაც, წარმოუდგე-
ნელია საქართველო შოთა რუსთაველის „ვე-
ფხისტყაოსნის“ გარეშე.

ბიბლიოთეკაში მოეწყო რუსთაველისადმი
მიძღვნილი გამოფენა.



ლეგენდად ქცეული მესხი მელექისა და
მისი უკვდავი პოემის შესახებ აღსაზრდელებსა
და აღმზრდელ-პედაგოგებს ესაუბრა ბიბლი-
ოთეკის გამგე მზია ომანაძე.

მსჯავრდებულებმა გ. ჭელიძემ, ს. მგზავრი-
ძემ, გ. ბერიძემ, პ. ქორთიევმა, ა. მელიქიშვი-
ლმა და სხვებმა წაიკითხეს ნაწყვეტები პოემი-
დან.

გემოაღნიშნულ დაწესებულება-
სთან არსებული №39 საღამოს საშუ-
ალო სკოლის პედაგოგმა ვალენგინა
ლურიემ საინტერესოდ ილაპარაკა
„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების შე-
სახებ.



სკოლის დირექციამ ღონისძიებაში
მონაწილე მსჯავრდებულებს სამა-
ხსოვრო საჩუქრები გადასცა.

დამსწრე სამოგალოება კმაყო-
ფილი ღარჩა აღნიშნული ღონისძი-
ებებით და, რაც ყველაზე სასიხარულოა, არა-
სწრულწლოვანმა მსჯავრდებულებმა სამომა-
ვლოდ გამოთქვეს მსგავს ღონისძიებებში მო-
ნაწილეობის სურვილი.



დამზადდა ფოტო-სტენდი რუსთაველის პერ-
სონაჟების ამსახველი მასალებით.

აღსაზრდელებმა გამოუშვეს კედლის გა-
ზეთი, რომელშიც მოათავსეს შოთა რუსთავე-
ლის ლამაზად გაფორმებული აფორიზმები.



ნელი ჯარიაშვილი

ბიბლიოთეკების დარბაზები

ჩ

ოცა გვგონია, რომ საქართველოს საბიბლიოთეკო საქმიანობას წინსვლა დაეცყო, რომ ამ საქმიანობას პაგრონი და თანამდგომი გამოუჩინდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის სახით, ხოლო სათავეში მზურველი პიროვნება ჩაუდგა მინისტრის – გიორგი გაბაშვილის სახით, და ჩვენს საქმიანობას პოზიტიური ძვრები დაეცყო, სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ უწიგნური, უმეცარი ადამიანები, რომელთა მიზანია საბიბლიოთეკო შენობების ხელში ჩაგდება, და იქ სავაჭრო ობიექტების გახსნა პირადი გამდიდრების მიზნით.

ამის მკაფიო დადასტურებაა ის შემთხვევები, რომლებიც გასული წლის 12 მაისიდან 26 მაისის ჩათვლით გლდანის დასახლებაში აღინიშნა – სამი ბიბლიოთეკა სკანდალურად დაარბიეს და „დალაშქრეს“ – მოიპარეს და დააბიანეს წიგნები თუ საბიბლიოთეკო ინვენტარი. ვიღაც მდაბიო და არამზადა პიროვნებებმა 12 მაისს გაგებეს თბილისის საბიბლიოთეკო სისტემის წიგნგაცვლის ფონდის სექტორი. თაროებიდან გადმოყარეს წიგნები და დაჯიჯგნეს. იგივე სექტორი 27 მაისს მეორედ გაგებეს და წიგნის თაროები მოიპარეს.

თცსს მე-18 ბიბლიოთეკა გაგებეს და დაარბიეს. 13 მაისს გამოიღეს ბიბლიოთეკის გიოსოსები და მოიპარეს ფანჯრის ჩარჩოს ალუმინის მასალის ერთი მხარე, წაიღეს კედლის საათი, 3 ცალი წიგნის თარო და საცნობარო ფონდის ნაწილი.

25-ში კვლავ გაგებეს და გაძარცვეს მე-18 ბიბლიოთეკა. ამჯერად ჩამოხსნეს და წაიღეს ალუმინის ფანჯრის ჩარჩოს მე-2 მხარეც და 5

ცალი წიგნის თარო.

26 მაისს კვლავ გაგებეს ბიბლიოთეკის შესასვლელი კარი, დაამგვრიეს ბიბლიოთეკის საკეგები და ბოქლომები, მოიპარეს ოთახის ყვავილები.

სამივე შემთხვევისთანავე საქმე აღიძრა გლდანის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს მეორე განყოფილებაში. შედგენილია და წარდგენილია სათანადო დოკუმენტები, მაგრამ დღემდე შედეგი არ ჩანს.

26 მაისს მე-18 ბიბლიოთეკის მესამედ გაგებვის შემდეგ ბიბლიოთეკაში მოსულმა პოლიციის მუშაკმა გამოთქვა ამრი, რომ ქალაქის კულგურის სამსახურს იქნებ ვთხოვოთ, რომ გააუქმოს ეს ბიბლიოთეკაო.

იბალება ეჭვი და სავსებით საფუძვლიანად, რომ აღნიშნული ბიბლიოთეკის შენობით დაინგერესებულნი არიან ისინი, რომლებსაც სურთ როგორმე ხელში ჩაიგდონ ბიბლოთეკის შენობა და იქ სავაჭრო ან სხვა რამე გახსნან.

18 მაისს მე-60 საბავშვო ბიბლიოთეკა გაგებეს, ამჯერად გამგებებს არ მოუპარავთ არაფერი, მაგრამ უარესი ჩაიღინეს – მათ ცეცხლი გაუჩინეს გაბეთების თაროს, დაიწვა გვერდითი ხის კედელი, მთლიანად გაანადგურეს 2003-2004 წლების ჟურნალ-გაბეთები, დაიწვა ფარდები, ლინოლეუმის იატაკის საფენი, დაბიანდა ჭალები.



აღნიშნული ბიბლიოთეკა გლდანის დასახლების მე-2 მიკრორაიონის 24-ე კორპუსში მღებარეობს.

მე-60 ბიბლიოთეკის გაგებვის შესახებ თავის დროს შედგა დოკუმენტი და პოლიციის ქვეგანყოფილებას წარედგინა, მაგრამ დღემდე



არავითარი რეაგირება არ მომხდარა. ბიბლიოთეკის შენობა და ლიგერაგურა მთლიანად დაწვას გადაარჩინეს რაიონის სახანძრო განყოფილების თანამშრომლებმა, რომლებმაც გააუვნებელყვეს ხანძარი; რაიონის თელასის წარმომადგენლებმა ადგილზე შეისწავლეს ხანძრის მიზეზი, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ

არ იყო ხანძრის მიზეზი ელექტროქსელის დაბინება, მაგრამ ეს ეჭვი არ გამართლდა. ჩვენი ამრით, ამ ვანდალური მოქმედებების შემსრულებელთა უკან ფულიანი ვიგინდარები დგანან, რომელთა სურვილია, როგორმე ხელში ჩაიგდონ ბიბლიოთეკების შენობები.



გურამ თაყნიაშვილი

კათილონიკური ნაბიჯი




საქართველოს მთავრობამ მართლაც კეთილგონივრული ნაბიჯი გადადგა საჯარო ბიბლიოთეკების ფონდების განახლებისათვის. გასულ წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ წიგნისა და ლიგერაგურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განახორციელა საქართველოს ბიბლიოთეკების წიგნებით მომარგების პროექტი. ამ პროექტით საქართველოს საბიბლიოთეკო გაერთიანების 65 მთავარმა (ცენტრალურმა) ბიბლიოთეკამ, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ცენტრალურმა საბავშვო, საქართველოს ახალგაზრდობისა და რესპუბლიკურმა საბავშვო ბიბლიოთეკებმა მიიღეს ათას-ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა ძვირადღირებული გამოცემა... საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლი-

ოთეკამ მიიღო 5000 ლარის ღირებულების უახლესი გამოცემები. 2004 წლის 25 დეკემბერს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში აღნიშნული ბიბლიოთეკების დირექტორებისა და სხვა ხელმძღვა-



ნელ პირებს მოუწყო შეხვედრა პროექტის ავტორებთან. პროექტი უშუალოდ განახორციელა ხსენებული სამინისტროს სახელოვნებო განათლების დეპარტამენტის ბიბლიოთეკების სამმართველომ (უფროსი – ნინო მეიფარიანი, მთავარი სპეციალისტი – იზა დემეტრაშვილი); პროექტის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს წიგნის გამომცემლობათა და გამავრცელებელთა ასოციაციამ (პრეზიდენტი – ლევან თითმერია) და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ (პრეზიდენტი – ირაკლი ღარიბაშვილი).



ვაუჩერების მფლობელ ბიბლიოთეკებს დაურიგდათ საქართველოს სხვადასხვა გამომცემლობათა მიერ გამოცემული ქართული წიგნების კატალოგები, საიდანაც მათ შეარჩიეს ათასი ლარის ღირებულების გამოცემები. კატალოგში წარმოდგენილი იყო ათასზე მეტი დასახელების ორმოცმე მეტი გამომცემლობის პროდუქცია. ვაუჩერების გადაცემას დაესწრო და ბიბლიოთეკების ღირექტორებს სიგყვით მიმართა საქართველოს კულტურის, ძეგლთა და

ცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა. ამავე სამინისტროს ხარჯებით გამოცდაათივე ბიბლიოთეკამ მიიღო ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ 2004 წლის მე-4 ნომრის თითო ეგზემპლარი.

ბიბლიოთეკებმა ღრობებით მაინც შევებით ამოისუნთქეს. ფონდების განახლება ამჟამად საქართველოს თითქმის ყველა ბიბლიოთეკის მთავარი პრობლემაა. როგორც თათბირზე აღინიშნა, სამინისტრო ყოველწლიურად შეეცდება მინიმალური რაოდენობით მაინც განახლოს საჯარო ბიბლიოთეკების ფონდები.



გიორგი სარაჯიშვილი

პასუხი რუსთაველზე და „ვეფხისტყაოსანზე“



შევეციის სამეფო ქალაქში – სტოკჰოლმში შევეციისა და ნორვეგიის მეფე ოსკარ II საპატიო თავმჯდომარე ბრძანდებოდა აღმოსავლეთის ქვეყნების მცოდნე მეცნიერთა კრებაზე. ქართველთაგან ესწრებოდა პროფ. ალექსანდრე ცაგარელი, რომელიც პეგერბურგის უნივერსიტეტმა გაგზავნა თავის წარმომადგენლად, როგორც მცოდნე აღმოსავლეთის ქვეყნებისა და მწერლობისა. წერა-კითხვის საზოგადოებამ გაუგზავნა ძღვნად გვირგვინოსან თავმჯდომარეს ძვირფასი „ვეფხისტყაოსანი“. ცაგარელს ის ჯერ ზოგიერთი მეცნიერისათვის უჩვენებია. მათ მოსწონებით; „ერთს იქაურს

პროფესორს გაჰკვირვებია კიდეც გფილისში ასე კარგად დაუბეჭდიათო ეგ წიგნი; მაგისტარა ედას ჩვენს სტოკჰოლმშიაც ვერ გააკეთებენო“. მერე ცაგარელს წიგნი მიუერთმევიბა ოსკარ მეფისათვის. მეფესაც ძლიერ მოსწონებია და თითქმის მთელი ოცი წუთის განმავლობაში უსინჯავს, როცა გადაუთვალაიერებია ამ წიგნის ბორენის მიერ ფრანგულად დაწერილი შინაარსი, მეფეს უბრძანებია: „საკვირველია, სოლომონის „ქებათა-ქებათასა ჰგავსო“. მეფეს დაუბარებია ცაგარელისათვის: „გადაეცით ჩემი გულითადი მადლობა „წერა-კითხვის“ საზოგადოებას ამ მშვენიერისა და ძვირფასის ძღვენის მორთმევისთვისო“. კონგრესის მდივანს უთქვამს ცაგარელისათვის: „თქვენ „ვეფხისტყაოსანს“ იშვიათი პატივი ხვდა წილადო. მეფემ ის წიგნი თავის წიგნთ-საკითხავისათვის მოინდომა და ეხლა იმის კაბინეტშიაო“. მეფე ოსკარს მრავალი წიგნი მიართევს კონგრესის წევრებმა, მაგრამ მან მხოლოდ რამდენიმე დაიტოვა თავისთვის და იმ წიგნებს შორის – უკვდავი შოთა რუსთაველის პოემაა.

(გაზ. „ივერია“, 1889 №200, გვ.1)

საქართველოს სხვადასხვა მხარის საზოგადოება შეკითხვას აძლევდა „ივერიას“, იბეჭდება თუ არა, ან როდის იქნება მზად სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ ქართველიშვილისეულიო“.

„ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვამდე ერთი წლით ადრე, კონფეგებისა და ხმელის ხილის მალაბიის პატრონს უმბაშევს კარგი ამრი მოსვლია ფიქრად, თავისი კონფეგები გაუხვევია ქალაქში, რომელმაც დაბეჭდილი ყოფილა რუსთაველის

„ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა აფორიზმები. საზოგადოება ყიდულობს კონფეტებს და დიდი სიამოვნებით კითხულობს, რადგან კონფეტები კარგი ღირსებისაა და ძვირიც არ ღირს.

(გამ. „ივერია“, 1887 №79. გვ.2)


მიხეილ მესხი რუს ფეხბურთელებთან ერთად ემიგრანტ თანამემამულეს – ავთანდილ მერაბიშვილს სტუმრებია, რომელიც სანგიაგოს შემოგარენში მდიდართა უბანში ცხოვრობდა. ქუჩაში მასპინძელს მანქანა გაუჩერებია, ფირნიშზე მიუნიშნებია: „შოთა რუსთაველის გამზირი“ – წაუკითხავთ გაოგნებულ სტუმრებს. მერე თავისი ისტორიაც უამბნია, ჩილეში ომის შემდეგ ჩასულა. ეს მიდამო შეუძენია (აღრე გიალი მინდორი ყოფილა). გაუგია, სანგიაგოში ქუჩას სახელი რომ დაარქვა, 30 ათასი იქაური მცხოვრების ხელმოწერა უნდა ჰქონდესო. მასაც ხერხი უხმარია – მიწის ნაკვეთები იმ პირობით გაუყიდა, ნებართვაზე თუ ხელს მოუწერდნენ. ასე შეუგროვებია ხელმოწერათა საჭირო რაოდენობა. მასვე ესპანურ ენაზე 1964 წელს გამოცემლობა „სანგიაგო დე ჩილე“-ში გამოუცია „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც უთარგმნია გუსტავო დელა გორე ბოგაროს. ავთანდილ მერაბიშვილს მ. მესხისათვის წიგნზე წაუწერია: „მას, ვინც თავისი ფეხით, ქვეყანა შესძრა, ლელო ქართული ყველას დასძინა“. მიშა მესხმა თავის მხრივ წიგნზე აღნიშვნა გააკეთა და დედაუნევერსიგეტს

უსახსოვრა.

(გამ. „კალმასობა“, 2005, №1. მანანა შამილიშვილი. კაცი, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ ძლიერ უყვარს).

ხელოვნებათმცოდნეები საოპერო ხელოვნების კლასიკური ნიმუშით – „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (დაიწერა 1904 წელს), იწყებენ ქართული ეროვნული ოპერის სცენურ ისტორიას. ამ ოპერის ნაწყვეტები, პირველად, 1910 წლის 3 აპრილს შესრულდა დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტის დიმიტრი არაყიშვილის ნაწარმოებთა კონცერტზე, ხოლო 1919 წლის 5 თებერვალს, საოპერო თეატრის სცენაზე. ოპერას საფუძვლად დაედო ხალხური თქმულება რუსთაველის ცხოვრების ერთი დრამატული ეპიზოდის შესახებ (ლიბრეტო ალ. ხახანაშვილის, ს. შანშიაშვილის, ი. მჭედლიშვილის). ოპერის ცალკეულმა ნაწყვეტებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ვანო საჯაროშვილმა პირველად შეასრულა შოთას არია. უნდა აღინიშნოს, რომ ვანოს მიერ შესრულებული სიმღერების ორი, იშვიათი ფირფიტა (გამოცემული 1912 წელს რიგაში), 1973/74 წლებში საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მუსიკალურ ცენტრს შეუძენია და აქ ინახება, რაც, გარდა ოჯახებისა, სხვაგან არსად არის.





ნანა ახოზაძე-ლვინჯილია

უხეაურო უემოქედის პორტრეტი

ჩთულ დროში ვცხოვრობთ. რევოლუციური გარდაქმნები საძირკვლიანად არყევს ქვეყანას. ახალ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას გლობალური მასშტაბის ცვლილებები ახლავს. ყოველივე ეს პირდაპირ აისახება ხალხის ყოფაში. ბაგონობს უკიდურესი გაჭირვება. უმუშევრობა, უხელფასობა, უშუქობა, უიმედობა – ბინდავს ცნობიერებას. აგერ, თითქმის ოცი წელია მიმდინარეობს რყევის პროცესი. ამ პროცესის ანალოგიები უხვადაა მსოფლიო ისტორიაში და თავს ამით ვინუგეშებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ისტორიულ ქაშში ვცხოვრობთ. სწორედ მსოფლიო ისტორიის გამოცდილებით ითქვა: „როცა ქვემეხები ქუსს, მუზა ღუმს“.

მეტიც: ვერის ბაღში წვავენ წიგნებს. ეს დიდი ეროვნული უბედურება, ვგონებ, მეორედ ხდება საქართველოს ისტორიაში. ერის გონი სასოწარკვეთილია ამ უბედურების გაამრებით – წიგნთან, წიგნიერებასთან, მწიგნობრობასთან დამოკიდებულების საუკუნოვანი კულტურა ნადგურდება.

...ის კი მის, თავის პაგარა ოთახში, თითქმის ბნელში, სანთლის, ზოგჯერ ლამპის სუსტი შუქით განათებულში. კითხულობს, ფიქრობს, არჩევს, მერე წერას იწყებს, არჩევანი იმთავითვე მნიშვნელოვანია – გოეთეს, ვაგნე-

რის, თომას მანის – ბუმბერაზების სამყარო. ყოფითი დეგალები, გონებრივი ნალვაწი მათი. იწყება ჭიდილი სიგყვასთან. მოულოდნელად საჩუქარივით მოპოვებული ენობრივი კონსტრუქციები, აღექვაგების მიგნების სიხარული. გასრულდა ერთი პაგარა ნაშრომის თარგმნა. იწყება ურთიერთობა რედაქციებთან, კერძოდ, ქურნალ „საუნჯესთან“: სიხარულით ეგებებიან – ოლონდაც – უკეთესს რას მიაწვდიან მკითხველს. თანაც ესეების თარგმნა იშვიათობაა. რაგომდაც სხვა ქანრებს უფრო ეგანებიან. თარგმნა რომ ურთულესი საქმიანობაა, ამას ვერავის ასწავლი ღღეს საქართველოში. მხაგვრული პროზის თარგმნა კი ურთულესზე ურთულესია. მაგრამ ვისაც ესეს სამყაროში შეუხედავს, ადვილად ირწმუნებს სირთულის სპეციფიკას. აი, ამ რთულ სპეციფიკას მოერგო კარგად მისი შესაძლებ-



ლობა, პირველ რიგში განწყობა. ჰოდა, წამოვიდა წერილების სერია საინტერესო პირადი ცხოვრების დეგალებზე თუ მსოფლმხედველობრივ სამყაროზე. მერე ყველაფერი ეს წიგნად შეიკრა. ასე მივიღეთ „რჩეულთა ბიბლიოთეკის“ სერიით „მერანში“ გამოცემული „რიხარდ ვაგნერი“ თომას მანისა. ამას მოჰყვა ბრწყინვალე მოქართულის, აწ განსვენებული გოგი მაჭუგაძესთან ერთად გამოცემული რიხარდ

ვაგნერის ესეების კრებული „მომლოცველობა ბეთჰოვენიან“. შეფასებაც არ აყოვნებს. 1996 წელს ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში შეკრებილი სამოგადოება მოწონებით ხვდება ამ წიგნების გამოცემას. თანაბრად აფასებენ მასალის შერჩევის პრინციპს და თარგმანის ხარისხს.

უნარი, ნიჭიერება დაფასებულია: გაჭირვებით გათანაბრულ ინტელიგენციას არ უძნელდება დაინახოს რუსუდან ღვინეფაძის რულენებით გაწეული შრომის ნაყოფი. ეს დიდი სტიმულია და შრომაც გრძელდება. ესეც ესე ემატება და უკვე მოზრდილი, სოლიდური მოცულობის წიგნიც ჩნდება თაროზე – თომას მანის „ესეები“.

სულ ორიოდ წლის წინ „ჯანსუღ ღვინეფაძის გამო-

მცემლობის“ გრიფით გამოდის ახალი წიგნი – კეგე ჰამბურგერის „მხატვრული სიგყვის ლოგიკა“. სათაურიდანვე ჩანს, რომ ეს განსხვავებული ქანრია. ხომ რთულია ესეც თარგმნა, ეს კი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომია, პოპულარული ენით დაწერილი, მაგრამ მაინც მეცნიერული, რთული კონსტრუქციები, ჭარბად მოხმობილი ტერმინოლოგიის შესატყვისთა შერჩევა აძნელებს საქმეს. ხანგრძლივად ფიქრი და კვლავ ჭიდილი სიგყვასთან წარმატებით გასრულებული საქმის სიხარულს კიდევ ერთხელ განაცდევინებს. და ქართულ მთარგმნელთა დიდი სკოლის ერთი უპირველესი ავტორიგეტის – ქალბატონ დალი ფანჯიკიძის სიგყვებით რომ ვთქვათ, შემოქმედებითი გამარჯვება სახეზეა. ამას არ სჯერდება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს სიგყვა – სჯერდება – მთლად გუსგად ვერ გამოხატავს მის მოკრძალებულობას – უბრალოდ, ჩვენ ამ სიგყვას მოვიხმობთ უწყვეტი, თანამიმდევრული შრომის პროცესის დახასიათების მიზნით. დიას, თანამიმდე-

თომას მანი



რიკარდ შპენერი

ვრული შრომის ნიმუშებია რუსუდან ღვინეფაძის ცხოვრება.

ბუნებრივად, თანმიმდევრული შრომის კულტურით მივიდა იგი თავისი საქმიანობის ახალ სახეობასთან. ესაა თარგმანის ხელოვნების გაცნობა ახალგაზრდობისათვის – პოემიის ნიმუშების თარგმნა გერმანულიდან ქართულად. აქაც გარკვეული შედეგია სახეზე: რაკი პოემიის ქანრის თარგმნას „შეხედა“ ახალგაზრდებთან ერთად, თავადაც მიუახლოვდა პოემიას. ან იქნებ, პირიქით იყო, ჯერ თვითონ „შეხედა“ და მერე თავის სტუდენტებსაც შეახედა იქ, ასწავლა სიგყვასთან ჭიდილი. ყოველ შემთხვევაში, მარი ლუიმე კაშნიცის მისეული თარგმანს წიგნად აკი-

კეგე ჰამბურგერი

მხატვრული სიგყვის ლოგიკა

ერთი უპირველესი ავტორიგეტის – ქალბატონ დალი ფანჯიკიძის სიგყვებით რომ ვთქვათ, შემოქმედებითი გამარჯვება სახეზეა. ამას არ სჯერდება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს სიგყვა – სჯერდება – მთლად გუსგად ვერ გამოხატავს მის მოკრძალებულობას – უბრალოდ, ჩვენ ამ სიგყვას მოვიხმობთ უწყვეტი, თანამიმდევრული შრომის პროცესის დახასიათების მიზნით. დიას, თანამიმდე-



თომას მანი



მსგებრი

ნძულს, მალე მიიღებს მკითხველი, რომელმაც პრესის ფურცლებზე უკვე გაუსინჯა ჭაშნიკი და სიამოვნებითაც გამოეხმაურა კულისებში.

...აი, რაზე საუბრობდა დეკემბრის იმ სუსხიან ღვს იღია ჭავჭავაძის სახელობის დასავლეთ ევროპის ენის და კულტურის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში შეკრებილი საზოგადოება. აქ იყვნენ რუსუდან ღვინეუაძის მეგობრები – ბავშვობისა და სტუდენტობის თანამგზავრები, ცნობილი სპეციალისტები უნივერსიტეტიდან – ნატა ჯანე-

ლიძე, ნათელა ხუციშვილი, რომეგა ღანელია, დალი ფანჯიკიძე, კულტურის უნივერსიტეტის თანამშრომლები: პროფ. დალი ბახტაძე, ნუნუ ცხოვრებაძე, ციცო ჩხარგიშვილი, გულიკო კარიაული, შშია გაღდავაძე, რემო სურგულაძე, საღამოს მოწყობის ორგანიზატორი ქალბატონი გულნარა სტურუა, სტუმრები სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტიდან პროფ. ალექსანდრე ლორია და სხვ. მეგობრები იხსენებდნენ რუსუდანის გამორჩეულ ბავშვობას, სი-

ცყვასთან ურთიერთობის განსაკუთრებულ მიღრეკილებას, იხსენებდნენ მისი ტკბილი ქართულით (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის დონია გოგიჩაძის გამოთქმა) მოთხრობილ გაკვეთილებს. იყო მილოცვა შემოქმედებითი გამარჯვებისა, თითქმის ოცდაათწლიანი შრომის შეფასება, გულის გათბობა, მოფერება, დამსახურებული

ღვაწლის დანახვა.

ჩემი მხრივ დავსძენ, რომ რუსუდანისა და ჩემი მეგობრობა აგერ უკვე ოცდახუთი წელია გრძელდება. დაიწყო იგი „საუნჯეში“, გაგრძელდა წიგნების გამოცემით „ჯანსუღ ღვინეუაძის გამოცემლობაში“. ამ მეგობრობას „ანგარებაც“ უღვეს საფუძვლად – იმ ღღესაც „ანგარებით“ მიველი ენისა და კულტურის უნივერსიტეტში. ვიმედოვნებდი, ერთხელ კიდეც „გამოვკრავდი“ ხელს სასურველ მასალას „საუნჯის“ მკითხველის გასახარად. არც შევეცი...

უხმაურო შრომა გრძელდება.





რუსული ბიბლიოთეკა 24

რიჰპრღ მბზმპრი



მომლოცველობა
ბათჰოჰენთან



ლეილა გეხტმანი

საქართველოს ბიბლიოთეკის ლეილა გეხტმანი

135 წელი შესრულდა გამოჩენილი მეცნიერის, ბიბლიოფილის, საზოგადო მოღვაწის, საბიბლიოთეკო საქმის მოამაგისა და ეროვნული ბიბლიოთეკის დიდი ორგანიზატორის პროფ. გიორგი ნიკოლოზის ძე გეხტმანის დაბადებიდან. ჩვენი ჟურნალი დიდი გულსყურით ეკიდება ამ მნიშვნელოვან თარიღს და აქვეყნებს სახელოვანი მეცნიერისა და უბადლო პიროვნების შვილიშვილის – ქალბატონ ლეილა გეხტმანის მოგონებას. მისი სტატიიდან თვალნათლივ ჩანს გიორგი გეხტმანის პიროვნული თვისებები, მისი მემკვიდრეობის მნიშვნელობა და მოცულობა. ამდენად, ჩვენ არ ვეზებით მის ღირსებებსა და შემოქმედებას, უბრალოდ, გამოვხატავთ ჩვენს გულწრფელ დამოკიდებულებას ღვაწლმოსილი მამულიშვილისადმი. ქედს ვიხრით მისი ნათელი ხსოვნის წინაშე!

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია.



როფესორი გიორგი გეხტმანი – ცნობილი გეოგრაფი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, ბიბლიოფილი, ენციკლოპედიური განათლების მქონე მკვლევარი, ფუნდამენტური სამეცნიერო შრომებისა და მონოგრაფიების, სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების ავტორი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებისა და ჟურნალ „ნაკადულის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის დამაარსებელი და მისი უცვლელი გამგე – უაღრესად პოპულარული ადამიანი გახლდათ საქართველოში. დიდი ღვაწლისა და დამსახურების გამო მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში.

ესოდენ მრავალმხრივი საქმიანობა თითქოს რამდენადმე გვიქმნის წარმოდგენას მეცნიერის პიროვნებაზე, მაგრამ რა დიდიც არ უნდა იყოს მისი ღვაწლი, შთამომავლობას მაინც აინტერესებს ის მორალური კატეგორიები, რო-

მლებიც ასულდგმულებდა და ამოძრავებდა ამ დიდ მოღვაწეს.


გიორგი გეხტმანი დედით ქართველი, მამით კი გერმანელი გახლდათ. მასში არაჩვეულებრივი ჰარმონიულობით იყო შერწყმული ამ ორი ერის საუკეთესო თვისებები: ქართული კაცთმოყვარეობა, მშობლიური კერის სიყვარული, სხარგი გონება, სიმამაცე, გერმანული – სიმუსტე, დროის პაგივისცემა და შრომისმოყვარეობა.

დედამისი – მანანა ჯორჯაძე ბარბარე ერისთავი – ჯორჯაძის (რაფიელ ერისთავის დის) ასული გახლდათ, რომელიც ფეოდალური არისტოკრატის წრიდან იყო გამოსული. აქ, ამ გარემოებაში, ერისთავ-ჯორჯაძეთა წრეში აღიმარდა და ჩამოყალიბდა გიორგი გეხტმანი, როგორც პიროვნება. გერმანულ ნათესავებთან ურთიერთობა არ ჰქონია, რადგან მამამისი – ნიკოლოზ გეხტმანი, გერმანელი იურისტი, სამართლისმცოდნე, საქართველოში დამკვიდრდა რა, გერმანიასთან უშუალო კონტაქტები აღარ ჰქონია და არც სიცოცხლე დაურჩა ხანგრძლივი.

ახალგაზრდული დაუღვერობისა თუ „გერმანული თემისადმი“ სამოვადოებაში ჩანერგილი შიშის გამო (იყო ასეთი სასტიკი პერიოდი, როდესაც ამ თემისადმი უმნიშვნელო ინტერესისათვის მკაცრად ისჯებოდნენ) არასოდეს დაინტერესებულვარ იმით, თუ როგორ აღმოჩნდა ახალგაზრდა გერმანელი იურისტი ნიკოლოზ გეხგმანი საქართველოში და როგორ მოხდა მისი ქორწინება მანანა ჯორჯაძეზე.

პირველი მიზეზის ახსნა გამიჭირდება. შეიძლება ნიკოლოზ გეხგმანი საქართველოში მსახურის ძიებამ ჩამოიყვანა, რადგან იმ პერიოდის გერმანია კრიზისის განიცდიდა და ახალგაზრდობა ბედის საძებნელად სამღვარგარეთ მიემგზავრებოდა. რაც შეეხება ქორწინებას, ვფიქრობ, უცხოელი სპეციალისტი, რომელიც ქუთაისის სასამართლო კოლეგიის მდივანი იყო, რაფიელ ერისთავს დაუახლოვდა. რაფიელი ამ დროს ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში მსახურობდა. იგი, როგორც მოღვაწე და ერისკაცი, კარგ ურთიერთობაში იქნებოდა ნიკოლოზ გეხგმანთან. ალბათ რაფიელის ოჯახში შეხვდა იგი მანანა ჯორჯაძეს და ქორწინებასაც აქედან მიეცა დასაბამი. რაფიელი ამ თანამდებობაზე 1867-70 წ.წ. მსახურობდა; პაპაჩემი – გიორგი გეხგმანი კი 1870 წელს დაიბადა ქ. ქუთაისში და თავისი მშობლების პირველი შვილი იყო. ამდენად, ჩემი ვარაუდი საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული.

გიორგი გეხგმანმა ბავშვობა ქუთაისში გაატარა. შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად ბაქოში გადავიდა. ამასობაში მისი სკოლაში წასვლის დროც მოვიდა. მამას შვილის პეგერბურგში გაგზავნა მოუნდომებია, მაგრამ დედის – მანანა ჯორჯაძის კატეგორიული მოთხოვნით, გიორგი თბილისის ქართულ კლასიკურ გიმნაზიაში მიუბარებიათ. პაპას ამ გიმნაზიისადმი განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. ამ სიყვარულის ნიშნად, როცა მე სასკოლო ასაკისა გავხდი, სასწავლებლად ამ სკოლაში შემეყვანა,



ასე რომ, მეც იმავე კელეებში ვარ გაზრდილი, რომლებშიც პაპაჩემი. უნდა აღვნიშნო, რომ ამავე გიმნაზიაში სწავლობდა თავის დროს რაფიელ ერისთავიც. ამგვარად, ჩვენი ოჯახისათვის ეს წმიდა კელეები მართლაც რომ „ალმა მატერს“ წარმოადგენს.

თორმეტი წლის ასაკში პაპაჩემს მამა გარდაეცვალა. დედის ანაბარა დარჩა ხუთი მცირეწლოვანი ბავშვი. ამ დროს პაპა მეოთხე კლასში იყო. იგი იძულებული გახდა, კერძო გაკვეთილებით ერჩინა თავი. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა პეგერბურგის უნივერსიტეტში განაგრძო, მაგრამ სამხრეთელმა ახალგაზრდამ ვერ აიტანა ჩრდილოეთის მკაცრი კლიმატი და სასწავლებლად ხარკოვის უნივერსიტეტში გადავიდა. აღნიშნული სასწავლებელი პირველი ხარისხის დიპლომით დამთავრა, ხოლო მის სადიპლომო შრომას ვერცხლის მედალი მიანიჭეს.

ხარკოვში იმ დროს ქართველ სტუდენტთა



საქართველოს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ჯგუფი.
1925 წელი


სათვისგომო არსებობდა, რომელსაც პაპა ორი წლის განმავლობაში თავმჯდომარეობდა. სათვისგომო ქართული კულტურის პროპაგანდას ეწეოდა და ხარკოველ სტუდენტებს აცნობდა საქართველოს ისტორიას, ლიტერატურას, ხელოვნებას და სხვ. პაპა ძირითადად საქართველოს ისტორიაში კითხულობდა ლექციებს. ხარკოვიდან წამოსვლისას სათვისგომოს მან საკმაოდ ძვირადღირებული ბიბლიოთეკა დაუტოვა.

1895 წ. გიორგი გეხტმანი საქართველოში დაბრუნდა და ფართო სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა. იგი არაჩვეულებრივი მონდომებითა და სიყვარულით ეკიდებოდა ქართული ინტელექტუალური ახალგაზრდობის აღზრდისა და მისი მსოფლმხედველობის მართებული ფორმირების საქმეს. აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი და პაპას სხვა მოსწავლეები ღრმა პატივისცემით იგონებდნენ თავის დიდ მოსწავლეებს და მას სწორედ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის ემაღლიერებოდნენ.

გიორგი გეხტმანი ცნობილია როგორც მრავალი ფუნდამენტური შრომისა და მონოგრაფიის ავტორი, რომელთა ჩამოთვლაც ძალზე შორს წაგვიყვანს. დღევანდელი გადასახედიდან გაოცებას იწვევს ის პრობლემატიკა, საკითხთა ის წრე და თემატიკა, რომელიც ესოდენ აქტუალურია თანამედროვე სამოგალოებისათვის. დასტურად ის მცირე მოცულობის სტატიებიც კი კმარა, რომლებშიც ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი საკითხები იყო განხილული: „მოსახლეობის სიმჭიდროვე და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა“, „განსახლების ხასიათი და სიდიდე“, „სამდინარო გზები, მათი ხასიათი და მონაწილეობა გვირთბრუნვაში“, „მსოფლიო ბაზრის გავლენა მიწათმოქმედებაზე“, „ვაჭრობის გეოგრაფიის საკითხები“ და სხვ.

მეცნიერული სიმუსგე და სიმართლე მისთვის უწმინდეს ცნებებს წარმოადგენდა. იყო უკომპრომისო მეცნიერი; არასგმით დახუჭავდა თვალს თუნდაც უმნიშვნელო უმუსგობაზე, მთელი შემართებით აღუდგებოდა ხოლმე ყალბ მეცნიერულ მოსაზრებას, პრინციპულად, შეუვალი არგუმენტებით ასაბუთებდა სიმართლეს და ეპაექრებოდა მცდარ მოსაზრებათა ავტორებს, რაგინდ დიდი ავტორიტეტებიც უნდა ყოფილიყვნენ ისინი. გეოგრაფიის არსზე, მის საფუძველზე მან სერიოზული მოსაზრებები გამოთქვა ცნობილი მეცნიერის ემ. ლენცის საწინააღმდეგოდ. ასეთივე პრინციპული იყო მისი კრიტიკა ცნობილი საბჭოთა მეცნიერის აკად. ლ. ბერგის ზოგიერთი დებულების მიმართ. ამ პაექრობაში მთავარ ამოსავალს წარმოადგენდა საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. ამ კამათსა და დავაში ვერ იპოვიდით ვერც ერთ არაკორექტულ სიტყვას, გამოთქმას, უპატივცემულო დამოკიდებულებას მოწინააღმდეგის მიმართ.

პაპა, როგორც თავისი შინაგანი ბუნებით, ისე გარეგნობით ძალზე კეთილშობილი, დიდებული, ოღნავ მკაცრი, თითქოს ცივი (გერმა-



ნული ხასიათის შესაგყვისად), „აკადემიური“ გახლდათ. ასეთი იყო იგი, როგორც შინ, ისე გარეთ. მისთვის არ არსებობდა ე.წ. „იერარქიული“ თავაზიანობა. მუდამ გაწონასწორებული, საკუთარი ღირსების შეგრძნებით ერთნაირად ექცეოდა ყოველ ადამიანს, ჩინოსანსა თუ უჩინოს, დიდსა თუ პაგარას. კარგად გრძნობდა და აფსებდა იუმორს. ამის გამო დიდი პატივისმცემელი იყო კომედიური ქანრის ლიგერატურისა, განსაკუთრებით უყვარდა ა. ჩეხოვის შემოქმედება. გააჩნდა განცდების მართვის საოცარი კულტურა, რომ არა ეს უნარი, საშინლად მძიმე ხვედრისა და ბედისწერის კაცისთვის ძნელი იქნებოდა არათუ ისეთი სოლიდური მეცნიერული მემკვიდრეობის შექმნა, არამედ არსებობაც.

გიორგი გეხტმანსა და მის მეუღლეს (ბები-აჩემს) ნინო საყვარელიძეს ხუთი ვაჟიშვილი ჰყავდათ: ნიკოლოზი, ბორისი, კონსტანტინე, ვლადიმერი (მამაჩემი) და გაბრიელი. ამათგან სამი: ნიკოლოზი, ბორისი და კონსტანტინე პირველ მსოფლიო ომს ემსხვერპლნენ. ნიკოლოზმა ომის მთელი გზა გმირულად გაიარა. გახარებული მშობლები მის დაბრუნებას დღე-დღეზე ელოდნენ, მაგრამ მგრის გყვიათ იგი ომის ბოლო დღეს იმსხვერპლა, ბორისი ომში მიღებულმა გრავამ ინვალიდად აქცია (თუმცა მან, ძმებისგან განსხვავებით, შედარებით დიდხანს იცოცხლა), კონსტანტინე ფრონტზე ავად გახდა და შინ დაბრუნებული რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. ნაბოლარა გაბრიელი იუნკერი იყო. იგი იმ ახალგაზრდებთან ერთად დილუჰა, რომლებიც წინ აღუდგნენ წითელი არმიის თბილისში შემოჭრას. ვლადიმერი (მამაჩემი) თსუს ეკონომიკური ფაკულტეტის ახალკურსდამთავრებული ოცდახუთი წლის ასაკში მუცლის გიფით გარდაიცვალა. სამხედრო სამსახური მასაც ჰქონდა გავლილი და თავის ძმების დარად ისიც ე.წ. „თეთრი ოფიცერი“ იყო. ბებიას და პაპას გარდაეცვალა აგრეთვე ექვსი წლის შვილიშვილი გოგლიკო – პაპას სეხნია, ძია ბო-

როსის შვილი. ესოდენ დიდი მონაგარიდან ბებიას და პაპას ერთადერთ ნუგეშად მხოლოდ მე შემოვრჩი. ასე რომ, დედაჩემთან ერთად, მათ დიდი ამაგი უძღვით ჩემს აღზრდა-ჩამოყალიბებაში. ისინი კეთილად ექცეოდნენ დედაჩემს – ნინო ბიბილეიშვილ-გეხტმანს, რომელიც სრულიად ახალგაზრდა დაქვრივდა და ბოლომდე უერთგულა ქმრის ხსოვნას.

ბებია სამოგალო მოღვაწისა და იურისტის, ილია ჭავჭავაძის დაარსებული საქართველოს ბანკის იურისკონსულტის, გაბრიელ საყვარელიძის ქალიშვილი იყო. მას კარგი აღზრდა-განათლება ჰქონდა მიღებული, იყო დახვეწილი ინგელიგენტი, ლიგერატურის კარგი მცოდნე, მუსიკის მოყვარული, კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე. შემდეგ მის ინსტრუმენტზე მე ვავაგრძელებ მეცადინეობა. ეს როიალი ერთადერთ რელიქვიად შემომრჩა გეხტმანების დიდი ოჯახიდან.

ბებიას და პაპას ხუთივე შვილი მშობლიური ქვეყნის ნამდვილი პაგრიოტი იყო. მათი ხანმოკლე ცხოვრება ამის დასტურია და ქართველებად კონიუნქტურის გამო როდი იწერებოდნენ. ბიძაჩემის ერთ-ერთ ფოტოსურათზე ასეთი წარწერაა: „... კოტე გეხტმანიძესგან“. სჩანს, ქართველობა მას იმდენად სურდა, რომ გერმანულ გვარს სწუნობდა და მისი ქართულად გახმოვანება მოიფიქრა. თავად პაპაც ქართველად იწერებოდა. იყო ყველაფერი ქართულის მოგროფილად და პატივისმცემელი. განსაკუთრებით უყვარდა კახეთი, იქაური ადათ-წესები, იყო მაღლიანი კახური ღვინის დიდი დამფასებელი. ღვინის სმის მედმეგად მოყვარული არასდროს ყოფილა, მაგრამ სადილად ერთ პაგარა, „წელში გამოყვანილ“ საღვინე ჭიქა კახურ ღვინოს აუცილებლად გეახლებოდათ.

არ ვიცი, თვითგადარჩენის რა მექანიზმი მოქმედებს ხოლმე დიდ უბედურებაგამოვლილ ადამიანებში, მაგრამ პაპაჩემი ნამდვილად გამუდმებულმა, მართლაც რომ თავაუღებელმა შრომამ გადაარჩინა.



მასსოვს, განსაკუთრებულად მოწესრიგებული, სუფთად გაპარსული, კოხტად შეკრეჭილი ბლანჟეთი რომ მიუჯდებოდა თავის სამუშაო მაგიდას საკუთარ კაბინეტში, რომელიც საკმაოდ ფართე, მაღალჭერიან ოთახს წარმოადგენდა ჭერამდე ასული წიგნის კარაღებით და მუშაობდა ისეთი გაგაცებით, რომ მოგჯერდროის შეგრძნებასაც კი ჰკარგავდა.

პაპას წიგნებისაღმი ინგერესი და სიყვარული იქედანაც სჩანს, რომ იგი უნივერსიტეტიდან წამოსვლისას აუცილებლად შეივლიდა ხოლმე წიგნების მალაზიბაში, ეცნობოდა ახალ გამოცემებს. მას ხშირად აკითხავდნენ ბუკინისტები.

მაგრამ პაპა უბრალო წიგნის მოყვარული როდი იყო. მისი გვარი შეგანილია რუსეთის ცნობილი ბიბლიოფილების სპეციალურ ცნობარში. თავისი უნიკალური ბიბლიოთეკის ათასობით წიგნი მან საჯარო ბიბლიოთეკას უსაჩუქრა. მოგვიანებით წიგნების ასეთივე რაოდენობა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტურ ბიბლიოთეკას გადასცა.

ჩემი სტუდენტობისა და ასპირანტობის პერიოდში, როდესაც განსაკუთრებით ხშირად მიხდებოდა საჯარო ბიბლიოთეკით სარგებლობა, წავწყდომივარ ხოლმე პაპას პირადი ბიბლიოთეკის ბუჭდით დამოწმებულ და მისი აღნიშვნებით სავსე წიგნებს. შინ დაბრუნებულს მისაყვედურია – რაგომ ჩააბარე საჯაროს ჩემთვის საჭირო წიგნები! პაპა კი გამეხუმრებოდა – აბა, რა ვიცოდი, თუ შენ ასეთი ფილოლოგი მეყოლებოდიო.

წიგნის განსაკუთრებული ცოდნისა და პროფესიონალიზმის გამო საქართველოს მთავრობამ მას პირველი ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა დაავალა, სადაც მან ცხრა წელი იმუშავა. ამ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში გიორგი გეხგმანმა საჯარო ბიბლიოთეკაში სამუშაოდ მიიზიდა და აღმარდა ისეთი კადრები, რომელთა შრომითა და რუდუნებით ჩამოყალიბდა მდიდარი, თავისი წიგნთსაცავით მართლაც ცნობილი ეროვნული

ბიბლიოთეკა. ესენი იყვნენ: ლევან ეგორაშვილი, მიხეილ მანდუკელი, ნიკო ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ აკერმანი, მერი მელაძე, ვიქტორ ბროსე და სხვები. ეროვნული ბიბლიოთეკის დღევანდელი ხელმძღვანელობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სამოგალოებას არ დაავიწყეს ამ ხალხის სახელები.

სამი წლის წინათ ბაგონმა ლევან თაქთაქიშვილმა ბიბლიოთეკის გაზეთში „ქართული წიგნი“ გამოაქვეყნა სტატია „ბიბლიოთეკა 25 თებერვალს გაიხსნას, გეხგმანს კი გადავაცუნებთ,“ რომელშიც ნაჩვენებია გ. გეხგმანის პრინციპულობა და შეუვალლობა წიგნის სასარგებლოდ. იგი არ დაეთანხმა მთავრობის განკარგულებას ნაჩქარევად გაეხსნათ ბიბლიოთეკა საქართველოს გასაბჭოების დღისათვის, რადგან ასეთი ფორსირებული სვლა დაამიანებდა წიგნად ფონდს; ამის გამო იგი მოხსნეს თანამდებობიდან. მგვასი სითამამე მაშინ მკაცრად ისჯებოდა.

გიორგი გეხგმანთან, როგორც მეცნიერთან და ბიბლიოფილთან, არაერთი თვალსაჩინო მოღვაწე მეგობრობდა. განსაკუთრებული იყო მისი ურთიერთობა დიდ ივანე ჯავახიშვილთან. პაპას საწერ მაგიდასთან სიცოცხლის ბოლომდე ეკიდა ბაგონ ივანეს პორტრეტი. (რომელიც ბებიჩემის ძმიშვილმა შურიკო საყვარელიძემ დახაგა პაპას თხოვნით). ბაგონი ივანეც ერთერთ დიდ ავგორიგეტად მიიჩნევდა პაპას, რაც მისი ერთი კერძო წერილითაც დასტურდება: „ღრმად პატივცემულო ბაგონო გიორგი! დიდ ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის. ბერძნული დაბადების გექსტი მჭირდება მუდამ. აქამდის უნივერსიტეტის წიგნთსაცავის წიგნით ვსარგებლობდი. ეხლა დაბრუნება მიხდება, რადგან სხვებს სჭირდებათ. თუ თქვენ ბერძნული დაბადება გაქვთ და მათხოვებთ, ძალიან დამავალლებთ. ჩემი წიგნთსაცავის რუსეთში დაკარგვის გამო უმწეო მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი და ეს გარემოება მაიძულებს, რომ ამ თხოვნით შეგაწუხოთ. მარად თქვენი ღრმად

პატივმცემელი ივ. ჯავახიშვილი. გვილისი, 1931 წლის 12. VI.“ (ამ წერილის შინაარსი და მოგიერთი სხვა ცნობა მომყავს ბ-ნ რომან კვერენჩილაძის წიგნიდან „გიორგი გეხტმანი“, ნაკადული, 1969; მადლობის ნიშნად პატივისცემით ვხრი თავს ავტორის ხსოვნის წინაშე).

ეს წერილი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში ბაგონ ივანეს პიროვნებას წარმოიხსენება – მოკრძალებული, სიღარბაისლით სავსე, თავმდაბალი მეცნიერი, უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც თავის დაქვემდებარებაში მყოფ უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკას უბრუნებს მისთვის ესოდენ საჭირო წიგნს იმის გამო, რომ ის სხვებსაც სჭირდება. ასეთი ხალხის მხრებზე იდგა ქართული მეცნიერება და ქართული უნივერსიტეტი.

... პაპა მჭევრმეცყველური ნიჭითაც იყო დაჯილდოვებული, მის ლექციებსა და მოხსენებებს ყოველთვის დიდი აუდიტორია ჰყავდა. ლექციებს იგი ქართულ და რუსულ ენებზე კითხულობდა. ამ ორ ენაზე დაწერილი მისი მეცნიერული შრომებიც. ის მუდამ მოითხოვდა თავის მოწაფეებთან ქართული ენის სრულყოფილ ცოდნას. მასწავლებლის ასეთი მიდგომა ბევრს იძულებულს ხდიდა შეესრულებინა ეს მოთხოვნა. ასე მაგალითად, ნიკოლოზ აკერმანს, პაპას საყვარელ სტუდენტს, რომელიც 1930 წელს უნივერსიტეტს ამთავრებდა, პაპასთვის გამოცდა უნდა ჩაებარებინა. დიპლომანგს სადიპლომო შრომა რუსულ ენაზე ჰქონდა დაწერილი, რის გამოც პროფესორმა გამოცდის ჩაბარება სამი თვით გადაუდო – შესძლებდა ქართულად ჩამაბარებო. ამ ხანაში აკერმანმა ისე ბეჯითად იმეცადინა ქართულ ენაში, რომ სრულად დაეუფლა და სახელმწიფო გამოცდებიც წარმატებით ჩააბარა.

ნუ ღაგავიწყდება, რომ ეს 1930 წელს მოხდა, როცა ქართული ენის ცოდნისათვის ასეთი თავგამოდება არცთუ იოლი საქმე იყო, მაგრამ გ. გეხტმანს, როგორც მეცნიერსა და მოღვაწეს, კარგად ესმოდა, რაოდენ აუცილებელია იმ

ქვეყნის ენის ცოდნა და გათავისება, რომელიც სამშობლოდ მიგაჩნია, სადაც ცხოვრობ და საქმიანობ.

პაპას ნამდვილად არ აკლდა შემეცნობი და დამფასებელი, რიდიტა და კრძალვით განწყობილი ხალხი, მაგრამ ერთ „მშვენიერ“ დღეს მას გერმანელობაც ბრალად წაუყენეს და გადასახლება გადაუწყვიტეს (ეს მეორე მსოფლიო ომის დროს ხდებოდა, როდესაც გერმანელებს ასახლებდნენ).

ჭეშმარიტ პედაგოგიურ საქმიანობას მართლაც ახლავს განსაკუთრებული მადლი – მოწაფე მოძღვარს წმინდანად წარმოისახავს ხოლმე. აი, ერთმა ასეთმა მოწაფემ (გვარი არ მახსენდება, მაპატიოს მისმა სულმა ეს უმაღურობა) თავი გამოიღო მასწავლებლისათვის და იგი გადააარჩინა.

სიცოცხლის ბოლო წლები პაპამ მისი მეორე მეუღლის – ნინო ილაშვილის გვერდით გაატარა. ქ-ნი ნინო პაპას ყოფილი სტუდენტი, შემდგომ კი მისი კოლეგა იყო. მიუხედავად დიდი ასაკობრივი სხვაობისა, პაპას და მის შედარებით ახალგაზრდა მეუღლეს მეგობრული და თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან. ქალბატონი ნინო გულმოდგინედ უვლიდა პაპას, განსაკუთრებით მისი ავადმყოფობის დროს. ის ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი საყვარელი მასწავლებლისა და მეუღლის. ღირსეულად დაკრძალა ვაკის სასაფლაოზე და სათანადო ძეგლიც დაუდგა.

ბოლოსდაბოლოს გიორგი გეხტმანის ღვაწლი დაფასებული იქნა. მას მიენიჭა სხვადასხვა საპატიო წოდებები, რეგალიები, ლენინის ორდენიც კი, მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინათ, ისევ იმძლავრა სიბეცემ და გვარის გამო პოსტამენტგიდან ძირს ჩამოაგდეს მისი ბიუსტი და ეს მოხდა ჩვენი საყვარელი უნივერსიტეტის კედლებში. მადლიერმა შთამომავლობამ, ინგლექტუალურმა ელიტამ აღადგინა ეს ბიუსტი და არ დაუკარგა გიორგი გეხტმანს მისი კუთვნილი ადგილი.

პაპა, როგორც ადრეც აღვნიშნე, ქართველად სთვლიდა თავს და საზოგადოება ამას სრულ ჭეშმარიტებად მიიჩნევდა, მიუხედავად მისი გვარისა და მამის ეროვნებისა.

მინდა ეს მცირე მოგონება დავასრულო პაპაჩემისავე სიტყვებით: „ქართველ ხალხს აქვს ერთი შესანიშნავი წესი – ქართული კულტურისადმი კეთილად განწყობილ უცხოელსაც კი იგი გულში ჩაიკრავს და ღვიძლ შვილში არ გამოარჩევს.“ ეს თვისება მაღალკულტურული, დიდი ისტორიისა და გამოცდილების მქონე ერებს ახასიათებს. არასოდეს დადგომოდეს საქართველოს ჟამი ამ ცნებიდან განდგომისა.



რედაქციისაგან:

ჩვენს მკითხველებს ვთხოვთ – სტაგიაში გამოქვეყნებულ კოლექტიურ სუ-

რათში გამოსახულ პიროვნებების ვინაობის გარკვევისას, მიუხედავად იმისა, რომ სურათის ორიგინალის უკანა გვერდზე უმეტესი მათგანია მოხსენებული, არ არის დაცული თანმიმდევრობა და ძნელი ხდება ყველას ვინაობის დადგენა, რაც ერთგვარ დაეჭვებას იწვევს სპეცისლისტებს შორის. შეიძლება დაგვეხმაროთ?

სურათის მეორე გვერდზე ამგვარი თანმიმდევრობით წერია: 1. პროფ. გეხგმანი, 2. კავანოვა გული, 3. კანდელაკი ნეოლინა, 4. ქარცივაძე თამარა, 5. ეგორაშვილი ლევანი, 6. მელაძე მერი, 7. გელოვანი გიორგი, 8. მუნდუკიანცი, 9. ინაშვილი დავით, 10. მაგაგაშვილი მათე, 11. იორდამიშვილი მარო. 1925 წ.

ხელს აწერს ს. გონია (არქივის გამგე)



ნელი ჯარიაშვილი
ოსგ მეთოდისტი

თანამშრომლის იუბილე



დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა ოსგ მე-3 ბიბლიოთეკის უფროს ბიბლიოთეკარს ქ-ნ ლუბა ზუკაკიშვილს. მან 1949 წელს დაამთავრა კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი

და იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის მე-3 ბიბლიოთეკაში მოძრავი განყოფილების გამგედ. ქ-ნი ლუბა შვიდი წლის მანძილზე ემსახურებოდა წიგნის ადგილზე მიგანით მიკრორაიონში მდებარე საშუალო სკოლებს, ფაბრიკებს, ქარხნებს და იმ მკითხველებს, რომლებსაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდათ.

1956 წელს გაუქმდა ბიბლიოთეკის მოძრავი განყოფილება და ქ-ნი ლუბა გადაიყვანეს ამავე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის გამგედ, სადაც დღემდე მუშაობს. მუშაობის ხანგრძლივ პერიოდში მას მიანიჭეს რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება, არის შრომის ვეტერანი, წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარი და მრავალი სიგე-

ლის მფლობელი. ქალბატონ ლუბას საიუბილეო საღამო გახსნა და მის უანგარო საქმიანობაზე დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო 84-ე საშუალო სკოლის პედაგოგმა მარინე გოგინაშვილმა.

იუბილარს თბილი სიგყვებით და საკუთარი ლექსით მიესალმა ბიბლიოთეკის მკითხველი პოეტი ქალი ლამარა რჩეულიშვილი:

**„ბარბარობის დღესასწაულს
ვუერთდებით სანთლის კვარით,
დაბადების დღეს გილოცავ
კიდევ მრავალს დაესწარი...“**

საიუბილეო საღამომე ბიბლიოთეკის მკითხველმა 111-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ნათია ბიბილაურმა წაიკითხა პოეტი ოთარ შალამბერიძის ლექსი „ჩემი ლექსი და ჩემი მადლობა,“ რომელიც მიძღვნილია ბიბლიოთეკაში ფუტკარივით მოფუსფუსე ბიბლიოთეკარებისადმი.

ქ-ნ ლუბას სიყვარულით მიულოცეს საიუბილეო თარიღი თსგ მე-3 ბიბლიოთეკის მკითხველებმა: 29-ე საბავშვო ბაგა-ბაღის გამგემ ლალი ნომბაძემ, ნინელი გელენიძემ, ხოლო ლალი ნომბაძემ საკუთარი ლექსით დაასრულა თავისი მილოცვა:

„თბილი მზის დარად ბრწყინავს



**უკვდავად თქვენი სახელი,
და თქვენი ზრუნვით აღზრდილი
გამრავლდეს ქვეყნად ქართველი.“**

ღებმა მარიამ და თამარ ნინიძეებმა ასევე საკუთარი ლექსებით მიულოცეს იუბილე ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკარს.

იუბილარს სიყვარულით მიულოცა დაბადების დღე ახალბედა ბიბლიოთეკარმა ნინო მეტრეველმა, რომელიც მე-3 ბიბლიოთეკის მკითხველი იყო ბავშვობიდან და ამ ბიბლიოთეკის თანამშრომლების საქმიანობით დაინტერესებულმა შეიყვარა ბიბლიოთეკართა საქმიანობა და დღეს ამ ბიბლიოთეკის თანამშრომელია.

პოეტი ლილი ნუცუბიძის ლექსით „ბიბლიოთეკარი“ იუბილარს მიესალმა 111-ე საშუალო სკოლის მოსწავლე მარიამ გოისაშვილი.

ქ-ნ ლუბას საქმიანობის, მისი ამოუწურავი ენერჯის შესახებ დამსწრე საზოგადოებას ესაუბრნენ მე-3 ბიბლიოთეკის გამგე მერი ლომია, თსგ მეთოდისტი ნელი ჯარიაშვილი და ლეიმა ქუმელაშვილი, თსგ პროფკავშირის თავმჯდომარე თინა ჩაგანავა.

მადლობის სიგყვები არ დაიშურეს ქ-ნ ლუბას აღზრდილმა მკითხველებმა – 111-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ნათია უსტიაშვილმა და დარინა ყანჩელიშვილმა.

იუბილარმა აღელვება ვეღარ დამალა და სიხარულით აცრემლებულმა მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის მკითხველებს, თავის კოლეგებს და სტუმრებს ასეთი ბედნიერი და დავიწყარი დღის ჩუქებისთვის.

ლია ურდულაშვილი
საგარეჯოს ც/ბ ბიბლიოგრაფი

საგარეჯოს სენტრალური ბიბლიოთეკა – 115

ართველი ხალხი, ქართული მწერლობა უძველესი დროიდან აყენებდა ხელნაწერი წიგნების შენახვის საკითხს, რამაც საფუძველი დაუდო წიგნსაცავების შექმნას. საგარეჯოს რაიონი ბევრი ისტორიული მოვლენის მომსწრეა. მისი მდიდარი ისტორიული წარსული, ეკლესია-მონასტრების სიმრავლე ბევრ რამეზე მეტყველებს.

საგარეჯოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორია დავით გარეჯის მონასტრის წიგნთსაცავიდან იღებს სათავეს. მონასტერში მიმდინარეობდა ხელნაწერების შექმნა და გამრავლება.

დავით გარეჯის სამ მონასტერს – ღვთის ღვარას, იოანე ნათლისმცემელსა და დოდოს ეკლესიას თავ-თავისი პაგარა წიგნადი ფონდები ჰქონდა;

XVII-XVIII საუკუნეებში ისინი გაერთიანებულია და თითქმის ყველაზე დიდი წიგნსაცავი შექმნილა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში.

საგარეჯო (ისტორიული სახელწოდება „თვალი“) დავით გარეჯის მონასტრის კუთვნილებას წარმოადგენდა. ეს იყო ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტი. მონასტრის წინამძღვრის – ონოფრე მაჭუგაძის ხელმძღვანელობით 1710-1712 წლებში თვალზე პეტრე-პავლეს ეკლესია აუშენებიათ, რომელიც შემკული იყო „ხაგითა და ჯვრითა, წიგნებითა და შესამოსელით“ (თ. ქორდანი, ქრონიკები. 1897 გვ. 51). დავით გარეჯის მონასტრიდან აკრძალული იყო წიგნების გამოგანა, მაგრამ ონოფრე მაჭუგაძეს პეტრე-პავლეს ეკლესიისთვის თავისი ხელით გადაუცია წიგნების ნა-

წილი ეკლესიის მრევლისთვის. ამ ეკლესიის წიგნების ნაწილი დაედო შემდეგ საფუძვლად საგარეჯოს ბიბლიოთეკის გახსნას.

XIX ს. 80-იან წლებში სახალხო საქმისათვის თავდადებულთა თაოსნობით საგარეჯოში ჯერ დაარსდა სახალხო თეატრი, ხოლო მის კვალდაკვალ სახალხო წიგნსაცავი. ყოველივე ამას საფუძველი ჩაუყარა სახალხო მასწავლებელმა ალექსანდრე ცხვედაძემ. თეატრალური წარმოდგენებიდან შემოსული თანხების ნაწილი გადაეცემოდა წიგნსაცავს ახალი წიგნების შესაძენად. ბიბლიოთეკა თავიდან ორწლიან სასწავლებელში იყო მოთავსებული, ხოლო შემდეგ 1889 წელს ცალკე შენობაში მოათავსეს და პირველი ბიბლიოთეკარი დანიშნეს. 1895 წლიდან წიგნსაცავის ხელმძღვანელობა ითავა ადგილობრივმა მასწავლებელმა სპირიდონ გაბელაშვილმა. ბიბლიოთეკა მაშინ მოთავსებული იყო მჭედელ ალექსი გოშაძის სახლში. ამ შენობაში ბიბლიოთეკამ დაჰყო 7-8 წელი. სპირიდონ გაბელაშვილის შემდეგ ბიბლიოთეკარის მოვალეობას ასრულებდა მასწავლებელი ქალი ეკატერინე მაყაშვილი-გაბელაშვილისა. ბიბლიოთეკის ფონდი იზრდებოდა შეწირული წიგნებისაგანაც. შემდეგ ბიბლიოთეკა გოშაძის ბინიდან გადაგანილ იქნა ანა გარსიაშვილის ფიცრულ შენობაში.

1903-1904 წლებში საგარეჯოს წიგნსაცავს მორიგეობით განაგებდა ორი ქალი: მასწავლე-





ბელი ეკატერინე გულისაშვილი და სოფიო ლომიძე. ბიბლიოთეკის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა საგარეჯოს თეატრში დადგმული სპექტაკლების შემოსავალი. ბიბლიოთეკა იღებდა ყოველწლიურად დახმარებას ადგილობრივი საკრედიტო ამხანაგობებისა და ღეპოსაგან. წიგნსაცავ-სამკითველოს ჰყავდა თავისი ხელმძღვანელობა – გამგეობა, რომელსაც ირჩევდნენ მკითხველები. ხელმძღვანელობა და სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებული იყო ამომრჩეველთა წინაშე;

1904 წელს საგარეჯოს ბიბლიოთეკას მოეწოდებოდა დიდი გულშემატკივარი საშა (ალექსანდრე) მჭედლიშვილი, რომელმაც სათანადო სიმაღლეზე აიყვანა ბიბლიოთეკა. 1904 წელს წიგნსაცავი გადატანილ იქნა სკოლის შენობაში. ამ დროს წიგნების რაოდენობა 3000 ტომს შეადგენდა. 1907 წელს ბიბლიოთეკისთვის შეძენილ იქნა ფიცრული შენობა 250 მანეთად. ამ პერიოდში შეძლეს და ხელფასიც კი დაუნიშნეს ბიბლიოთეკარს. პირველი ხელფასიანი ბიბლიოთეკარი იყო ქეთევან ბელიაშვილი, რომელიც 7-8 წელი უძღვებოდა ამ საქმეს. 1916 წლიდან ბიბლიოთეკა მოთავსდა გ. მჭედლიშვილის ბინაში (სგალინური სიგყვა, 1959, 26/IV) XIX საუკუნის ბოლოს ბიბლიოთეკის განვითარებისათვის დიდი როლი ითამაშეს ჩვენი რაიონის ინგელიგენციის წარმომადგენლებმა: ნიკო ავალიშვილმა, დიმიტრი კაპანაძემ, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ იერემია გულისაშვილმა, ალექსანდრე ჩერქეზიშვილმა, მაქარია გულისაშვილმა, ალექსანდრე და ივანე ჯაბაღარებმა, დიმიტრი ბაქრაძემ, იოსებ იმედაშვილმა და სხვებმა. 1890 წელს ალ. ჯაბაღარმა იერემია გულისაშვილთან ერთად ჩამოაყალიბა „წიგნის გამომცემელ ქართველთა საზოგადოება“, რომლის მეშვეობითაც ის საგარეჯოს წიგნსაცავს ეხმარებოდა ახალი წიგნებით.

მწერალი სიმონ მთვარაძე თავის 1926 წელს გამოცემულ წიგნში წერს, რომ მწერალმა ალექსანდრე ცხვედაძემ ინგელიგენციის აქტიური

დახმარებით ბიბლიოთეკის ფონდი 5000 წიგნამდე გაზარდა. მან დააარსა ბიბლიოთეკის მოყვარულთა საზოგადოება და შემოიღო საწევრო გადასახადი. საწევროდან შემოსული თანხები ბიბლიოთეკას ხმარდებოდა. 1893 წელს დაარსდა ბიბლიოთეკის გამგეობა, რომლის წევრები იყვნენ: ექიმი ე. იაშვილი, მასწავლებელი მ. ძაბილაშვილი, სკულენგი ს. ქურდოვანიძე.

XX საუკუნის დასაწყისში საგარეჯოს ბიბლიოთეკამ ბევრჯერ იცვალა ადგილი. წლების განმავლობაში იგი ხან აღმავლობას განიცდიდა, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების კვალდაკვალ, ხანაც კი ქვეითდებოდა – მისი წიგნადი ფონდის დაკომპლექტება სიძნელეებს განიცდიდა, მაგრამ ბიბლიოთეკა მუშაობდა, ეწყობოდა სხვადასხვა ღონისძიებები, შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან, მწერლებთან, მეცნიერებთან, სპორტსმენებთან, ეწყობოდა გამოფენები.

XX საუკუნეში წლების განმავლობაში ბიბლიოთეკის გამგეებად მუშაობდნენ: შოთა ციციშვილი, ნათელა ჯაფარიძე, ციალა გიგინაშვილი, ციალა ილაური, ეთერ ჭიჭინაძე, მანანა კველიშვილი, ფრიდონ როსტომაშვილი, მაყვალა კერაგიშვილი, ცისმარი მამისაშვილი. საგარეჯოს ბიბლიოთეკა აღმავლობის გზას 1976 წლიდან დაადგა. რესპუბლიკაში დაიწყო ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია. მისი ძირითადი მიზანი რაიონში არსებული ერთიანი წიგნადი ფონდის ორგანიზაცია და მისი გამოყენება იყო. შედგენილ იქნა ერთიანი ცენტრალიზებული კატალოგი, რომლის საშუალებითაც სოფლებში არსებული წიგნადი ფონდი გამოუყენებელი აღარ იქნებოდა და სხვა სოფლების დაინტერესებულ მკითხველს საშუალება ეძლეოდა ცენტრალური ბიბლიოთეკის საშუალებით მოეძებნა და გამოეყენებინა იგი.

XX საუკუნის 70-80-იან წლებიდან საგარეჯოს რაიონში გედიმედ იხსნებოდა ახალი ბიბლიოთეკები, ზოგიერთ სოფელში ორიც კი. ამ პერიოდში საქართველოში წიგნის ბეჭდვამ



უმალეს ზღვარს მიაღწია. სოფლის ბიბლიოთეკები მარაგდებოდნენ ახალი წიგნებით. თვითონ საგარეჯოს ბიბლიოთეკაში შეიქმნა სხვადასხვა განყოფილებები: დაკომპლექტების განყოფილება, მეთოდური განყოფილება, ბიბლიოგრაფიული განყოფილება, მკითხველთა მომსახურების განყოფილება. ამ პერიოდში ბიბლიოთეკამ ჩააგარა რამდენიმე ღონისძიება, რომელსაც 400-500 კაცი ესწრებოდა. ხშირი იყო ლიგერაგურული და მხაგვრული საღამოები. შეხვედრები ეწყობოდა მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან.



სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკას მკითხველებთან შესახვედრად მოწვეული ჰყავდა მწერლები: რევამ ინანიშვილი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, მეღვა კახიძე, მუმრუდ გოდერძიშვილი, ბელა შალვაშვილი და სხვები. ცენტრალიზაციის პერიოდში ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა მაცყალა კერაგიშვილი. ის ბიბლიოთეკის დირექტორი იყო 1956-1985 წწ. მას დიდ პატივს სცემდა მთელი საზოგადოება. წლების განმავლობაში ბიბლიოთეკაში მუშაობდნენ თავის დარგზე უზომოდ შეყვარებული ბიბლიოთეკარები: ნ. ქვლივიძე, ი. თელიაშვილი, ქ. ხიბლაშვილი, ლ. ბელიაშვილი, ნ. ბარბაქაძე, ლ. არჩემაშვილი, ე. ძალასაროვა, დ. ნიკოლაიშვილი, მ. ასანიშვილი, დ. კახიანი, თ. შათირიშვილი, თ. კობაური, ნ. როსგომაშვილი, მ. თელიაშვილი, ც. მამისაშვილი და სხვები, ისინი დიდი სიყვარულით ქმნიდნენ ბიბლიოთეკის ისტორიას, რომელიც ღირსეულად ემსახურებოდა ხალხს.

XX საუკუნის 80-იან წლებში ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ საბოლოოდ დაიღო ბინა საგარეჯოს სახალხო თეატრის შენობაში. სადაც მას ორი სართული უკავია. ბიბლიოთეკაში დაცულია ძვირფასი გამოცემები – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საბავშვო ენციკლოპედია, ქართული მწერლობის მრავალტომეული, ქართული პროზა, მსოფლიო ლიგერაგუროის ორასტომეული, დიდი ქართული კლასიკოსების ნაწარმოებები და სხვ.

ბიბლიოთეკის მუშაობა ბევრჯერ დააფასა მთავრობამ მაღლობებითა და სიგელებით. დღეს ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ლია გოდერძიშვილი.

XX საუკუნის 90 წლებიდან შექმნილმა რთულმა სოციალურმა და ეკონომიურმა პირობებმა ბიბლიოთეკაზეც იქონია გავლენა. ისეთი მცირე ხელფასის პირობებში, როგორსაც დღეს თანამშრომლები იღებენ, თუ არა საქმის დიდი სიყვარული, ამ საქმეს ყველა თავს დაანებებდა. ბოლო პერიოდში ჩაისახა იმედი ახალი ცხოვრებისა. ბიბლიოთეკის ახალი ხელმძღვანელობა ცდილობს შემოიგანოს ბიბლიოთეკაში გექნიკის სიახლეები, მით უმეტეს, რომ მაგერიალურ გექნიკური ბაზა აკმაყოფილებს პირობებს. საგარეჯოს ბიბლიოთეკას 115 წელი შეუსრულდა (1889-2004 წწ) რამდენად სასიხარულოა, თუკი მომავალ წლებში ბიბლიოთეკა აღიჭურვება უახლესი ელექტრონული გექნიკით. მჯერა, ბიბლიოთეკა შეძლებს ფეხი აუწყოს თანამედროვე ცხოვრების რიგს და შეასურლოს მასზე დაკისრებული მისია.





გურამ თაყნიაშვილი

ორი პოეტური კრებული

„საქართველო თვითონ გაბაფხულია“.

ამ სიგყვების ავტორი, შუახევის რაიონის სოფ. სამოლეთის ბიბლიოთეკის გამგე ბაქრო კეყერაძე, როგორც მთაში გაზრდილ ვაჟკაცს სჩვევია, მორიდებით შემოვიდა ჩვენი ჟურნალის რედაქციაში; საუბარი ჩამოაგლო სოფლის კულტურული ცხოვრების, ბავშვთა წიგნიერების დონის ამალღებისა და საბიბლიოთეკო ცხოვრების ყოფით პრობლემებზე. გამოთქვა გულისკვილი, სინანული; მის საუბარში კაცი აშკარად შეამჩნევდა რწმენას, კეთილშობილებასა და სათნოებას; ისეთ უშუალობას და სითბოს ყვაფილების თოვლს რომ სჩვევია: მერე ლექსების პატარა კრებული ამოიღო და მორიდებით დაგოვა რედაქციაში: „ფოთლების სეფდა,“ ასე ეწოდება ბაქრო კეყერაძის პირველ პოეტურ კრებულს, რომელიც გამომცემლობა „აჭარამ“ გამოსცა 2003 წელს. თითოეული ლექსი დაწერილია ბუნების, ადამიანების, მამულის გულწრფელი სიყვარულითა და სიცოცხლის გრფიალით.

მთის მწვერვალზე მდგარი პოეტი ეფერება თითოეულ მთას, ველს, სახნაფ-სათეს მიდამოს:

„აქედან მზესავით გეფერები,
და ნაირფერად გრთავ,
აქედან ძლიერ შორს გაფიჭრები,
მაგრამ შენ არ მოგწყვეტ თვალს“, –

– ამბობს მიწაზე მკვიდრად მდგარი პოეტი და დღენიადაგ გრძნობს საკუთარი სამკვიდროს სითბოს, სიმალღესა და სილამამგს.

ბაქრო კეყერაძე ერთი პოეტთაგანია საბიბლიოთეკო დარგში მოღვაწე პოეტებს შორის; იგი განათლებით ფილოლოგია და აგერ უკვე

ზაქრო კეყერაძე



ფოთლების
სეფდა

20 წელზე მეტია თავის მშობლიურ სოფელს ემსახურება წიგნით, კულტურულ ღონისძიებებით; იგი პატარა მკითხველების სიყვარულით მოსილ აგმოსფეროში თავს ბედნიერად გრძნობს; გულით ხარობს, როცა პატარა მამულის საღიდებელ ლექსს წარმოთქვამს; ავტორი ნათლად ხეღავს, რომ სწორედ ბავშვობიდან „ირწევა დიდი ცხოვრება“ და მერე „მთავრღება ვინ იცის საღ“...

ეს პატარა პოეტური კრებული მგზნებარე გულითა და მხურვალე პატრიოტიზმით აღსავსე გულის მქონე კაცის ნაღვაწია.



მეორე პაგარა კრებული ლექსებისა ეკუთვნის ასევე ბიბლიოთეკარს ლამარა რჩეული-შვილს, მისი გულწრფელი პოეტური სტრიქონები ადრევე გამოქვეყნდა ჩვენს ჟურნალში. წინამდებარე კრებული დაწერილია ძველი თბილისის სიყვარულით: პოეტი იმავე ქუჩებში დააბიჯებს, სადაც იოსებ გრიშაშვილი დადიოდა, დააბიჯებს და ლალობს ხარფუხის ცის ქვეშ; აქ სოსოს სიმღერა ახსოვთ და ობოლი იეთიმ გურჯიცი:

„წინაპართა დიღო ფესვო,
დაგილოცავ გზას წინ მავალს,
რუსთაველის, გრიშაშვილის,
იეთიმ გურჯის ნარიყალაჲ!“

პოეტი ქალი ნამდვილი ბუნების შვილია, იგი ეფერება ყვავილებს, გულს უშლის დილის სიოს, შეჭხარის ცას და მეოცნების თვალებით გასცქერის დასალიერში გაფენილ ნისლებს, პოეტი სიკეთის ქმნაში ხედავს საკუთარ მოწოდებას, მის გულს ხომ მამული აცისკროვნებს, სადაც ნიადაგ იბადება „ლამაზი სულის მშვენიერი სურვილები.“

ინტერვიუ

ზურაბ ფარჯანაძე

ქორეოგრაფია – ინტერესთა სფერო

აორეოგრაფია, შეიძლება ითქვას, ჩვენი ბიბლიოთეკების მომხმარებელთა ინტერესთა სფეროში შედარებით ახალი მიმართულებაა. როგორც ცნობილია, ამ ბოლო ათწლეულში საგრძნობლად შეიცვალა ბიბლიოთეკის სტატუსი, რაც ძირითადად მისი ფუნქციების გაფართოებასთანაა დაკავშირებული. საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ, ინტერნეტმა, აუდიო და ვიზუალური ტექნიკის მომრავლებამ, წიგნადი პროდუქციის მრდასთან ერთად, ერთბაშად წარმოშვა მოთხოვნები იმგვარ თემატიკაზე, რომელსაც ადრე სულ თუ არა, ნაკლებად ეთმობოდა ყურადღება.



სწორედ ეს შეიძლება ითქვას ქორეოგრაფიაზე.

ამ მხრივ თვალნათლივ შეიმჩნევა ჩვენი ბიბლიოთეკების დაინტერესება. ამიგომაც რედაქცია კმაყოფილებით შეხვდა ახალგაზრდა სპეციალისტის – მურაბ ფარჯანაძის ვიზიტს რედაქციაში და მის მიერ თანამშრომლობის შეთავაზებას. ჩვენი კორესპონდენტი გვანცა მელითაური სპეციალურად ესაუბრა მას და რამდენიმე შეკითხვით შეეცადა გარკვეულიყო მოგიერთ ისეთ საკითხში, რომლის გაგება ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველისთვის.

– რამდენად საინტერესო შეიძლება იყოს ქორეოგრაფიის თეორიული საკითხების გახილვა ჩვენი მკითხველისთვის?

წმურაბ ფარჯანაძე – ქორეოგრაფია ისეთი სინთეზური ხელოვნებაა, რომელიც მრავალ მომიჯნავე დარგთან არის დაკავშირებული – მუსიკა, სცენოგრაფია, კოსტუმერია, რეკვიზიტი, ეთნოგრაფია, მეთოდოლოგია, დიზაინი, შუქრდილების საფუძვლები, პანტომიმური ხელოვნება და სხვ. ყოველივე ეს შენივთებულია ცეკვის ხელოვნებაში – კლასიკური იქნება ის თუ ფოლკლორული. ცხადია, ამგვარი დიდი დიაპაზონი გვაფიქრებინებს, რომ კარგად ორგანიზებული საქმიანობის დროს ამ ინტერესთა სფეროს ცოცხა მომხმარებელი არ უნდა ჰყავდეს.

– მხედველობაშია მისაღები ალბათ ისიც, რომ ამ დარგთან წარმომადგენლებისათვისაც საინტერესო იქნება ქორეოგრაფიული მასალა.

– რა საკვირველია! ქორეოგრაფიულ თეორიაში ბევრი რამ იქნება ისეთი, რაც მათ პროფესიულ საკითხებს შეეხება. ამიგომაც აღნიშნული სფეროს მომხმარებელი საკმაოდ ბევრი იქნება. ასე რომ, ქორეოგრაფიის მასალის მოთხოვნილებანი არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა.

– ქორეოგრაფიის თეორია ყველასათვის ნათელი და გასაგებია, მაგრამ მკითხველთა დიდი ნაწილისათვის, ალბათ, მთლად ნათელი ვერ იქნება ცეკვითი მოძრაობის გამოხატვა წერილობითი სახით. რამდენად შესაძლებელია ან როგორ ხდება ეს.

– ქორეოგრაფიაში მასთან დაკავშირებულ

ყველა დარგს თავისებური ადგილი აქვს და თმობილი და მათ დიდი მნიშვნელობა აქვს თეორიისათვის, მაგრამ მაინც მთავარი სირთულე მოძრაობითი ფორმების – ილეთების გამოხატვასა და გადაადგილებათა (ქმედობათა) მოხაზულობაშია. ეს განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული წერილობითი სახით გადმოცემის დროს. მიუხედავად ამისა, ამ საქმეზე უძველეს დროიდან ფიქრობდნენ. „ქორეოგრაფია“ ხომ თავდაპირველად ცეკვის ჩაწერას ნიშნავდა, თუმცა ამ გერმინმა საყოველთაო აღიარება და მრავალმხრივი გაგება XVIII საუკ. დასაწყისში მიიღო. სწორედ ამ დროს დაედო სათავე ცეკვების ჩაწერას.

– როგორ ხდება ეს?

– იმგვარად, როგორც მუსიკალური ბგერებისა და მათი სიგრძე-სიჩქარის გადმოცემა ხერხდება – სათანადო პირობითი ნიშნებით. როგორც ვთქვით, ასეთი რამ სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა იშვიათი კი არის. უფრო მეტად მოძრაობის ნახამსა და ილეთების დახასიათებას ვხვდებით. შედარებით უფრო დახვეწილი და ჩამოყალიბებულია ეს საბალეტო ხელოვნებაში, იქნება ეს ჩვეულებრივ სცენაზე თუ ყინულის მოედანზე. როგორც ცნობილია, ბალეტში თითქმის ყველა საცეკვაო ელემენტს თავისი სახელწოდება აქვს, რაც შედარებით აიოლებს ცეკვის ასახვას წერილობითი სახით, მაგრამ ამის თქმა ნაკლებად შეიძლება ხალხურ ცეკვებზე, რომელთა ილეთების დასახელება საერთაშორისო „ენაზე“ შემზღუდულია. ამის გაკეთება უდავოდ მოითხოვს ერთგვარ ნოვატორობას.

– როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თქვენ ქორეოგრაფიის თეორიაში მუშაობთ,

მაშასადამე, ხართ ნოვატორიც. ხომ ვერ მოგვითხრობთ თქვენსა და თქვენს მიერ შექმნილი ნაშრომის შესახებ?

– 1997 წელს ჩავირიცხე თბილისის ს. ბაქარიაძის სახელობის გრადიციულ და თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო კოლეჯში, ქართული ქორეოგრაფიის სპეციალობით. ბავშვობიდანვე უსაზღვროდ მიყვარდა ცეკვა და კარგადაც დავეუფლე სპეციალობას. კოლეჯში ჩემი პედაგოგი იყო აწვარდაცვლილი კონსტანტინე მანჯგალაძე. აქ შევისწავლე დიდ ქორეოგრაფთა სახელმძღვანელოები და დავინტერესდი ცეკვის თეორიით. ინტერესმა იქამდე მიმიყვანა, რომ დამეზადა ამრი, შემექმნა ისეთი თეორია, რომელიც ცეკვის ყველა მოძრაობას სანოტო სისტემაში ასახავდა.

– არის კი ადრეული ცდები ჩვენი ქართული ცეკვების, ასე ვთქვათ, „ქალაქში გადატანისა“?

– რა თქმა უნდა. სპეციალისტებისთვის ეს უცნობი არ არის. ბევრ მათგანს აქვს შემუშავებული თავისი სისტემა, თავისებური ნახაზები, რმლებსაც ისინი მუშაობის დროს იყენებენ, მაგრამ გამოქვეყნებული ძალზე ცოტაა.

დიდ ქართველ ქორეოგრაფს დავით ჯავახიშვილს თავის სახელმძღვანელოში აქვს პირობითი ნიშნები, რომლებიც ცეკვის მოძრაობას გამოხატავს. ეს პირობითი ნიშნები მე შევამცირე და გავამარტივე, ზოგი ახალიც შემოვიტანე. მიზანი ჩემი ასეთია: დავუკავშირო ერთმანეთს სანოტო სისტემა და ცეკვის ნახაზი მოძრაობებთან ერთად, ერთობლივად გამოვხატო ისინი.

– რამდენად გაქვთ უკვე შესრულებული თქვენი ჩანაფიქრი?

– მაქვს გაკეთებული ცეკვის ფრაგმენტები მუსიკის თანხლებით.

ამგვარადაა დამუშავებული ისეთი ცეკვები,

როგორცაა: „ქართული“, „აჭარული“, „კმითი-ულური“ და სხვ. შემიძლია ნიმუშიც წარმოგიდგინოთ.



– ეს უკვე სპეციალისტის საქმეა. მე მაინტერესებს, რამდენად პრაქტიკულად გამართლებული იქნება ეს ყოველივე, რამდენად დასტორდებათ ის ბიბლიოთეკის მკითხველებს.

– ცეკვის მოძრაობების ამგვარი ჩაწერით შესაძლებელი იქნება არამარტო ქართული ცეკვის ჩაწერა, არამედ მსოფლიო ფოლკლორული ცეკვების მოძრაობების ფიქსირება. ჩემი მიზანია, შევქმნა ცეკვის იმგვარი თეორია, რომლის გაგება და გამოყენება ყველას შეეძლება. ამგვარად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ქვეყნებში ერთმანეთის ცეკვები ისწავლონ ჩანაწერის მეშვეობით მუსიკასთან ერთად. ჩემი ამრით, ეს ხელს შეუწყობს მკითხველთა და სპეციალისტთა დაინტერესებას, იმასაც მიღწევად ჩავთვლი, თუკი ჩემი ნაღვაწი ბიძგს მისცემს სპეციალისტებს, განაგრძონ ამ სფეროში მოღვაწეობა, რაც გააუმჯობესებს ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ცეკვის თვალსაჩინოდ ასახვის საქმეს.

– რა აფერხებს თქვენი ნაშრომის აპრობაციასა და გამოქვეყნებას?

– ალბათ ჩემი გაუბეღაობა და იმ სახსრების უქონლობა, რომელიც საჭიროა ამის მოსაგვარებლად, მაგრამ იმედს არ ვკარგავ. ვეცდები, როგორმე განვახორციელო ჩანაფიქრი და, მგონია, ჩვენს ბიბლიოთეკებში ამგვარი წიგნის გამოჩენა უყურადღებოდ არ დარჩებათ მომხმარებლებს.

– გისურვებთ წარმატებებს. იმედს გამოვთქვამთ, რომ თანამედროვე გექნოლოგიურ პირობებში, როცა ასე გაფართოებულია ინფორმაციის არე, თქვენი წამოწყება უთუოდ გარკვეულ როლს შეასრულებს ცეკვის თეორიის განვითარებისათვის.



საბიბლიოთეკო საქმის თვალსაჩინო სპეციალისტებს – ზუმრუდ გოდერძიშვილს, გულნარა სტურუასა და მარიამ შამფრიანს ჩვენი ჟურნალის მკითხველები კარგად იცნობენ. მათი ნაწარმოებები არაერთხელ გამოქვეყნებულა ქართულ პერიოდულ ორგანოებში. ჩვენს ჟურნალში სხვადასხვა დროს მათი შემოქმედების რამდენიმე ნიმუში იყო დაბეჭდილი. ამჟამად მკითხველებს კვლავ ვთავაზობთ მათ ახალ ლექსებსა და მოთხრობას.

ზუმრუდ გოდერძიშვილი

პატარა დედა

პატარა გოგო, ნაზი და სათნო,
პატარა გოგო სულ თოთო ბავშვით,
ხეებს აპრილის სურნელი დასდით,
აპრილი ლალად ნებივრობს ბაღში,
პატარა დედა – ღვთისმშობლის ფრესკა,
ათბობს და ნათობს სიკეთის სხივით,
სიცოცხლეს დიდი ძალა აქვს წესად,
ზეწვდომის, რაღაც ზებუნებრივის,
პატარა დედა სულ თოთო ბავშვით,
აპრილი – კვირტებდამსკდარი უცებ,
რაღაც მსგავსება იგრძნობა მათში,
სიცოცხლე ერთი გულივით უცემთ.

მსკიზი

ამ ჩამოძენძილ ღრუბლების მიღმა,
მოჩანს სხივების თხელი ვუალი,
და საოცარი სიმშვიდით მხიბლავს
შავი შაშვების რეპერტუარი.
სულ მახსოვს, რადგან მაინც მიწა ვარ,
ამ ყვაფილებში უნდა ვღვიოდე,
მზემ ხასიათი გამოიცვალა,

წვიმის ცრემლების სუნთქვას იოცებს.
მგზავრი ვარ, შორი გზა მაქვს სავალი,
მჯერა ოდესმე გამოიღარებს,
ვიცი სიცოცხლე რასაც მავალებს,
მორჩა, გამჩენთან აღარ ვიდავებ.

ღამის კვიზაში

ღამე ნაბახუსევი ველზე მშვიდად ფშვინავდა
და ნიავის წრიალი არ მიაჩნდა ჩირადაც,
დაეგმანათ სამრეკლო ღამის ჭრიჭინობელებს,
მთვარე ჭადარს ჩრდილებში ქსოვდა სხივთა
გობელენს.

ნეტარებდა მიდამო ლოცვის ჩუმი დუმილით,
ცის კაბადონს შვენოდა მთვარის
ოქროცურვილი,
ტირიფნარში ჩიორა აფართხალდა ანაზდად,
ვიღაც მგზავრი გვიანი მიჰყვებოდა შარავზას.

სარკამართო

ჩამოიმარცვლა დღეები ზამთრის,
ღრუბლის ქულებმა ზეცა დატბორეს,
საცაა კარებს შემოხსნის მარტი,

საცაა მწუხრი წავა, დამტოვებს,
 გამოიზამთრებს ქარი სარკმლიდან,
 ნაძვის ტოტებში ღამეს გაათევს,
 ჩემი სევდა და სასოწარკვეთა
 გამოსათხოვარს ითვლის საათებს,

მზითევს იმზადებს დღე სარვამართო,
 გულზე აყრია ია-იები,
 მოუხარია მზეს სანაფარდოდ
 გაღიმებული ქალის იერით.

გულნარა სტურუა

გზაზე დაკრეფილი ლექსები

რა კარგია, როცა იცი ვინ ხარ,
 დემოკრატი თუ პირქუში ეგო,
 როცა იცი, ვის რისთვისაც კიცხავ,
 ცხოვრებაში თუ რა როლი გერგო.
 ასე ვამბობ; გულში მაინც ვფიქრობ:
 ვინ რა იცის, ვინ-ვინ არის, როცა...
 ვინ-ვის ტყავში ძვრება, ან რას იძრობს,
 შავია და მაინც თეთრად მოჩანს.


* * *

დარდი მიზის გულში.
 არც მაცოცხლებს, არც მკლავს.
 ის, რაც იყო გუშინ,
 წავიდა და გაქრა.
 ის, რაც არის დღესაც,
 არ იქნება ხვალე,
 განელდება მზე და
 შეივსება მთვარე.
 მაგონდება რომი –
 ისტორიის ვნება –
 მიდის, მიდის დრონი,
 მერე სხვა დრო ღვება.

სკამბატალი

თამაშობენ ბავშვები,
 თამაშობენ ღიღები.
 ზოგი ზღაპრებში დადის,
 ზოგიც ფერად სიზმრებში.

ეს რა ჭრელი სცენაა,
 სპექტაკლი უცნაური,
 იქეთ მხარეს სტვენაა,
 აქეთ – აურზაური.
 გაუშლიათ ბაზრები,
 ფარდულების მწკრივები,
 მარჯვნივ ბჭობენ მაძღრები,
 მარცხნივ – თრთიან მშივრები.
 თითქოს მართლაც დრამაა
 კომედიას ჩართული,
 სასწაული რამაა
 ჩვენი ყოფა – ქართული,
 გადაიღეთ კადრები,
 შეინახეთ არქივში,
 სხვა დროს მომსწრე ასეთის
 ვერ ვიქნებით, მაქვს შიში.
 ხედავთ, ვინ-ვინ ყოფილა,
 ვინ – მეფე, ვინ – ყვარყვარე,
 მსახიობი ათასი,
 ვთვალე და ვერ დაფთვალე.
 აზარტული თამაშით
 არ მთავრდება სურათი,
 მიწაც შეაზანზარეს,
 თავს დაიმხეს გუმბათი.
 რეჟისორი სად არის? –
 კითხვა გაჩნდა ბოლო დროს,
 ეს დამღლელი სპექტაკლი
 იქნებ დააბოლოოს...



მარიამ შამურიანი

ზღვა და ნავსაყუდარი

მოთხრობა

ხმელეთს დავცილდით, კაგერი მოსარკულ წყალს ჭრის და მოლივლივე ჭავლებს გოვებს. უკან ნაპირი მოჩანს მწვანე ნაძვნარში ჩაფლული თეთრი შენობებით. ირგვლივ საამოდ იღვრება სოლოვიოვ-სედეოს „Мой старий друг“. ჩემს გვერდით მდგარი რუსი მამაკაცი რადიოს ხმას აყოლებს და მშვენივრადაც გამოუდის.

უკიდევანო წყალს, მზეს, უსაზღვრო სივრცეს, შორეულ ჰორიზონტს – მოგონებებში გადავყავარ.

მასხენდება მეხუთე კლასი, თეთრი კედლები, კლასში ჩამოკიდებული ვეება მსოფლიო რუკა მელ გამოსხაგული მაგერიკებით, მწვანე დაბლობებით, ყავისფერი მთიანეთით, ცისფერი ოკიანეებით, ზღვებით, ტბებით და მდინარეებით. ახლა კი დიდ ცისფერ წყალს მიაპობს კაგერი და იმ კაგერზე მეც ვარ უცხო ხალხთან ერთად.

„А мы старую не женаты“ სიმღერის რიგში თანადათან იკვეთება გეოგრაფიის მასწავლებლის – არჩილ ყიფიანის ხმა, გვიყვება მაგელანზე, კოლუმბზე, ამუნდსენზე, მამაც მოგზაურებზე, რომლებმაც ურთულესი გზა გაიარეს. გვიყვება მათ პირად ცხოვრებაზე, სულიერ სამყაროზე, სევდიან თავგადასავლებზე.

* * *

ხალხის ჩოჩქოლი არღვევს ჩემ ფიქრებს. კაგერი ნავსადგურს მიახლოვებია. ჩასასვლელად ემზადება ყველა. ნაპირისაკენ ვიხედები. თვალეებზე ჩამოფხაგულ აფხაზურ ქუდს მევით ვწევ, მერე ფიცრებისაგან გაკეთებულ გრძელ ხიდს მივყვები, მერე ხალხს, ქუჩას.

ბალი, ხეები, მერხები, აგურისფხვნილმოყრილი ბალის ლამაზი ბილიკები, ადამიანები.

ვაკვირდები ყველაფერს და ყველას.

– საიდან, როგორ? – მესმის ნაცნობი ხმა. მერხიდან ჭალარა ქალი დგება, მეხვევა, მკოცნის.

– კაგერს ჩამოვყევი ქობულეთიდან, თქვენ, ქალბატონო მერი?

– მე კარგა ხანია აქა ვარ.

– კიდეც იმიტომ ველარ გხედავდით „ცენგროლიგში“.

– მარგო ხართ, თუ ვინმე გახლავთ?

– მარგო, სულ მარგო.

– ამდენი ხანია თქვენი წიგნები ისევ ხელზე მაქვს, ხომ არ მიწყრებით?

– ვიღრე გჭირდებათ, გქონდეთ, ასეთი წიგნების მკითხველი მაინცდამაინც არა გყავს.

– მოგშივლებოდათ, წავიდეთ ჩემთან, თუმცა აქ შევიდეთ რესტორანში, ერთს ველოდები და ძებნას დამიწყებს.

მორჩილად მივყვები. ყველაფერზე მეტყობა, იმგვარი მორჩილება რომ თავაზიანობის მიზეზია. ქუჩა თავდება, აქეთ-იქით ვიხედები, ცნობისმოყვარეობით ვაკვირდები ყველაფერს.

– პირველად ხართ ბათუმში? – მეკითხება ქალბატონი მერი.

– პირველად.

– ფრთხილად, აქეთ არ ჩავარდეთ, ახალ ნავსადგურს აშენებენ, ამიტომაც ყველაფერი ასე აყრილ-დაყრილი.

მაგიდასთან ვსხდებით თუ არა, ჩემი ნაცნობი ქალი ბოლიშს მიხდის, სწრაფად დგება და კარებისკენ მიმავალ მაღალ მამაკაცს ეძახის. მისკენ სწრაფი ნაბიჯით მიდის. მისი კოხტად, მოხდენილად სიარული თბილისის „ცენგროლიგის“ დასახლების ერთ აღრიხდელ დილას მაგონებს.

* * *

ჩვენი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შემოდის მაღალი, ჭაღარა, ძალიან ლამაზი, მოხდენილად ჩაცმული ქალი, პირდაპირ ჩემსკენ მოდის, მესალმება.

– უკაცრავად, ახლა თქვენ მუშაობთ კლარას ნაცვლად? – მეკითხება.

– დიახ, – ვუპასუხე.

– სასიამოვნოა; კლარა თუა კმაყოფილი ახალი სამსახურით?

თავს ვუქნევ. ძალიან სწრაფად გავდივართ ძალდაუგანებელ საუბარზე. ის ბოლოს რაღაც შეფერხებით მეუბნება:

– თუ არ შეწუხდებით, ერთი რამ მინდა გთხოვოთ, თუმცა ჯერ გავეცნოთ ერთმანეთს. მე თქვენი ბიბლიოთეკის მუდმივი, აქტიური მკითხველი ვარ, – მერი ერისთავი.

ხელს ვუწვდი და ხმადაბლა ვაცნობ ჩემს სახელს: – თეა.

– თეა, თუ შეიძლება კამჩაგის შესახებ და მის ახლომახლო მდებარე მიდამოების გარემოზე მიპოვოთ რაიმე თქვენს ბიბლიოთეკაში.

უცბად პასუხს ვერ ვაძლევ (ეს-ესაა დავამთავრე ინსტიტუტი და ახალდაწყებული მაქვს მუშაობა).

– სახელდობრ – რა?

– აი, მაგალითად, რაიმე ცნობები სახალისნზე, კამჩაგკაზე, მათ შესახებ არსებულ ლეგენდებსა და სახელების შერქმევებზე. ერთი სიტყვით, ამ ადგილების ირგვლივ ყველაფერზე.

ვაგყობ, ქართული უჭირს.

ვეძებ სისტემატურ კატალოგში. მერე მეცხრე განყოფილების გეოგრაფიულ თაროზე. ამ განყოფილების თითოეული წიგნის სარჩევს ვჩიჩქნი, მაგრამ არაფერი გამომდის (ბიბლიოთეკა ახალი დაარსებულია და ჯერ არც საგნობრივი კატალოგია, არც ბიბლიოგრაფიული განყოფილება).

ენციკლოპედიას ვიღებ თაროდან...

– არა, – მეუბნება ქალბატონი მერი, – ვიცი, მე უკვე მოვნახე მანდ, მხოლოდ მოკლე ცნო-

ბებია.

– რაც თქვენ გნებათ, ის ჩვენ ბიბლიოთეკას არ გააჩნია; თუ არ გეჩქარებათ, ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკიდან გამოგიგანთ ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით. – თანხმობის ნიშნად თავს მიქნევს, თავაზიანი ღიმილით შემვიდობება, – ძალიან დამავალბთ.

* * *

– და, როცა ეს „СВОЕ“ გაწუხებთ, რას შერებით მაშინ? – ვეკითხები.

იგი თავს ხრის, ხელებს იფარებს სახეზე, მხრები უთრთის.

– გირით?!

თითქოს თანაგრძნობის უნარი წამერთვა, ხმას ვერ ვიღებ, გული მწყდება. მაინც, რა არის სიბერე, სიმარტოვე! ულამაზესი ქალი მამაკაცების გვერდით წლების მანძილზე ომის მძიმე ქარცეცხლში ებრძოდა გალღებს, შიმშილს. სიკვდილს, ახლა კი აქ, ჩემთან თავს ვერ იკავებს.

ვუყურებ და ვფიქრობ, რამ აიძულა მღვაზე გასვლა? შტურმანიო?! ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ასეთი ქალი როდისმე შტურმანი თუ იქნებოდა. მეუღლე რომ გვერდით სდგომოდა, სხვა ამბავია, მაგრამ მარტოს, ისიც ამდენ მამაკაცებში რამ გააბედვინა?! რომანტიკამ?! ცხრა წელი მღვაზე! ეს უკვე რომანტიკა აღარ არის. საოცარია, უცნაური სამყაროსავით უკიდევანო ადამიანის ბუნება.

– თეა, მაშ გადაწყვეტილი გაქვთ დღესვე გაბრუნდეთ უკან?

– აუცილებლად, მე აქ არავინ მყავს, პასპორტიც არა მაქვს თან, ვისარგებლე მომენტით და სასეირნოდ გამოსულ ხალხს გამოვყევი კატერზე. მინდა მოვასწრო ქალაქის დათვალიერება, საღამოს მაგარებელს ან ავტობუსს გავყვები უკან.

– დარჩით ჩემთან, პასპორტიც რომ გქონდეს, ისეთი ღროა, მომღვავებულია ხალხი. გატყედილია ქალაქი, სასტუმროში ოთახი მაქვს დაქირავებული. ყოველ წელს აქ ვისვენებ.



– არ შემიძლია, დეიდა ვერა ინერვიულებს.

– დეიდა ვერა ვილაა?

– ასე ჰქვია ქალს, ვისთანაც ვარ.

– თეა, მაპატიეთ, – თითებს შუა გაჩხერილ სიგარეტზე მიმანიშნა. მერე სწრაფად მიაგრი-
ალა თავი ღია ფანჯრისაკენ. კარგა ხანს უყუ-
რებდა ნავსადგურში გაჩერებულ ორ თეთრ
ხომალდს. თითქოს თავისთვისო, ისე ჩაილაპა-
რაკა:

– ორი კვირაა აქ დგანან, უცხოეთის გემე-
ბია.

არაფერი ვუპასუხე, რადგანაც მის ფიქრთან
თვალეში სინათლე ისე ლივლივებდა, ვერ გა-
ვბედე ჩემი შეკითხვებით ან პასუხით ხელი შე-
მეშალა; ნათლად ჩანდა, ეს მისი თვალთაშუქი
კეთილი მოგონება იყო რაღაცისა.

– თეა, დარჩი ამელამ, მარგო ამელამ, ნუ მი-
მაგოვებ.

– არ შემიძლია, არაფრით არ შემიძლია!

* * *

ვუყურებ და ვგრძნობ მის შეშფოთებას, რა-
საც უნებურად ყველაფერში ამჟღავნებს, შევე-
კითხო რამე? ვითომ გამანდობს? იქნება გულა-
ხლილი? იქნებ ამ შეკითხვამ წამალივით მი-
უსწროს ტკივილზე, იქნებ საკმარისია, ერთი
თბილი სიგყვა, ერთი მგრძნობიარე შეხედვა,
რომ დაიწყოს?... რა ვიცი...

– თეა, ამელამ დარჩი, მარგო ამელამ, გე-
სმის, ნუ მიმაგოვებ!

– არ შემიძლია, არაფრით არ შემიძლია!

* * *

ამის შემდეგ კიდევ რომ დავრჩე, ალბათ
ალარაფერს მეგყვის, ამგვარი უარი ჩემგან
არაადამიანურობაა, – ვფიქრობ და ვგრძნობ,
ძალიან მიჭირს ადგომა. ერთმა ჭიქა კონიაკმა
მუხლები მომიღუნა. თუმცა, სულიც დამიმპი-
მდა.

ჩემი მზერა ახლა ქათქათა ხომალდებზე გა-
დადის, ვფიქრობ ცისფერ და შავ ყაყაჩოებზე;

ნეგა მართლა თუ არსებობს ისინი ჰავანაში,
როგორც ამას ერთი შორეული ნაოსნობის კა-
პიტანი წერს თავის მოგონებებში.

ვინ იცის რამდენი ქვეყანა, ოკეანე, ზღვა
აქვს ნანახი და რამდენ ადამიანს შეხვედრია ეს
თეთრთმიანი ქალი.

– ქალბატონო მერი, დაასრულეთ თქვენი
წიგნი, თუ ისევ მუშაობთ? – შევაპარე ჩემი სა-
თქმელი.

გვიან მპასუხობს:

– მასალა ძალიან ცოტა მაქვს, საკუთარი კი
არ მყოფნის, – არც კი მიყურებს, ისე მპასუ-
ხობს.

– რა ხასიათისაა თქვენი შრომა, მხატვრული
თუ მეცნიერული?

– მოგონებებია წარსულზე, უფრო სწორად,
მეც არ ვიცი რა არის.

ვხედავ, არ სიამოვნებს ამ თემაზე საუბარი.
ორივეს გვიჭირს ხმის ამოღება. თვალეში ვა-
ცყობ – ნაწყენია ჩემზე, გარეგნულად კი არა-
ფერს იმჩნევს.

– თეა, – ქ-ნი მერი ფეხზე დგება, – გამო-
გყვები ქალაქში, რაკი პირველად ხარ, მეგბუ-
რობას გაგიწევ, – გამომცდელად მიყურებს
მწვანე მრგვალი თვალეებით. თავს ვხრი, მი-
ჭირს ადგომა. გული მწყდება, რაღაც ვერ აე-
წყო, ვერ აება ჩვენი საუბარი აღრინდელივით
„ცენტროლიგში“ ბიბლიოთეკაში რომ გვექონდა
ხოლმე.

მაინც რა ცოტა ვიცი ამ ქალზე, რომ დავრჩე-
ნილიყავ, დავყოლოდი მის სურვილს, მაშინ
ალბათ ბევრს გავიგებდი, ნუთუ არასდროს
ჰყოლია მეუღლე, შვილი? ან თუ ჰყოლია, რო-
გორ და როგორ დაკარგა ისინი? ან არავინ
ჰყვარებია? ან არ უყვარს? ვის უნდა შეხვე-
დროდა ახლა? ან ვინ იყო ის მაღალი, ლამაზი
კაცი, რა საქმე ჰქონდა მასთან?

* * *

ის იყო სამუშაო ხალათი ჩავიცვი და საწერ
მაგიდას მივუჯექი, რომ ნაცნობი ხმა მომესმა:

– გამარჯობათ თეა!

ავიხედე – მერი! – ერთი კვირის წინ გაზეთში მისი პიესის თაობაზე პაგარა შენიშვნა წავიკითხე. სწრაფად გამოვადე უჯრა და შემოხსული გაზეთი ამოვიღე.

– გილოცავთ! გულწრფელად მიხარია თქვენი წარმატება, კონკურსში გამარჯვება.

– მჯერა, გმადლობთ. თქვენ ნამდვილად გესმით, იცით შემოქმედების ფასი, განსაკუთრებით იმ ვიწრო წრეში, სადაც მე მიხლება ცხოვრება და აღამიანებთან ურთიერთობა. თბევნ განსხვავდებით ყველა ჩემი აქაური ნაცნობისაგან, ამიტომ პირველად სწორედ თქვენთან მოვედი ჩემი სიხარულის გასამზიარებლად.

სკამი გამოვწიე, დაჯდომა შევთავაზე.

– მაშინ კი გაწყენინეთ, – ვუთხარი დანანებით.

– ის მომენგის ამბავი იყო, შენც არ გინდოდა, ისე მოხდა; მოდი დავანებოთ ამას თავი; უკვე ორი წელია, რაც არ მინახიხარ, არა?

– დიახ.

– უმცროსი იყავი და მეგონა პირველად შენ მოხვიდოდი.

– მე კი არ მოვედი, – ვთქვი დანანებით, – და, აი, ისევ თქვენ მოგვაკითხეთ.

– ხდება ხოლმე.

– ქალბატონო მერი, – ვკითხე მცირეოდენი ღუმელის შემდეგ, – ვინ იყო ის მაღალი, ლამაზი კაცი?

– მოგეწონა?

– ძალიან.

– ის მართლაც ძალიან ლამაზი კაცი იყო ახალგაზრდობაში. ჩემი ყოფილი მეუღლეა.

– ასეც ვფიქრობდი... გაცილდით?

– ასე ვთქვათ, მას აქეთ 32 წელია, შვილი არ მეყოლა და... ძალიან უნდოდა.

– მერე?

– მერე ამას სხვა უსიამოვნებაც დაემატა... სხვა ქალბატონი... მაშინ რიგაში ვცხოვრობდით. მაგიღაზე დავგოვე ორ სიგყვიანი ბა-

რათი: „მიედივარ, ნუ მეძებს!“ – დავგოვე ლაფერი.

– ალბათ ძალიან ახალგაზრდა იყავით მაშინ.

– ოცდასამი წლის.

– არ მოქცეულხართ კარგად.

– იმ ხანებში და, საერთოდაც, სხვანაირად არ შემელო.

– არ უძებნიხართ?

– ვერ მოძებნიდა, თუმცა, ვინც აინგერესებო, ქვესკნელშიც პოულობენ. ჩემი ხასიათის ეს თვისება – სიამაყე – ყველაფერში ბოლომდე გამყვია. და უნდა ვაღიარო, თანდათან ვგყვები. ისე, მაშინ ბათუმში როცა გთხოვე ჩემთან დარჩენა, რომ დარჩენილიყავი მთელ ჩემს უმწეობას დაინახავდი, ისე ვიყავი მარგოობისაგან დაბნეული, შეწუხებული, ალბათ რჩევასაც კი გკითხავდი; მეორე დღეს მიდიოდა და მხოლოდ ჩემს პასუხს ელოდა. შვებულებით ესარგებლა და მომნახა. ცხოვრობს ისევ ჩვენეულ ძველ სახლში, რიგაში.

– უარი უთხარით? – შევეკითხე.

– უარი... მიუხედავად იმისა, რომ თურმე ძალიან ჭირდებოდა ჩემი თავი, როგორც მითხრა.

– როგორ?

– მეუღლე გარდაცვლოდა, ორივე შვილი შორს ჰყავდა, მარგო დარჩენილიყო, თანაც გულით დაავადებული.

– თქვენც მარგო, ისიც მარგო, თქვენ ასაკში საჭიროა პატრონი, მეგობარი.

– მაშინ ყოველივე იმას, რასაც შევდგომივარ, ვერ გავაკეთებდი, – ჩემ მიერ მიწოდებულ გაზეთზე მიმანიშნა, – თანაც, ჩემი ახალგაზრდობა მარგოხელამ გავაგარე. დანგრეულმა ცხოვრებამ და დიდმა სიყვარულმა გამიყვანა ბღვაზე! სანამ მიეჩვიეოდი ჩემს საქმეს, ხალხს, ბღვას, იმდენი რამ გადავიგანე... ახლა კი ვისვენებ. დანაზოგით უბრალო სახლი ვიყიდე, ბადით, ქალაქიდან შორს, ყველაზე მივარდნილ კუთხეში, მგკვრის პირას. მასაც მძიმე ბოლო

დაურჩა: დაკარგა მეუღლე, შეიღებს თავთავი-
ანთი ოჯახები აქვთ, მისგან შორს არიან. ცხო-
ვრებაში დანაკარგი ისევ მე უნდა შევუვსო. კი
ბაგონო, მაგრამ დარჩენილი წლებიც მას შე-
ვწირო? ვთქვათ და ასე გადავწყვიტე, სამაგი-
ეროს რით დამიბრუნებს? თანაც ჩემ ასაკში.

ღუმილი ჩამოვარდა კარგა ხნით.

* * *

– ჰო, ღღეს დილიდანვე სამი რამ მიხარია, –
თქვა მერიმ და დაბრუნებული წიგნების გროვა
მაგიდაზე დააწყო, მერე ისევ განაგრძო: ერთი
ის, რომ შენ უნდა მენახე, მეორე – მივიღე წე-

რილი რეკისორისაგან, რომელმაც ჩემს პიესას
დასადგმელად მოჰკიდა ხელი და მესამეც – ბა-
რათი მისგან – ჩამოდის.

– მაინც გიხარიათ?

– მაინც არ ვიცი. იქნებ სიმარტოვის ბრა-
ლია... თან სიბერის.

– ისევ მარტოა?

– ჰო, – თქვა და მორიდებით, დაწეული ხმით
გააგრძელა, თითქოს ბოლიშს იხდისო:


– იცი, სულ სხვა ხდები ადამიანი, როცა
გრძნობ, ვილაცისათვის საჭირო და აუცილე-
ბელი ხარ, – მერიმ უმწეოდ ჩაიქნია ხელი და
მორიდებულად მორცხვად გაიღიმა.

ჩ ვ ე ნ გ ვ წ ე რ ე ნ

ჩვენი ბიბლიოთეკის მუშაკების უმრავლესობა აქტიურად ადევნებს თვალყურს იმ მოვლენებს,
რომლებიც საბიბლიოთეკო საქმის განვითარებასთანაა დაკავშირებული. თავიანთ მოსაზრებებს,
შეხედულებებს, წინადადებებს ისინი ერთმანეთს უზიარებენ შეხვედრებზე, სემინარებზე თუ მასო-
ბრივ ღონისძიებებზე გამოსვლის დროს, ყოველივე ეს ხშირად გამოხატულებას პოულობს იმ კო-
რესპონდენციებში, რომლებსაც ჩვენი ჟურნალი აქვეყნებს. ზოგ შემთხვევაში დაინტერესებული
პირები პირდაპირ გვივზავნიან თავიანთ ნათქვამს.


რედაქციას გადაწყვეტილი აქვს პერიოდულად, მასალის დაგროვების შემთხვევაში სპეციალუ-
რად გამოაქვეყნოს ამგვარი წერილები კომენტარების გარეშე. გვინდა ჩვენ მკითხველებს შევთა-
ვაზოთ ამ მიმართულებით ითანამშრომლონ ჩვენთან. ყოველი მათი მოსაზრება, შეხედულება, წი-
ნადადება, იდეა აისახება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ამჟამად გთავაზობთ ორიოდ წერილს.



სულიკო სვანიძე
წყალტუბოს ს/ვ ღირექტორი

უეჭველად გასაკითხავი საქმე



აუცილებლად უნდა დაინერგოს ჩვე-
ნი ბიბლიოთეკართა შერჩევისა და
კვალიფიკაციის მინიჭების პროგრე-
სული სისტემა. ამისათვის საჭიროა
ჩამოყალიბდეს ბიბლიოთეკართა კვალიფიკა-
ციის ამაღლების სპეციალური კურსები, სადაც

სპეციალისტები მოემზადებიან სათანადოდ იმი-
სათვის, რომ მათ ჩაუტარდეთ აგესტაცია. ამის
შემდეგ უნდა მიეცეთ მათ სერტიფიკატი, რაც
მათ უფლებამოსილს გახდის იმუშაონ ბიბლი-
ოთეკაში ბიბლიოთეკარად.

ალბათ შემომედავებიან: ეს დიდ სახსრე-



ბთან არის დაკავშირებული. დიხ, ასეა, და ეს საქმე დიდ ძალისხმევასაც მოითხოვს, მაგრამ საქმეს გააიოლებს ის, თუ ამგვარი კურსები რეგიონების ცენტრებში მოეწყობა. საჭიროა ეს, საერთოდ, ხოლო თუ როგორი ფორმით შეიძლება ეს განხორციელდეს, იქნებ სადისკუსიოა, მაგრამ ის არაა სადავო, ბიბლიოთეკართა კადრები რომ აუცილებლად მოითხოვს კვალიფიკაციის ღონის ამალვებას, და ეს მხოლოდ სემინარების საშუალებით შეუძლებელია.



პედაგოგებისათვის ამგვარი რამ პრინციპულ აუცილებლობად არის ქცეული და, ჩვენი პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენთვის რომ ეს აუცილებლად გასაკეთებელია, გვგონია, არ წარმოადგენს დავის საგანს.

საბიბლიოთეკო საქმე, ბიბლიოთეკის თანამედროვე გაგება, მისი სტატუსი, ფუნქციები, ღანიშნულება და ტექნიკური საშუალებები იმდენად შეიცვალა და იმგვარი სისწრაფით ხდება ამ მართულებით გარდაქმნები, რომ აუცილებლობად იქცა ბიბლიოთეკარებისათვის ხელმე-

წყობა. მათ დახმარება ესაჭიროება კვალიფიკაციის ამალვების თვალსაზრისით. საჭიროა მეთოდური საქმისათვის აქტიური მრუნვა.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სწავლების ახალი მიდგომების შესწავლა-განვითარებას, იმ ფორმებისა და მეთოდების განახლება-მოდუფიკაციას, რომლებსაც ვიყენებთ მეთოდური მუშაობის დროს, სხვადასხვა ღონისძიებების შემთხვევაში, იქნება ეს კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები, თუ რეკომენდაციები, დისკუსიები, ტესტების ანალიზები და სხვ. ასევე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საბიბლიოთეკო მენეჯმენტის შესწავლას და მისი პრინციპების პრაქტიკაში დანერგვას. ბიბლიოთეკას „გონებითა და გულით გაღვიძებული“, შემოქმედებითი უნარის ადამიანები უნდა მართავდნენ. ბევრი მოეთხოვება ამ მხრივ მეთოდისგს.

ყოველივე ამის გარეშე ჩვენ არ გვეყოლება ხვალის ბიბლიოთეკარი, რასაც ყურადღება სწორედ ღლევანდელ ღლეს უნდა მიექცეს.



რუსუდან კვაჭაძე




გეგუთის №35-ე ბიბლიოთ.-ფილიალის გამგე

როდემდე მხოლოდ იმედებით?

რვენს ბიბლიოთეკებში მუდამ გაცხოველებული საქმიანობა მიმდინარეობდა. წიგნებს ისე ვუცქერდით, როგორც სათაყვანო არსებებს. ბიბლიოთეკებს ხელმძღვანელობაც დიდ ყურადღებას აქცევდა, ღლეს კი რატომღაც ზურგი გვაქციეს. განა გვინდა ასეთი უსიცოცხლო ბიბლიოთეკები?

საბიბლიოთეკო დარგის გასაუმჯობესებლად ბევრი განკარგულება გამოიცა და ბევრი წინადადება იქნა წამოყენებული, მაგრამ ფა-

ქტიურად არაფერი კეთდება ქვეყანაში ბიბლიოთეკების გადასარჩენად. სამწუხაროდ, ბიბლიოთეკებს ჯერჯერობით ვერც ვარდების რევოლუციამ მოუტანა რამე სასიკეთო. არ ჩანს, როდის დადგება ის დრო, როცა ბიბლიოთეკაში ახალი წიგნები შემოვა, წყალი არ ჩამოკონავს, რემონტი ჩაგარდება... იმედი გვაქვს გაუმჯობესების, მაგრამ მხოლოდ იმედზე ხომ ვერ დავრჩებით, რაგინდ ვარდისფერიც არ უნდა იყოს ეს იმედი?



დავით გიგინეიშვილი

კინო და მუსიკა



მოცარტი
„ფიგაროს ქორწინება“
LE NOZZE DI FIGARO“

ლორენსო რეგაცო (ფიგარო), პაგრიცია ჩიოფი (სუზანა), სიმონ კინლისაიდი (გრაფი), ვერონიკა ქენსი (გრაფი), ანჟელიკა კირშლაგერი (კერუბინო), მერი მაკლაგლინი (მარცელინა), კობი ვან რესბურგი (ბამილიო), ანტონიო აბაგე (ბარგოლო). Concerto Koln, დირიჟორი: რენე იაკობსი. 2003.

Harmonia Mundi HMC 801818-20 (3 SACD დისკი), 172 წუთი.

შესრულება:9

ჩანაწერი:10

მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“ წარმოადგენს კომპოზიტორის შემოქმედების მნიშვნელოვან გარდატეხის ეტაპს – მასში „მოცარტული მე“-ს დემონური ელემენტები მკაფიოდ ვლინდება. თავისი დრამატურგიული მუსიკალური განვითარებით იგი იმდენად პიონერული იყო თავისი ეპოქისათვის, რომ იმთავითვე ჯეროვნად ვერ შეფასდა (პირველი დადგმა ვენაში 1786 წელს) და მხოლოდ მოგვიანებით, XIX საუკუნის დასაწყისიდან მოიპოვა საერთაშორისო აღიარება.

პირველი გაქტებიდან ნათელი ხდება, რომ რენე იაკობსს პერსონალური ხედვა არც ნაწარმოებისათვის დაუკლია, მაგრამ გახმაურებული „Cosi fan tutte“-ს 1988 წლის ჩანაწერთან შედარებით (HM HMC 951663-65) მან, როგორც ჩანს, გაიზიარა მოგიერთი კრიტიკული შენიშვნა და მხოლოდ უვერტიურაში და ბარგოლის

არიაში მისცა ორკესტრს გადაჭარბებული მუსიკალური ფერები და სიკაშკაშე აქამდე უცნობი აქცენტებისა და ინსტრუმენტალური სიუხვის მეშვეობით. ამ ჯერზე ვოკალს მიეცა ის დომინანტა, რაც შეეფერება საოპერო მუსიკას.

იაკობსმა ნოვატორული ძიება არც აქ მიივიწყა – წარმოუდგენლად გამახვილებული რეჩიტატივები და წინ წამოწეული პიანოფორტეს ვირტუოზული პასაჟები, პერსონაჟების გააზრებულ თამაშთან ერთად, მკაფიოდ წარმოაჩენს კომიკური ოპერის ამ საჭირო ელემენტებს. ამავედროულად ხაზს უსვამს მოქმედების შთამბეჭდავ დინამიზმს. ორივე ცენტრალურ პარტიაში იგალიური წარმოშობის მომღერალი არის დაკავებული: პაგრიცია ჩიოფი (სუზანა) და ლორენსო რეგაცო (ფიგარო). ჩიოფის ოდნავ მუქი, მოქნილი და ახალგაზრდული ხმა კარგად ხაზავს სუზანას ენერგიულ და ფხიან ხასიათს. რე-




გაცო დამაჯერებლად თამაშობს მოქნილ და გონებაბამხვილ მსახურს, რომელსაც ყოფნის ძალა, დაუპირისპირდეს თვით გრაფსაც. კავაგინაში იგი თვითდაჯერებული და ირონიულია, მაგრამ ცნობილი მხედრული არია (Non piu andrai) კი მოულოდნელად ნახევარხმაში შეასრულა. პიანოფორტეს ჩართვამ გაამძაფრა ამ დამრიგებლური სცენის ერთგვარი კომიზმი. ბოლო არიაში (Aprite un po' gli occhi) მომღერალი ვოკალურად კარგად გადმოგვცემს გაწამებული და გამწარებული ფიგაროს ემოციებს, რომელიც საკუთარი ეჭვებისა და ქალების ინტრიგების მსხვერპლად გვევლინება. სიმებიანების ავბელითი პასაჟები (ღირიქორის ორიგინალური მიგნება) მხოლოდ ამძაფრებს წინათგრძნობას, რომ ქალები „კუდიანები“ არიან, რომლებთანაც შეუძლიათ მოჯადოება („son streghe che incantano“). რეგაცო თავისი მჭიდრო და სუფთა გემბრით მთლიანობაში არც თუ ისე უროგოდ წარმოგვიდგენს ფიგაროს. გრაფი და გრაფინია ვოკალურად კარგად მიესადაგნენ როლებს. თანამედროვე საოპერო სცენის ახალი ვარსკვლავი – სიმონ კინლისაიდი, თავისი მტკიცე და მახვილი ხმით დამაჯერებელ სახეს ქმნის. ერთგვარად მისი ინტერპრეტაცია თომას ალენის გრაფს მოგვაგონებს, განსაკუთრებით ცნობილ არიაში „Hai gia vint la causa!“ მაგრამ ალენისაგან განსხვავებით, მის ხმას არ გააჩნია გემბრალური კონსტანტა მთელ რეგისტრში და ზოგჯერ კარგავს საჭირო სიმტკიცეს. ვერონიკა ქენსკი ამ პარტიაში შესაძლოა კიდევ აღწევდეს თავის ვოკალურ პიკს, ამავდროულად იგი დუბლირებს ცნობილი გერმანელი მომღერლების გექნიკასა და მანერას. ანჟელიკა კინშლაგერი მესამე დებიუტია ამ ოპერის ჩანაწერში. მისი მოქნილი, მტკიცე და სასიამოვნო გემბრი ნამდვილად დადებითად განაწყოებს მსმენელს. კერუბინოს არიებაში (Voi che sapete) იგი გვთავაზობს ოდნავ განსხვავებულ პასაჟებს, რაც უხდება პარტიას. ასევე ორიგინალურად შეასრულა ბამილიოს არია კობი ვან

რესურგმა – სწრაფი გემპები და ფალცეტი ფინალური სი ბემოლით შთამბეჭდავია. ბარგოლო (ანტონიო აბეგე) მის პირველ ცნობილ არიაში „La vendetta, oh la vendetta“ ვერ წარმოჩინდა დამაჯერებლად, ამისათვის სიმტკიცეც და ხმის სიძლიერეც დააკლდა. ამ მომენტში იაკობსი არ მოერიდა ორკესტრული ფიერვერკის ჩართვას, რამაც გადაფარა ხმა. დანარჩენ სცენებში იგი საკმაოდ არგისგულად ასრულებს თავის პარტიას.

საერთო გემპები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ნელია, ვიდრე ეს არის მაკერასთან (Telarc CD-80388). ოპერა მიდის გრადიციული დიდი ვერსიით, ყოველგვარი დამატებითი გახსნილი კუპიურების გარეშე, მაგრამ ამ გემპმა არ იმოქმედა უარყოფითად, იაკობსის დახვეწილობა და ინტელექტი იგრძნობა ყველაფერში – ის იმდენად სჭარბობს, რომ ჩანაწერმა ერთგვარად მთლიანობა დაკარგა, რაც პირველ რიგში გეორგ შოლგისთან ვლინდება, შესაძლოა ციფრული ეპოქის „ფიგაროს ქორწინების“ ყველაზე კარგ ჩანაწერში (DECCA 410 150-2). გექნიკურად ისედაც გამორჩეულმა „Harmonia mundi“-მ ამჟამად სასიამოვნოდ გამოცა – ეს ჰიბრიდული (CD და SACD) ვერსია იდეალურ ქლერადობას და „ცოცხლად დასწრების“ ეფექტს იძლევა. განცდა ისეთია, პირველ რიგში ეს ვოკალს ეხება, რომ მომღერლები მსმენელის უშუალო სიახლოვეს არიან, ორკესტრს კი თითქოს სივრცე მოემთავა.

რენე იაკობსი, რომელიც ბოლო ათწლეულის ყველაზე დამაინტრიგებელი ღირიქორია, ბაროკო რეპერტუარიდან გადაერთო ამჟამად მოცარტზე, და მისმა მეორე ექსპერიმენტმა ნამდვილად გაამართლა. ეს ჩანაწერი უდავოდ მოვლენაა საოპერო დისკოგრაფიის სიაში და, ჩემი აზრით, საუკეთესო ოპერაა 2003 წლის ჩანაწერებში, რაც ამტკიცებს იაკობსის განსაკუთრებულ ტალანტს და გასაოცარ ენერგიულობას – იგი ორი ოპერის ჩაწერას ახერხებს სემონზე!



მოცარტი

„ცივი მთა“

Cold Mountain“ (2003)

რეჟისორი – ენგონი მინგელა, სცენარი – ენგონი მინგელა. (ჩარლზ ფრეიბერის წიგნის მიხედვით).

ოპერატორი – ჯონ სილი, მონტაჟი – უოლტერ მარჩისა, დიზაინერი – დანტე ფერუგი, დეკორატორი – ფრანჩესკა ლომიაგო; კოსტიუმები – კარლო პოჯიოლის და ენ როთისა; პროდიუსერები – ალბერტ ბერგერი, უილიამ ჰორბერგი, სიდნი პოლაკი, რონ იერქსტა.

152 წუთი, გაქირავება: მირამაქს ფილმი, აშშ.

ენგონი მინგელას ბოლო ფილმი „ცივი მთა“ წარმოადგენს თხრობას ჩრდილოეთ კაროლინის პატარა ქალაქში – ცივ მთაში რიგითი ჯარისკაცის ინმანის (ჯად ლოუ) დაბრუნებაზე. სამოქალაქო ომის სისასტიკითა და უსულგულობით შეძრწუნებული, ინმანი სამხედრო ჰოსპიტალშივე იღებს გადაწყვეტილებას, გახდეს დეზერტირი. მისი დაბრუნება უკან მხოლოდ ომის სისასტიკით არ არის ნაკარნახევი, იგი ნაგრულობს შეხედეს თავის შეყვარებულ მანდილოსანს, რომელთანაც გაგარებული აქვს მხოლოდ რამდენიმე საათი და რომლის სახეს სასოებით აგარებს გულში. ის არის ადგილობრივი პასტორის ერთადერთი, ცხოვრებას მიუჩვეველი ქალიშვილი ადა მონრო (ნიკოლ კიდმანი), თუმცა მათი კავშირი დამაჯერებლად არ გამოიყურება და ერთგვარად ეჭვსაც ბადებს, თუ რაგომ ელოდება ასე თავგადაღებით ადა არც თუ ისე ახლობელ მამაკაცს. მამის სიკვდილის შემდეგ მარტოობაში დარჩენილს, ძალიან უჭირს, მაგრამ განგებამ მას მეგობარი გამოუგზავნა – სხარგი და სოფელში შრომას მიჩვეული რუბი თივსი (რენე ზელვეგერი). ორივენი ააღორძინებენ ადას მამულს და ისე მომაგრდებიან, რომ მოგჯერ დახმარების ხელსაც კი უწვდიან მოგზაურ მუსიკოსებს, რომელთა შორის რუბის

მამაც აღმოჩნდება. მაგრამ ცხოვრება მარტო სასიხარულო ძვრები როდია, ომის ლოგიკის უამბობა ითხოვს მსხვერპლს და არაერთს – ინმანის ხანგრძლივი მოგზაურობაც აღსავსეა გრაგიზმით. გაოგნებული ინმანი გვერდს ვერ უვლის ამ „ბრძოლას“ და უნებლიეთ ჩათრეული აღმოჩნდება მასში.

ბოლოს და ბოლოს გმირი ბრუნდება და მთის დათოვლილ ბილიკზე ხვდება თავის ოცნებას – ეს შეხვედრა მოულოდნელი და სასიხარულოა ორივესათვის, მაგრამ შეყვარებულების ბედნიერება დიდხანს არ გრძელდება – ცხოვრების სისასტიკე მორიგ მსხვერპლს ითხოვს, რომლადაც თავად ინმანი აღმოჩნდება.

მიუხედავად თხრობის აუჩქარებელი და მონოტონური მანერისა, ეპილოგი ჰოლივუდის სტილშია, შესაბამისად ოპტიმისტური. ცხოვრება გრძელდება ადას მამულში, ოჯახი გამრავლებულია.

სევდიან და სუსხიან (მოგჯერ მისტიკურ) გონებში გადმოცემული ისტორია ბუნებრივ ფერებს იძენს მსახიობთა თამაშით: რენე ზელვეგერმა კიდევაც დაიმსახურა 2004 წლის ოსკარი და ოქროს გლობუსი ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისათვის. ფილმი ასევე წარდგენილი იყო ოსკარის შე-

მდეგ ნომინაციებზე: საუკეთესო მამაკაცი მსახიობი, ოპერატორი, მონტაჟი, მუსიკა და სიმღერა. სხვა ნომინაციების ფონზე, სურათი იძენს გარკვეულ მომხიბვლელობას – ამას მისმა მხატვრულმა ღირსებებმაც შეუწყო ხელი, რაც გადამღები ჯგუფის მაღალპროფესიულობით იყო განპირობებული (გახმაურებული ოპერატორი ჯონ სილი, დიზაინერების: დანგე ფერეგის, კარლო პოჯიოლის და ენ როთის კოსტიუმები). მაგრამ დასავლეთში ფილმს ერთნაირად ხვდა როგორც პომიტიური, ისე ნეგატიური შეფასება. ნეგატიურში აღნიშნავენ სცენარის გაუმართაობას და ადას როლის შემსრუ-

ლებლის (ნიკოლ კიდმანის) ერთგვარ გაუცხოვებულ თამაშს. თუმცა, უდავოა, რომ ბოლო წლების ჰოლივუდის პროდუქციის საშინლად დაბალ დონეს იგი სცდება და ამერიკის სამოქალაქო ომისადმი მიძღვნილ ფილმების სიაში არც თუ ბოლო ადგილს დაიკავებს.

ფილმის ორიგინალური 2 დისკიანი DVD ვერსია შეიცავს კინოგაქირაგებიდან ამოღებულ სცენებს, გადამღები ჯგუფის კომენტარებს და ხმის აღქმის მრავალფეროვან ვარიანტებს.

საქართველოს საზიზლიოთიკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

□ გასული წლის 5-19 ნოემბერს თბილისში იმყოფებოდა აშშ-ის ლუიზიანის შტატის ქალაქ ბოსტონის საჯარო ბიბლიოთეკის გექნოლოგიური განყოფილების გამგე ბობი ფერგასონი, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში იგი მუშაობდა სტუდენტებსა და ასპირანტებთან ენის დაუფლების საკითხებზე. უფრი ვრცელი მასალა ამერიკელი სტუმრის შესახებ ქვეყნდება ჩვენი ჟურნალის ამავე ნომერში.

□ გასული წლის 25 დეკემბერს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა პროექტის „საქართველოს ბიბლიოთეკების წიგნებით მომარაგების“ ხელმძღვანელთა შეხვედრა საქართველოს დიდი ბიბლიოთეკების დირექტორებთან. სპეციალური კაგალოგის საშუალებით ბიბლიოთეკებმა შეარჩიეს ათას-ათასი ლარის ღირებულების წიგნები, ეს თანხა მთლიანად დაფარა

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ. სპეციალური წერილი ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენი ჟურნალის წინამდებარე ნომერში ქვეყნდება.

□ 28 იანვარს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას ესტუმრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. თანამშრომლებთან შეხვედრაზე პარლამენტის თავმჯდომარემ ისაუბრა ეროვნული ბიბლიოთეკის თანამედროვე პრობლემებზე, რომელთა გადაჭრაში რეალური მხარდაჭერა აღუთქვა პარლამენტის სახელით;



□ 11 თებერვალს მცხეთის ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკაში შედგა „სათემო სახლის“ პრემენგაცია. სათემო სახლი დაარსდა პროექტის „სათემო სახლი: სამოქალაქო განათლების სარესურსო ცენტრის“ ფარგლებში. პროექტის ავტორები არიან: არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ფუნდამენტის“



მცხეთის ფილიალი, ორგანიზაცია „მთა და საზოგადოება“, მცხეთის რაიონის დამოუკიდებელი ტელეკომპანია „გვირგვინი“, „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია“ და მცხეთის ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკა. პროექტი მიზნად ისახავს მცხეთის რაიონის თემების მოსახლეობისა და მცხეთის ცენტრალურ

ბიბლიოთეკაში სათემო სახლის შექმნას; სათემო სახლში მოეწყოება კულტურული ღონისძიებები, შეიქმნება ინტერნეტ-კაფე. „სათემო სახლის“ დაფუძნებაში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი.

ინფორმაცია



გულნარა სტურუა
თბილისის ილ. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტ. სახ. უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკის დირექტორი

უნივერსიტეტს საკითხს მიჰქვნა

მომდინარე წლის მარტში თბილისის ილ. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ჩატარდა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა სემინარი თემაზე „კომპლექტაცია და სისტემატიზაცია“. ამ ღონისძიების მთავარი მიზანი იყო, გარკვეულიყო, რა ვითარებაა ქალაქის წამყვან უმაღლეს სასწავლებელთა ბიბლიოთეკებში ფონდების შევსებისა და კლასიფიკაციის თვალსაზრისით, პირისპირ შეხვედროდნენ ერთმანეთს ამ საქმის სპეციალისტები და გაუმოარებინათ ერთმანეთისათვის თავიანთი შეხედულებები და მოსაზრებები, მიეღოთ ერთიანი პროგრამა საქმის უკეთ წარმართვისათვის.

ლთა ბიბლიოთეკები სხვა გიჰისა და უწყებების ბიბლიოთეკებს შორის პრინციპულად გამოირჩევიან. მოცემულ პერიოდში საგრძნობლად გართულებულია მათი მდგომარეობა – იცვლება სასწავლო პროგრამები, სწავლების მეთოდოლოგია, სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები. ყოველივე ამას გათვალისწინება ესაჭიროება. უფრო მეტიც – შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიოთეკაზე და მისი მუშაობის გარდაქმნაზე დიდადაა დამოკიდებული, რამდენად ეფექტური და წარმატებული იქნება



ის რეფორმები, რომელთა გატარება უმაღლეს სასწავლებელში იგეგმება.

სადავო არაა, ამ მიმართულებით საქმიანობა დღევანდელ პირობებში უაღრესად ძნელია – სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობა, ეკონომიკური სიღუბლიერე, მწირი ხელფასი და

როგორც ცნობილია, უმაღლეს სასწავლებე-

დაკომპლექტებისათვის, საერთოდ, ბიუჯეტის არქონა, ქმნის თითქმის გამორეზერვებულ კრიზისს, რაც იწვევს შრომის ნაყოფიერების დაქვეითებასა და უპასუხისმგებლობას.

უმაღლეს სასწავლებლების ბიბლიოთეკებში ერთი ყველაზე უხმაურო და უწყინარი რგოლია დამუშავებისა და დაკომპლექტების განყოფილება, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა წარმოებს. თუ ეს განყოფილება მოწესრიგებულია და წარმატებით მუშაობს, გვინდა თუ არა, მას მზარს აუბამენ სხვა განყოფილებებიც.

სემინარს ესწრებოდნენ: აგნარული, ვეტერინარული, პედაგოგიური უნივერსიტეტების, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის, მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური, სასულიერო აკადემიის, საპაგრიარქოსა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების წარმომადგენლები. სემინარში მონაწილეობა მიიღო ილ. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი როფ. ნინო ფარცხალავა, რომელმაც თავის გამოსვლაში იმედი გამოთქვა, რომ ბიბლიოთეკებს შორის თანამშრომლობა გაფართოვდება, თვითონ ის კი ყოველმხრივ შეეცდება მისდამი რწმუნებულ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქტიურად შეუწყოს ხელი.

სემინარზე ვრცელი სიყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკამცოდნეობისა და სტანდარტიზაციის ცენტრის გამგე გურამ თაყნიაშვილი, რომელიც ძირითადად შეეხო საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის მეთოდებს. თავიანთ გამოსვლებში მეტად აქტუალურ საკითხებს შეეხენ სემინარის მონაწილენი: თსუ-ს ბიბლიოთეკის მეთოდგანყოფილების გამგე ციცია მერებაშვილი, აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის კლასიფიკაციის განყოფილების გამგე მედეა ყიფიანი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედუნივე-




რსიტეტის ბიბლიოთეკის დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილების გამგე თამარ ბეჟალავა. სემინარში გამოსვლები შეაჯამა ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის ბიბლიოთეკის დირექტორმა გულნარა სგურუამ.

სემინარმა გამოავლინა ის ნაკლოვანებები და მიღწევები, რაც უმაღლეს სასწავლებლის ბიბლიოთეკებს გააჩნია, გაირკვა არსებული მდგომარეობა. როგორც აღმოჩნდა, ყველა უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკაში სრულად გამოიყენება ათწილადი კლასიფიკაციის სისტემა (УДК), გარდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედუნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა, სადაც ათწილად საკლასიფიკაციო სისტემასთან ერთად საბჭოური სისტემა (ББК) გამოიყენება. ეს არ შეიძლება, გარკვეულ სირთულეებს არ იწვევდეს.

მწვავედ დაისვა საკითხი საკლასიფიკაციო და საავტორო ცხრილების დეფიციტთან დაკავშირებით. ყველგან დიდი გასაჭირია მათ შექმნაზე. ბნ გურამ თაყნიაშვილმა ურჩია დაინგერესებულ პირებს, ესარგებლათ ეროვნული ბიბლიოთეკის კომპიუტერულ ბაზებში ჩატვირთული რუსული УДК-ის ცხრილებით, სადაც ერთი ნაწილი მთლიანად უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებზე გათვალისწინებული.

დასასრულ, სემინარის მონაწილეებმა საჭიროდ ჩათვალეს აღნიშნულ თემაზე კიდევ ჩატარდეს სემინარი და გადაწყვიტეს, ის გაიმართოს ამჯერად თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედუნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.



მზია რამმაძე



ჩვენი ინტერესების გასათვალისწინებელია

15-20 მარგს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტში მეტად საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. როგორც ცნობილია, გასულ წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში „რელიგიური შემწყნარებლობის“ პროგრამით საქმიანი შეხვედრები მოეწყო საქართველოდან გამგზავრებულ 12 საგანმანათლებლო დარგის მუშაკსა და ამერიკელ სპეციალისტებს შორის. პროგრამის დირექტორია ქართველი სამგალოებისათვის კარგად ცნობილი ქართველოლოგი ამერიკელი სტივენ ჯონსი, რომელიც მასაჩუსეტსის შტატის ქ. ამპერსტის სწავლებისა და განვითარების ინსტიტუტთან თანამშრომლობს. პარტნიორულ მხარეს წარმოადგენს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი. პროგრამის კოორდინატორია ჩვენი დარგის ცნობილი სპეციალისტი დოც. ინგა ფილაური.

და ახლა პროგრამის დირექტორი სტივენ ჯონსი და ამპერსტის ხსენებული ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი მეანას სულთანის ეწვივნენ საქართველოს, რათა გაემართათ სემინარები იმ სპეციალისტებთან, რომლებმაც ამერიკაში იმოგზაურეს. 15 მარგისათვის სულხან-საბა

ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი თავი მოიყარეს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულმა პროგრამის მონაწილეებმა. მათ 5 დაძაბული დღე ერთად გაატარეს ამერიკელ სტუმრებთან. ყველამ წარმოადგინა ერთგვარი ანგარიში მათ მიერ დაგროვილი ცოდნისა და იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში ეწეოდნენ რეგიონებში რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით. ჩატარდა სემინარები, გრენინგები, ჩატარებული მუშაობის ანალიზი, რაც მაღალ დონეზე მიმდინარეობდა და მონაწილეთა შეფასებით, ძალიან ნაყოფიერი გამოდგა.

ჩვენი მხრივ გვინდა დავძინოთ, რომ ანალოგიური მიმართულების პროგრამა უდავოდ დიდ სარგებლობას მოუტანდა სწორედ საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებს, რომელთათვისაც რელიგიური შემწყნარებლობის პრინციპების შეცნობა და ცხოვრებაში გატარება ყოველდღიურ მუშაობას უკავშირდება.

კარგი იქნება, თუკი საბიბლიოთეკო ასოციაცია შემდგომისათვის მხედველობაში მიიღებს ამას და ეცდება ამგვარ პროგრამასთან მიერთებას.

შეცდომების გასწორება

ჩვენი ჟურნალის გასული წლის მე-4 ნომერში (№4,2004) დაბეჭდილ 2005 წლის ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარში დაშვებული შეცდომების გასწორება:

– 20 იანვარისთვის წერია: „165 წლის წინათ (1840) დაიბადა ალექსანდრე ყაზბეგი“... უნდა იყოს: „157 წლის წინათ (1848)“... შემდეგ როგორც გექსტია;

– 11 თებერვლისთვის წერია: „110 წლის წინათ (1895) დაიბადა ალექსანდრე ჯაფარიძე“... უნდა იყოს: „110 წლის წინათ (1895) დაიბადა ალექსანდრა ჯაფარიძე“... შემდეგ როგორც გექსტია;

– 9 მარგისათვის წერია: „9 მარგი 1965 წლის“... უნდა იყოს: „9 მარგი 1956 წლის“... შემდეგ როგორც გექსტია. ჟურნალი ბოდიშს უხდის მკითხველებს ახლა თუ აღრე დაშვებული შეცდომებისათვის.

საქართველოს ეკელა ბიბლიოთეკას!

უკვე რამდენიმე წელია საქართველოში 23-30 აპრილს ტარდება საბიბლიოთეკო კვირეული, როგორც განვლილმა წლებმა დაგვანახვა, ეს ღონისძიება ჩვენი ქვეყნის უმეტეს ბიბლიოთეკებში საკმაოდ აქტიურად და მაღალ დონეზე ტარდება, ყურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ ყოველთვის დიდ ადგილს უთმობს კვირეულის ამსახველ მასალას. ასევე ბევრი რამ ქვეყნდება რეგიონის პრესაში. კვირეულის პროგრამით იმართება კულტურულ-საგანმანათლებლო და შექმნებითი ღონისძიებები, რომლებშიც ჩაბმულია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს წიგნიერების დონის ამაღლებისათვის.

ამჯერად საბიბლიოთეკო დღეები მთელ საქართველოში ჩატარდება 28 აპრილიდან 10 მაისის ჩათვლით. მოფუწოდებთ ყველა ბიბლიოთეკას, რა ტიპის, სახისაც არ უნდა იყოს და რომელ უწყებასაც არ განეკუთვნებოდეს, აქტიურად ჩაებას ამ ღონისძიებაში. ძირითად ამოცანად უნდა ვაქციოთ საზოგადოებასთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება, მისი თანადგომა ბიბლიოთეკასთან, ქვეყნად წიგნიერი გარემოს შექმნა!

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობა

საქართველოს იკლიოთეკა

№1 2004

ISSN 1512-0880

ISSN 1512

საქართველოს იკლიოთეკა

№4 2004

საქართველოს იკლიოთეკა

№3 2004

ISSN 1512-0880

საქართველოს იკლიოთეკა



№2 2004



ISSN 1512-0880

გასული წლის ნომრები